ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 სექტემბერი ხუთშაბათი 2012 №211 (13 817) ფასი 80 თეთრი

# გვიან ხომ არ არის თითზე კბენანი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



იგორ კოკოშკოვი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# ტელეტოვიჩუუუ...

## ბოსნიამ გაგვაჩუმა

ბოსნიასთან მატჩისთვის სპორტის სასახლეში 9 ათასი გულშემატკივარი მივიდა, დარბაზი პირამდე გაივსო და საოცარი სანახავი იყო თანამემამულეების ყიჟინით ანთებული კალათბურთელების ხილვა. მათ თამაშში სული და გული ჩადეს ისეთ გუნდს, როგორიც ბოსნიას 103 ქულა ჩაუგდეს, მაგრამ...

**მირზა ტელეტოვიჩის** მაღალმა კლასმა ერთბაშად ყველა გაგვანბილა. იგი კალათბურთელთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც წყალში თევზივით გადამწყვეტ მომენტებში გრძნობენ თავს. ბოლო წუთებზე ტელეტოვიჩმა თითქოს სისხლის სუნი იყნოსაო, ზვიგენივით გახელდა. სირენამდე 27 წამით ადრე **მანუჩარ მარკოიშვილის** სამქულიანის სიხარული ქართველებს დაგემოვნებული არ გვქონდა, რომ ტელეტოვიჩმა ბურთი პერიმეტრზე მიიღო, ჰაერში ტრიალით შორეული სამქულიანი ისროლა (105:103). ამას მიაყოლა **ჯეიკობ პულენის** აცილებული სამქულიანის შემდეგ ბურთის საკუთარი ფარიდან მოხსნა, ჯარიმების ტყორცნის უფლების მოპოვება და - 107:103 ბოსნიის სასარგებლოდ. საქართველოს ნაკრების თავკაცმა **იგორ კოკოშკოვმა** ნამატჩევს მირზას მაღალ კლასს გაუსვა ხაზი. ეს ყველამ კარგად დავინახეთ, მაგრამ სწორედ მწვრთნელის მოვალეობაა მეტოქის ლიდერი კალათბურთელის განეიტრალება, ისე როგორც ეს ლატვიელებმა გააკეთეს. 30 აგვისტოს **აინარს ბაგაცკისის** ბალტიისპირულმა გუნდმა ტელეტოვიჩს 80:64 მოუგო, მირზას ანგარიშზე 13 ქულა და 3 მოხსნა იყო... ლატვიელებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ მირზა თამაშიდან გამოეთიშათ. საბოლოოდ კი მეტოქეზე 12-ით მეტი ფოლი მოუგროვდათ, თუმცა მოედნიდან არავინ გავარდნილა.

ნუთუ არ შეიძლებოდა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელსაც შეგირდებისთვის დაევალებინა ტელეტოვიჩის ფოლებით შეჩერება, ვიდრე სამქულიანის სასროლად შეიმართებოდა? ეს მეოთხე პერიოდში **ვიქტორ სანიკიძეს** რომ გაეკეთებინა, ხუთი ჯარიმით მოედნის დატოვება მოუწევდა. ვინ ჩაენაცვლებოდა ვიქტორს? ლატვიელთა მწვრთნელი კი 10-12 კალათბურთელს ენდობა და ამიტომაც ტელეტოვიჩთან ჭიდილში არავინ გავარდნილა.

2005 წელს საქართველოს ნაკრებმა გერმანიის წინააღმდეგ ამხანაგურად ითამაშა. მატჩის შემდეგ გერმანელთა თავკაცმა **დირკ ბაუერმანმა** თქვა: ყოჩაღ **ვლადიმერ ბოისას**, რომელმაც **დირკ ნოვიცკი** ფაქტობრივად შეაჩერაო. იმ მატჩში დირკმა 15 ქულა ჩააგდო. მართალია, მაშინ ბოისა საუკეთესო ფორმაში იყო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც ტელეტოვიჩია ნოვიცკი - ვფიქრობ, ჩვენი მწვრთნელი, როცა ვლადიმერ ბოისას გამოძახებაზე უარს ამბობდა, თუნდაც ის ფაქტორი უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ბოისას დარი დამცველი გუნდს ბოსნიასთან მაინც დასჭირდებოდა.

გაგრძელება მე-12 გვერდზე




კაპიტნის ემოციები
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

| | თ | მ | წ | სხვ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსნია | 7 | 5 | 2 | 643/614 | 12 |
| 2. საქართველო | 6 | 4 | 2 | 537/507 | 10 |
| 3. ლატვია | 6 | 4 | 2 | 500/434 | 10 |
| 4. ჰოლანდია | 7 | 2 | 5 | 578/629 | 9 |
| 5. რუმინეთი | 6 | 1 | 5 | 434/508 | 7 |

### დარჩენილი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| 08 სექტემბერი | 18:05 | ლატვია-საქართველო |
| | 20:00 | ბოსნია-რუმინეთი |
| 11 სექტემბერი | 17:30 | საქართველო-ჰოლანდია |
| | 18:00 | რუმინეთი-ლატვია |

### მოკლედ შანსებზე...

გუშინდელი ნაგებით ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების შანსი მინიმუმამდე შემცირდა. ამისთვის საჭიროა ბოსნიამ რუმინეთთან შინ წააგოს, ხოლო საქართველომ ყველა შეხვედრაში იმარჯვოს.

გვრჩება ლატვიასა და ჰოლანდიასთან თამაშები, მათგან ერთის მოგებაც კი ჩვენს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოუტანს, თუმცა საკითხავი ისაა, მეორე ადგილით გავალთ თუ მესამეთი. სხვა ჯგუფებში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ დიდი ალბათობით ჩვენი ქვეჯგუფის მესამეადგილოსანი ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელ საუკეთესო კვარტეტში შევა.




სანიკიძის მორიგი რეიდი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო




მარკოიშვილის დროული სამქულიანი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები



# დღეს ღია ვარჯიშია

საქართველოს ეროვნული ნაკრები 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის სასტარტო მატჩებისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ **თემურ ქეცბაიას** გუნდმა, რომელსაც ფინურ "ინტერში" მოთამაშე **ირაკლი სირბილაძეც** შეუერთდა, "ბასაზე" კვლავაც დახურულ კარს მიღმა ივარჯიშა.

სამაგიეროდ, დღეს, 17 საათსა და 30 წუთზე საქართველოს ნაკრები "დინამო არენაზე" ღია ვარჯიშს გამართავს, მანამდე კი ეროვნული სტადიონის საკონფერენციო დარბაზში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას პრესკონფერენცია გაიმართება.

ამის შემდეგ "დინამო არენა" ბელარუსებს დაეთმობათ, რომლებიც ვარჯიშსაც ჩაატარებენ და პრესკონფერენციასაც.

დღეისთვის ჩვენი ეროვნული გუნდი ბელარუსისა და ესპანეთის დასახვედრად ამ შემადგენლობით ვარჯიშობს:

მეკარეები: **გიორგი ლორია (დინამო), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო);**

მცველები: **გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერისფორი, თურქეთი), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ბაქი, აზერბაიჯანი), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (გაზ მეთანი, რუმინეთი), გიორგი რეხვიაშვილი (დინამო), დავით კვირკველია (დილა);**

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი (კარპატი, უკრაინა), ჯაბა კანკავა (დნიპრო, უკრაინა), ჯანო ანანიძე (სპარტაკი მ. რუსეთი), დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი (ორივე - ილიჩევეცი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი, უკრაინა), სანდრო გურული, ზურაბ არზიანი (ორივე - დილა) ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი), თორნიკე გორგიაშვილი (ზესტაფონი);**

თავდამსხმელები: **ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ირაკლი სირბილაძე (ინტერი, ფინეთი).**

შეგახსენებთ, ნაკრებში **მათე ვაწაძის** ნაცვლად გამოძახებული **ჯაბა დვალი** ეროვნულ გუნდში ტრავმის გამო ვერ გამოცხადდა და მის ნაცვლად ქეცბაიამ გორის "დილას" ნახევარმცველ **ზურაბ არზიანს** უხმო.

საბედნიეროდ, ჯერჯერობით, საქართველოს ნაკრებს მეტი დანაკლისი აღარ აქვს და იმედია, ჩვენს ეროვნულ გუნდს არც ბელარუსთან მატჩის შემდეგ გამოაკლდება ვინმე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მეტოქე. ბელარუსი

# პირველი შეხვედრა პროგრესირებად მეტოქესთან

საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ბელარუსთან ხვალინდელი საშინაო დაპირისპირებით იწყებს. ნამდვილად არ გვყავს ხელწამოსაკრავი მეტოქე, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ბელარუსის ნაკრები ჩვენი უშუალო კონკურენტია და მასთან საშინაო მატჩში დადებით შედეგად მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას თუ მივიჩნევთ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოსა და ბელარუსის ნაკრებები დაახლოებით მსგავსი წარსულით დაიკვეხნიან – არც ერთი გუნდი ახლოსაც კი არ ყოფილა ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლასთან. წინა შესარჩევ ტურნირში ბელარუსმა უკეთესი შედეგი აჩვენა. ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო ჯგუფში მეოთხე ადგილი დაიკავა – საფრანგეთს, ბოსნიასა და რუმინეთს ჩამორჩა და მხოლოდ ალბანეთსა და ლუქსემბურგს გაასწრო. სამაგიეროდ, ჩვენს ხვალინდელ მეტოქეს იმით შეუძლია თავის მოწონება, რომ საფრანგეთს ორ მატჩში ოთხი ქულა აართვა – სტუმრად დაამარცხა, შინ კი ფრედ ითამაშა.

მეტ-ნაკლები თანასწორობა მხოლოდ ეროვნული ნაკრებების დონეზე გვაქვს, სხვა საზომებით კი ბელარუსულმა ფეხბურთმა აშკარად გადაასწრო ქართულს – ბორისოვის ბატე, რომელმაც დიდი ხანია, ქვეყნის ფლაგმანის წოდება მინსკის "დინამოს" ჩამოართვა, წლეულს ზედიზედ მესამედ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, სულ კი ეს პატივი ოთხჯერ ხვდა წილად.

ბელარუსულ ფეხბურთს არანაკლები წარმატება ახალგაზრდულმა ნაკრებმა მოუტანა, რომელმაც ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა და ლონდონის ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ბელარუსის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამ წარმატებას ეროვნული გუნდის ამჟამინდელი თავკაცის, **გეორგი კონდრატიევის** ხელმძღვანელობით მიაღწია. ეროვნული ნაკრები მან შარშან გერმანელი **ბერნდ შტანგესგან** გადაიბარა.

ზედმეტია იმის შეხსენება, რომ საბჭოთა პერიოდში ბელარუსული ფეხბურთის სახე მინსკის "დინამო" იყო, რომლის ყველაზე დიდი მიღწევაც 1982 წელს მოპოვებული საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაა.

მივუბრუნდეთ ბელარუსის ეროვნული ნაკრების პოსტსაბჭოურ ისტორიას, სადაც ამ გუნდმა რამდენიმე ხმაურიანი სენსაცია მოახდინა. საფრანგეთის ძლევა უკვე ვახსენეთ და ბელარუსებს ორჯერ დაუმარცხებიათ ჰოლანდია, ფრედ კი იტალიასა (ორჯერ), გერმანიასა და არგენტინასთან უთამაშიათ. თურქეთის, უკრაინის, ნორვეგიის, ბულგარეთის, შოტლანდიისა თუ პოლონეთის რანგის მეტოქეებთან გამარჯვებაზე არაფერს ვამბობთ, ასეთები ჩვენს ხვალინდელ მეტოქეს მრავლად მოეძებნება.



შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე ბელარუსის ნაკრებს უფრო მეტი გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავდა, ვიდრე დღეს – **ვალენტინ ბელკევიჩი, მაქსიმ ხაცკევიჩი, სერგეი გურენკო** და სხვები.

თუმცა დამოუკიდებელი ბელარუსული ფეხბურთის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი მაინც ალექსანდრ გლები, რომელმაც სახელი გერმანულ "შტუტგარტსა" და ინგლისურ "არსენალში" თამაშით გაითქვა, ერთი სეზონი კი "ბარსელონაში" გაატარა. თუმცა მისი საუკეთესო წლები უკვე უკანაა და ახლა ბატე-ში თამაშს სჯერდება, საქართველოში კი ტრავმის გამო ვერ ჩამოდის.

თუმცა ბელარუსის ნაკრების მთავარი კოზირი მაინც გუნდური თამაშია, ოლიმპიადაზე გასული თაობა კი მალე ეროვნული გუნდის მამოძრავებელი ძალა გახდება და შეიძლება, გლების დონის ახალი ვარსკვლავებიც გამოჩნდნენ. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს მომავალში ამ თაობის წყალობით ბელარუსის ეროვნული ნაკრები დღევანდელზე ძლიერი გუნდი იქნება.

საქართველოს ნაკრებს თითქმის ყველა პოსტსაბჭოურ ნაკრებთან უთამაშია, თუმცა ბელარუსი გამონაკლისია – ხვალ ამ ქვეყნების ეროვნული გუნდები ერთმანეთს პირველად დაუპირისპირდებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ახალგაზრდული ნაკრები

06.09. თბილისი. მ.მესხი 19:00

**საქართველო-ესტონეთი**

Bwin: 1.53 3.70 5.75

# ახალგაზრდები შესარჩევს დღეს დახურავენ



გურამ დოლუენჯაშვილის ფოტო

დღეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრას ითამაშებს, "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე ესტონეთს უმასპინძლებს, მატჩი 19 საათზე დაიწყება.

შეხვედრის პირდაპირი ტელეტრანსლიაცია არ იქნება, ბილეთის ფასი კი 5 ლარია. საქართველოს 21-წლამდელებს ჯგუფიდან გასვლის შანსი შესარჩევი ციკლის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გადაეწურათ, გუნდი შუა გზაზე ჩაიბარა **ალექსანდრე ჩივაძემ** და ისეთი სელექცია წამოიწყო, რომ შედეგის გარდა გათვლა მომდევნო შესარჩევ ეტაპზე გააკეთა – ის ფეხბურთელები უხვად გამოიძახა, ასაკით მომავალ ციკლშიც რომ შეეძლებათ თამაში.

ჩივაძემ ესტონეთთან წინა მატჩებთან შედარებით კიდევ უფრო გადასხვაფერებული შემადგენლობა გამოიძახა და ვნახოთ, როგორ გამოიჩენენ ისინი თავს.

გუშინ ჩივაძემ ფეხბურთელები ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" ავარჯიშა, წვრთნა დახურული იყო. დანარჩენი დღეს, ვაკეში გამოჩნდება.

**დავით თავართქილაძე**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 21-2 | 18 |
| 2. შვეიცარია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-4 | 13 |
| 3. საქართველო | 7 | 2 | 1 | 4 | 6-17 | 7 |
| 4. ხორვატია | 7 | 2 | 1 | 4 | 7-10 | 7 |
| 5. ესტონეთი | 6 | 0 | 1 | 5 | 1-14 | 1 |

**6 სექტემბერი**

საქართველო — ესტონეთი
შვეიცარია — ესპანეთი

**ბოლო ტური:**

**10 სექტემბერი**

ესპანეთი — ხორვატია
შვეიცარია - ესტონეთი

მეტოქე. ბელარუსი. მსოფლიოს 2014 შესარჩევი ციკლი

# ხაჩატურიანმა ბელარუსების აზრი გაახმოვანა



ბელარუსის ნაკრების შემადგენლობაში თბილისს სოლიგორსკის "შახტიორის" ნახევარმცველი **ანდრეი ხაჩატურიანი** ესტუმრება. ხაჩატურიანი ბელარუსულ "პრესბოლს" სომხეთთან ჩატარებულ და საქართველოსთან 7 სექტემბერს გასამართ შეხვედრაზე ელაპარაკა.

*"თუ გგონიათ, რომ ერევანში მაყურებლის სტვენა ძალიან მეწყინა, ცდებით. მხოლოდ იმაზე ვნერვიულობდი, რომ ნაკრებში პირველ შეხვედრას ვატარებდი. დაე, უსტვინონ, რეაქცია არ მექნება. პრესკონფერენციაზეც მოსალოდნელ კითხვებს მისვამდნენ. მე ხომ სომხეთის ნაკრებშიც შემეძლო თამაში, მაგრამ ჩემი ბაბუა მინსკში ცხოვრობდა.*

*... კონდრატიევმა გვითხრა, სომხები და ქართველები დაახლოებით ერთ სტილში თამაშობენო. საქართველოს ნაკრების თამაშს უახლოეს დღეებში დეტალურად გავარჩევთ. თბილისში მხოლოდ მოგება დამაკმაყოფილებს. ნაკრების ყველა ფეხბურთელი ასე არის განწყობილი"* – ამბობს ხაჩატურიანი.

იმავე აზრზეა მინსკის „დინამოს" მცველი **ვიტალი ტრუბილო:** *"ბევრი ფიქრობს, რომ პირველი ქულები თბილისში უნდა მოვიპოვოთ და ქართველებთან მოგება მართლაც ძალიან გვინდა. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წაგების ალბათობაც არსებობს, რადგან საკმაოდ ნორმალური გუნდია და ბევრი კარგი შემსრულებელი ჰყავთ. ისინი დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევენ. მაგრამ მაინც მგონია, რომ წარმატებას მივაღწევთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

ფიფას რეიტინგი

# 86-ე ადგილი ლუქსემბურგთან გამარჯვებით

გუშინ ფიფასა და "კოკა კოლას" მორიგი ერთობლივი სანაკრებო რეიტინგი გამოქვეყნდა, სადაც საქართველოს ეროვნულ გუნდს საგრძნობი პროგრესი აქვს – თუკი წინა თვეში 97-ე საფეხურზე იყო, ახლა ერთბაშად 11-ადგილიანი ალმასვლა აქვს და დღეისთვის 86-ე პოზიციაზეა. ასეთი წინსვლა აგვისტოში ლუქსემბურგის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში სტუმრად მოპოვებულმა გამარჯვებამ განაპირობა.

გადავხედოთ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეების მდგომარეობასაც – ესპანეთი, რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობით ინარჩუნებს პირველობას, საფრანგეთი ერთი პუნქტით დაქვეითდა და მე-15-ეა, ბელარუსი 76-ე ადგილზე დარჩა, ფინეთი კი 72-ედან 96-ე პოზიციამდე დაეშვა.

რეიტინგის საუკეთესო სამეულში არაფერი შეცვლილა, უჩვეულო კი ის არის, რომ ბრაზილია კვლავაც ვერ ახერხებს ზეათეულში შესვლას.

**საუკეთესო ოცეული ასეთია:**

1. ესპანეთი 1617
2. გერმანია 1437
3. ინგლისი 1274
4. პორტუგალია 1232
5. ურუგვაი 1217
6. იტალია 1174
7. არგენტინა 1121
8. ჰოლანდია 1044
9. ხორვატია 1020
10. დანია 1006
11. საბერძნეთი 1001
12. ბრაზილია 996
13. რუსეთი 990
14. ჩილე 994
15. საფრანგეთი 965
16. კოტ დივუარი 912
17. ეკვადორი 890
18. შვედეთი 875
19. ჩეხეთი 869
20. შვეიცარია 847

76. ბელარუსი 443
86. საქართველო 405
96. ფინეთი 365

**ლევან ჯანეზაშვილი**

ახალი თაობა

# ბაჩანა არაბული: დაბრუნება და მომავლის იმედი

**ბაჩანა არაბულმა** ქართველ გულშემატკივრებს თავი 2010 წლის შემოდგომაზე, თბილისში გამართულ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის პირველი შესარჩევ ეტაპზე დაამახსოვრა. შესანიშნავი მონაცემების მქონე თავდამსხმელი, რომლის მიმართ დაინტერესებას "მანჩესტერ სიტიც" კი იჩენდა, დღეს ალბათ, რომელიმე ძლიერი უცხოური კლუბის წევრი იქნებოდა, რომ არა მძიმე ტრავმა, რომელიც გასული წლის გაზაფხულზე, ელიტრაუნდამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღო. ეს უსიამოვნო ამბავი ვარჯიშისას, ყოვლად უხიფათო სიტუაციაში მოხდა.

ექიმები თავიდან იმედოვნებდნენ, რომ მუხლის ჯვარედინი მყესები არ იყო განყვეტილი, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ბაჩანას ოპერაცია დასჭირდა, რომელიც გერმანიაში, შტუტგარტის კლინიკაში ჩაუტარდა.

მისი რეაბილიტაციის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა და ვარჯიში არცთუ დიდი ხნის წინ განაახლა, მოედანს კი ახლახან, საქართველოსა და სომხეთის 19-წლამდელთა ნაკრებების ამხანაგურ მატჩებში დაუბრუნდა. ის შეხვედრები ჩვენმა გუნდმა 1:0 და 4:0 მოიგო.

*"საბედნიეროდ, უკვე სრულად გამოვჯანმრთელდი, მაგრამ რადგან გუნდთან ერთად შეკრება არ გამივლია, ფიზიკურად სათანადოდ არ ვარ მომზადებული. სათამაშო პრაქტიკა და ინტენსიური ვარჯიში მჭირდება და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება"*, - გვითხრა არაბულმა.

არაბულის სატრანსფერო უფლებები კვლავ საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" ეკუთვნის და სავარაუდოდ, ზამთრის სატრანსფერო პერიოდამდე იქვე დარჩება. შემდეგ კი კარიერის მაღალ დონეზე გაგრძელების დიდი სურვილი აქვს. კონკრეტულ შეთავაზებებზე საუბარი ჯერ ადრეა. შესაძლოა, 2013 წლიდან არაბულმა კარიერა საზღვარგარეთ გააგრძელოს და არც ის არის გამორიცხული, რომ ქართული პრემიერლიგის რომელიმე კლუბში ვიხილოთ. ბაჩანა მოხარულია, რომ მოედანზე დაბრუნების შემდეგ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები საერთოდ აღარ აწუხებს და წონასაც კარგად აკონტროლებს.

19-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებით ძალიან გახარებულია და იმედი აქვს, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას: *"ნაკრების მწვრთნელების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ ოფიციალურ მატჩებს სულ სხვა მოთხოვნები აქვს და საქართველოს ნაკრებში დასამკვიდრებლად დიდი შრომა დამჭირდება. თამაშს მონყურებული ვარ და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევაა"*.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპს ხორვატიაში ჩაატარებს და მასპინძელთა გარდა, ჯგუფში მისი მეტოქეები აზერბაიჯანი და ისლანდია იქნებიან. ელიტრაუნდში ჯგუფიდან ორი გუნდი გადის.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბაჩანა არაბული

ჩვენები უცხოეთში

**ბაქოს "ინტერის" მწვრთნელ-სელექციონერი ალექსანდრე რეხვიაშვილი საინტერესო ამბებს გვიყვება კლუბზე, აზერბაიჯანულ ფეხბურთზე და პარალელებს ავლებს საქართველოსა და ლატვიის ფეხბურთთან.**

ალექსანდრე რეხვიაშვილი:

# აზერბაიჯანის ფინანსებთან ძალიან ჩამოვრჩით



ალექსანდრე რეხვიაშვილი

**- აზერბაიჯანში როგორ მოხვდი?**

- ფიფას ლიცენზირებული აგენტი გავხდი და მოთამაშეები ლატვიაში, უკრაინაში, რუსეთსა და პოლონეთში მიმყავდა. "ინტერის" მთავარ მწვრთნელს კახა ცხადაძეს ლატვიის ნაკრების ფეხბურთელი იგორ ტარასოვი ჩავუყვანე. მართალია, თავიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ლატვიაში დაბრუნდა, მიუხედავად ამისა, "ინტერთან" თანამშრომლობაც ასე დავიწყე და მალე კლუბში მიმიწვია.

**- ლატვიურ ფეხბურთში მართლა დიდი კრიზისია?**

- კრიზისია, რადგან სახელმწიფო ფეხბურთს არ ეხმარება. ადრე ბიზნესი მაინც აფინანსებდა, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ მათაც პრობლემები შეექმნათ და ფეხბურთისთვის არავის ეცალა.

**- დავაკონკრეტოთ: ახლა ლატვიური კლუბების საშუალო ბიუჯეტი რამდენია?**

- ლიდერთა ხუთეულის კლუბებს 3-4 მილიონი დოლარი ექნებათ, დანარჩენებს კი დაახლოებით 500 ათას დოლარამდე. შეიძლება ითქვას, რომ ახლა ლატვიური ფეხბურთის სტატუსი ნახევრად სამოყვარულია და ფეხბურთელები მხოლოდ ლიდერ კლუბებში თუ იღებენ შედარებით დიდი ხელფასებს, 2-2,5 ათას დოლარს. ლატვიის ფასების გათვალისწინებით, ეს მწირი თანხაა.

**- აზერბაიჯანში რა მდგომარეობაა?**

- მაგალითად, ბაქოს "ნეფთჩის" სახელფასო ბიუჯეტი 12 მილიონი დოლარია. დაახლოებით ამდენივეა "ყარაბახში", "ხაზარში", "ბაკიში", "გაბალაში", მინიმალური ბიუჯეტი კი 3 მილიონზე ნაკლები არ უნდა იყოს.

"ინტერის" ბიუჯეტი ამ გუნდებთან შედარებით ბევრად ნაკლებია; და ამიტომაც არის ბევრისთვის გაუგებარი, ლიდერებს ღირსეულად როგორ ვეთამაშებით. ყველა აღიარებს, რომ ეს კახა ცხადაძის დამსახურებაა.

**- აზერბაიჯანში ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშის ანაზღაურება გვაინტერესებს.**

- ტოპ-ფეხბურთელს წელიწადში 400 ათას დოლარს უხდიან, მინიმალური ხელფასი კი თვეში დაახლოებით 1000 მანათია, ანუ დაახლოებით ათასი ევრო. ჩემი აზრით, აზერბაიჯანის ჩემპიონატის დონისა და რეიტინგის გათვალისწინებით არანორმალურია, ზოგიერთი კლუბი არადეკვატურად დიდ ხელფასებს რომ გასცემს.

**- ანუ "ინტერი" მდიდრებში არ შედის?**

- ჩვენთან მთავარი არის საქმისადმი სწორი მიდგომა: მაგალითად, "ინტერში" წლეულს მოთამაშეთა სტიმულაციისთვის ვარჯიშზე თავდადებისთვის დამატებითი პრემია დაწესდა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზეც პრემიაა. ამ მეთოდმა გაამართლა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ კახა არა მხოლოდ გამოცდილი, ჭკვიანი სპეციალისტიც არის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საქმისადმი მიდგომა: ყველამ იცის, რა სიბინძურეებიც ხდება ფეხბურთში, რას კადრულობენ მწვრთნელები და აგენტები, რა ფულის გათეთრებები ხდება. მთელ მსოფლიოში მწვრთნელ-სელექციონერის პოსტი "ქერის ორმოდ" ითვლება. მე კი ამაყი ვარ, რადგან წესიერად ვმუშაობთ და კახასთანაც და კლუბის ხელმძღვანელებთან საერთო ენა იოლად გამოვნახეთ. ამიტომაც არის, აზერბაიჯანის პრემიერლიგის უმდიდრესი კლუბები ჩვენი ფეხბურთელებით რომ დაინტერესდნენ და სოლიდურ თანხებს გვთავაზობენ.

სხვათა შორის, საინტერესო მოთამაშეები ჩამოვიყვანეთ: ფრანგული "მეცის" მცველი, კონგოს ნაკრების კაპიტანი ბრუს აბდულაი, რომელიც საფრანგეთშია გაზრდილი; შვეიცარიული "ციურიხის" გაზრდილი ჰაინც ბანმატლერი, რომელმაც გუნდში 100-ზე მეტი თამაში ჩაატარა, მათ შორის, ჩემპიონთა და ევროპის ლიგაში. დედა დომინიკანელი ჰყავს და ამ ქვეყნის ნაკრებში მიიწვიეს. ახლა ტოგოს ნაკრების თავდამსხმელი ჯაკო არაფატი დავიმატეთ და სატრანსფერო ფანჯარა დავხურეთ.

**- მდიდარ კლუბებთან საპაექროდ ეს ტრანსფერები საკმარისი იქნება?**

- პირველ ოთხ ტურში ჯერ 5 ქულა გვაქვს, უშუალო კონკურენტებთან, "გაბალასთან", "ყარაბახთან" და "ხაზართან" უნდა მოგვეგო, მაგრამ მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებლის გამო ვერ მოვახერხეთ. თუმცა, მიმაჩნია, რომ არაფატის დამატებით პრობლემა მოვაგვარეთ და ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვიძლია. კახა თეორიულ მომზადებას დიდ დროს უთმობს და ფეხბურთელებს დავალებებს დეტალურად უხსნის. საერთოდ, "ინტერს" აზერბაიჯანში პროფესიონალების კლუბად იცნობენ: 100 მანათს არ დავხარჯავთ, თუ საქმე 10 მანათით გაკეთდება. ამ მხრივ, ცხადაძის მუშაობა მართლა ძალიან მომეწონა.

**- ქართული ფეხბურთი აზერბაიჯანულს ჩამორჩა?**

- ფინანსურად მნიშვნელოვნად გაგვისწრეს. თამაშამდე ორი დღით ადრე მეტოქეს ვსტუმრობთ და მატჩისთვის მშვიდად ვემზადებით, პატარა ქვეყანაში ზოგჯერ თვითმფრინავით ვმგზავრობთ და არა ავტობუსით.

მაგრამ რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ინფრასტრუქტურულად ჩვენთან არანაკლებ მნიშვნელოვანი პროცესებია. მაგალითად, აზერბაიჯანში მხოლოდ "ბაქის" აქვს ისეთი ბაზა, როგორიც გააკეთეს "დინამომ", "ზესტაფონმა", "ტორპედომ", ფეხბურთის ფედერაციამ. ისიც ცუდია, რომ აზერბაიჯანში სულ ხელოვნურ საფარს აგებენ. საქართველოში კი ბოლო დროს კარგი მოედნები გააკეთეს - ეროვნულზე, "მიხეილ მესხზე", ქუთაისში, ფოთში, გორში და ამ კუთხითაც ვუსწრებთ.

ისიც ნუ მოგვატყუებს, რომ "ნეფთჩიმ" "ზესტაფონი" გამოაგდო – ძალიან მეეჭვება, "ზესტაფონის" შარშანდელი შემადგენლობა დაემარცხებინათ. ახლა კი ჩვენები დაცვაში ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ...

მაგრამ ჩვენ აზერბაიჯანს კი არა, ევროპელებს უნდა შევედაროთ და მეტი სავარჯიშო მოედანი გავაკეთოთ. საქართველოში აზერბაიჯანული და სომხური კლუბები მოსამზადებლად რომ ჩამოვიდნენ, ეს ბიზნესის კუთხითაც სასურველია – ჩვენთან კარგი კლიმატია, სასტუმროებისა და იჯარის ფასებიც მისაღებია, მაგრამ შეკრებაზე ჩამოსულებს მოედნის დაქირავება გაგვიჭირდა, რადგან უმრავლესობა არ ვარგოდა. ეს თუ გამოვასწორეთ, ბევრი ჩამოვა და კლუბებსა და ბაზებს დამატებითი შემოსავალი გაუჩნდებათ.

**მერაბ მამულაშვილი**

---

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" თანაუგრძნობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორს ნიკა ჩხეიძეს მამის გარდაცვალების გამო.

---

„სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების" საქართველოს ფილიალი სამძიმარს უცხადებს სფფ-ს ტექნიკურ დირექტორს ნიკა ჩხეიძეს მამის გარდაცვალების გამო.

---

მერაბ ჟორდანია სამძიმარს უცხადებს ნიკა ჩხეიძეს მამის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ნაკრები. შესარჩევი ციკლის წინ



1996 წლის 9 ნოემბერი. საქართველო-ინგლისი 0:2

# მწარე რეალობა

თავიდანვე ასე ვიყავით: ყოველი ახალი შესარჩევი ციკლის დაწყებას „ქრონიკული" ოპტიმიზმით ვხვდებოდით; თუმცა, ჩვენი უპირველესი გუნდი ამა თუ იმ შესარჩევ ციკლში სამ-ოთხ ოფიციალურ მატჩს ჩაატარებდა და... საქართველოს ნაკრებისთვის დარჩენილ შეხვედრებს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ხასიათილა თუ ჰქონდა. რა თქმა უნდა, ერთი-ორი სასიამოვნო გამონაკლისიც იყო ხოლმე: ბოლოს და ბოლოს, წინა შესარჩევი ციკლი გავიხსენოთ, როდესაც საქართველოს ნაკრების წარმატებული სტარტის მერე 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაზე ავლაპარაკდით, მაგრამ ბოლო შეხვედრებში ასე კარგად „ნაცნობი" თუ „შეგუებული" იმედგაცრუება გველოდა...

...და აი, ახალი შესარჩევი ციკლი და კვლავაც ახალი იმედი; თუმცა, მოდი, გულახდილად ვთქვათ: ასეთი მეტოქეების გარემოცვაში მყოფ საქართველოს ნაკრებს ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის დაკავებას ვერავინ მოსთხოვს! ჰო, კენჭისყრისას აშკარად არ გაგვიმართლა და პირველ-მეორე კალათიდან ესპანეთი და საფრანგეთი გვერგო; მაგრამ, ნურავის ექნება იმის ილუზია, თითქოს ბელარუსს ან ფინეთს იოლად გავუმკლავდებით. რა თქმა უნდა, ისეც არ გვინდა ვინმემ გაიგოს, თითქოსდა, ჯგუფის გამოკვეთილი აუტსაიდერობისათვის წინასწარ ვიყოთ განწირული, მაგრამ ნურც რეალობის შეგრძნებას დავკარგავთ!..

...1994 წლის 7 სექტემბრიდან (საქართველოს ნაკრებმა პირველი ოფიციალური მატჩი რომ ჩაატარა) დღემდე ჩვენს უპირვლეს გუნდში არაერთ გამორჩეულ ფეხბურთელს უასპარეზია; სამწუხაროდ, ვერც პირველმა (და, მართლაც გამორჩეულმა) თაობამ (**ქინქლაძე, არველაძეები, ქეცბაია, ჯამარაული, ცხადაძე, შელია, ნემსაძე, გოგიჩაიშვილი**) და ვერც მომდევნომ (**კობიაშვილი, კალაძე, იაშვილი, დემეტრაძე, ცქიტიშვილი, ასათიანი**) ვერ შეძლო ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მოხვედრა; ჰო, თაობას თაობა ცვლიდა, ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობა ევროპის ტოპ-ლიგებში (ინგლისი, იტალია, გერმანია) ბრწყინავდა, მაგრამ საქართველოს ნაკრები მაინც ვერ ახერხებდა მთავარი მიზნის მიღწევას. ახლა კი, რა ხდება: ალარც ტოპ-ლიგებში თამაშობენ ქართველები და საერთოდაც, უნდა ვალიაროთ, რომ დღესდღეობით მწარე რეალობის წინაშე ვდგავართ: საქართველოს ნაკრებში კი არა, საერთოდ, ქართულ ფეხბურთში კვალიფიციური მოთამაშეების კატასტროფული დეფიციტია! ალარაფერს ვამბობთ სამწვრთნელო ფაქტორზე: დღემდე საქართველოს ნაკრებმა 9 შესარჩევი ციკლი ჩაატარა და მხოლოდ ოთხმა სპეციალისტმა (**ჩივაძე, ტოპმიოლერი, კუპერი, ქეცბაია**) შეძლო შესარჩევი ეტაპის დაწყება-დამთავრება. ანუ, საქმეს არც გაუთავებელი სამწვრთნელო გადაადგილებები შველოდა და არც უნიჭო პიარკამპანიები. არადა, მართლაც პარადოქსია, მაგრამ, ფაქტია: 90-იან წლებში ჩვენი ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებს კრიტიკა არ აკლდათ იმის გამო, რომ გერმანიას, ინგლისსა თუ იტალიას, შინ და გარეთ რატომ ვერ ამარცხებთო!?. ჰო, ნამდვილად ასე იყო: ჩვენთვის სადებიუტო შესარჩევ ციკლში მესამე ადგილი რომ დავიკავეთ (ხუთი მოგება გვქონდა!), აი, მაშინ ვიფიქრეთ, ანი ჩვენი შემჩერებელი ვერავინ იქნებაო. თუმცა, რეალობა სხვაგვარი ალმოჩნდა: ერთი-ორი ციკლის გამოკლებით საქართველოს ნაკრები შესარჩევ ციკლს ბოლო ან ბოლოსწინა ადგილზე ამთავრებდა, თანაც, ბოლოსწინაზე რომ გავდიოდით, უკან ყაზახეთს, ფარერებს, მალტასა და მოლდოვას თუ ჩამოვიტოვებდით ხოლმე. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ხომ, საერთოდ, „შავი ლაქაა" ქართული ფეხბურთის ისტორიაში: საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო! აი, სწორედ ამის შემდეგ მიხვდნენ ქართული ფეხბურთის „მამები", რომ უცხოელი სპეციალისტის მოწვევა ნარმატების გარანტი ვერ იქნებოდა და ეროვნული ნაკრები თემურ ქეცბაიას ჩააბარეს. ქეცბაიაა დღესაც ნაკრების „მესაჭე" და მასზე უკეთ არავინ იცის, თუ რა კონტინგენტი ჰყავს და რეალურად, რისი მიღწევა შეიძლება დღევანდელი შემადგენლობით...

**გია ტუხაშვილი**

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპებზე:

**1998**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 6 | 1 | 1 | 15-2 | 19 |
| 2. იტალია | 8 | 5 | 3 | 0 | 11-1 | 18 |
| 3. პოლონეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| 4. საქართველო | 8 | 3 | 1 | 4 | 7-9 | 10 |
| 5. მოლდოვა | 8 | 0 | 0 | 8 | 2-21 | 0 |

*მწვრთნელები: ალექსანდრე ჩივაძე; დავით ყიფიანი*

**2002**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 6 | 2 | 0 | 16-3 | 20 |
| 2. რუმინეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 10-7 | 16 |
| 3. საქართველო | 8 | 3 | 1 | 4 | 12-12 | 10 |
| 4. უნგრეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 14-13 | 8 |
| 5. ლიტვა | 8 | 0 | 2 | 6 | 3-20 | 2 |

*მწვრთნელები: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი; ალექსანდრე ჩივაძე*

**2006**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უკრაინა | 12 | 7 | 4 | 1 | 18-7 | 25 |
| 2. თურქეთი | 12 | 6 | 5 | 1 | 23-9 | 23 |
| 3. დანია | 12 | 6 | 4 | 2 | 24-12 | 22 |
| 4. საბერძნეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 15-9 | 21 |
| 5. ალბანეთი | 12 | 4 | 1 | 7 | 11-20 | 13 |
| 6. საქართველო | 12 | 2 | 4 | 6 | 14-25 | 10 |
| 7. ყაზახეთი | 12 | 0 | 1 | 11 | 6-29 | 1 |

*მწვრთნელები: ალენ ჟირესი; გაიოზ დარსაძე*

**2010**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 10 | 7 | 3 | 0 | 18-7 | 24 |
| 2. ირლანდია | 10 | 4 | 6 | 0 | 12-8 | 18 |
| 3. ბულგარეთი | 10 | 3 | 5 | 2 | 1&-13 | 14 |
| 4. კვიპროსი | 10 | 2 | 3 | 5 | 14-16 | 9 |
| 5. ჩერნოგორია | 10 | 1 | 6 | 3 | 9-14 | 9 |
| 6. საქართველო | 10 | 0 | 3 | 7 | 7-19 | 3 |

*მწვრთნელი: ექტორ კუპერი*

ფუტსალი. უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი.

# იბერიამ ფრანგებთან მოგებით დაიწყო

05.09.2012. სლოვენია.

**იბერია-სპორტინგი (პარიზი) 3:2**

0:1 ბეტინიო (11 პ), 1:1 აუგუსტო (16), 2:1 აუგუსტო (18), 3:1 ბეტინიო (25), 3:2 პინეირო (34).

იბერია: **სელიო, რომარიო, აუგუსტო, რონინიო, ბრუნო მელო** – აკოპოვი (მ), ალთუნაშვილი, ძაბირაძე, ლუსიო, ბეტინიო.

სპორტინგი: **არუნი, ბარბოზა, გომესი, პინეირო, ბეტინიო** – ვალენტე (მეკარე), ნეუკერმანსი, ამარალი, საკრისტანი, შოლე, მენდეს პერეირა, დასა.

არბიტრები: **ო. ჩერნი (ჩეხეთი), ს. ტომიჩი (ხორვატია)**

საქართველოს ჩემპიონი "იბერია სტარი" 12-საათიანი მგზავრობის შემდეგ სლოვენიაში 3 სექტემბერს ჩავიდა და საფრანგეთის ჩემპიონ "სპორტინგთან" პირველი მატჩისთვის მზადება განრიგის შესაბამისად გააგრძელა. ფრანგებს კი სლოვენიაში ჩასვლამდე პრობლემები შეექმნათ. "ლუფტჰანზაში" გაფიცვა იყო და სათამაშოდ დროულად რომ გამოცხადებულიყვნენ, ბილეთების გადაცვლა მოუხდათ.

შეხვედრა საქართველოს ჩემპიონის უპირატესობით დაიწყო. პირველივე წუთებზე სამჯერ შეეძლო კარის აღება **ბრუნო მელოს, აუგუსტოს, ბეტინიოს, რომარიოს,** მაგრამ "სპორტინგის" მეკარე **არუნმა** პარიზელები რამდენჯერმე გადაარჩინა. თქვენ წარმოიდგინეთ, "იბერიას" მეკარე **სელიოს** დარტყმის მოგერიებაც კი მოუხდა.

სამწუხაროდ, ამდენი არარეალიზებული მომენტების შემდეგ ლოგიკური რამ მოხდა და ჩვენი ჩემპიონი დაისაჯა: რომარიომ წესი დაარღვია, პარიზელთა ლეგიონერმა **ბეტინიომ** კი პენალტით ანგარიში გახსნა – 0:1.

თუმცა, აუგუსტომ ანგარიში სწრაფად გაათანაბრა, მალე კი ქართველები დააწინაურა – 2:1.

მეორე ტაიმში უკვე "ჩვენმა" **ბეტინიომ** გამოიჩინა თავი და "იბერიას" უპირატესობა სოლიდური გახდა – 3:1.

თუმცა, შეხვედრის დასრულებამდე დარჩენილი 15 წუთი დაძაბულად წარიმართა. 33-ე წუთზე "სპორტინგის" მოთამაშემ **დინის პინეირომ** სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა – 3:2.

პარიზელებმა ბოლო წუთებზე მთელი ძალებით შეუტიეს, "იბერია" რამდენჯერმე გადაარჩინა მეკარე სელიომ, მაგრამ საბოლოოდ ჩვენმა ჩემპიონმა გამარჯვება შეინარჩუნა და პირველი გამარჯვება მოიპოვა.

დღეს "იბერია" "ატინა 90"-ს დაუპირისპირდება და გამარჯვების შემთხვევაში, ელიტ რაუნდის საგზურს მოიპოვებს.

**მერაბ მამულაშვილი**

სიონი

## არმაზ ჯელაძე:
# უიმედოდ არ ვართ

ბოლნისის "სიონს" ბოლო ტურის მატჩში ("ვიტ ჯორჯიასთან") მთავარი მწვრთნელის რანგში **არმაზ ჯელაძემ** პირველად უხელმძღვანელა. შეხვედრა 1:1 დასრულდა, თუმცა ბოლნისელებს ურიგოდ არ უთამაშიათ.

*"მთლიანობაში, ჩემი გუნდით და "ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრით უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ, რადგან გამოჩნდა, რომ თამაში შეგვიძლია, მომენტებს ვქმნით და მთლად უიმედო მდგომარეობაში არ ვიმყოფებით. გუნდი ისეთი გამოცდილი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, თამაში რომ შეუძლიათ, მაგრამ მათი პოტენციალის გამოსაყენებლად დიდი სამუშაო არის ჩასატარებელი. მაქსიმალურად შევეცდებით, რომ სანაკრებო პაუზა ნაყოფიერად გამოვიყენოთ და ნაკლის გამოსწორებაზე ვიმუშაოთ. ჩვენი პრობლემა შეტევის განვითარება და დაცვიდან შეტევაზე გადასვლაა, ბურთის ამოტანაც გვიჭირს"* – ამბობს ჯელაძე.

შეგახსენებთ, რომ არმაზ ჯელაძე წლების განმავლობაში რუსთავის "გორდაში" და ლატვიურ კლუბებში თამაშობდა. მწვრთნელობა რამდენიმე წლის წინათ დაიწყო და რუსთავის "ოლიმპში" ასისტენტად მუშაობდა, ერთი ხანობა კი – გუნდის მთავარი მწვრთნელიც გახლდათ.

**მერაბ მამულაშვილი**




ინტერვიუ

# სად არის ბიზნესი?

## ლექსო თოფურია: ფეხბურთში ფულს ჩვენთან იმიტომ ხარჯავენ, რომ გული შესტკივათ

**უკვე ორი ტურია, რაც საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა განახლდა. თბილისის "ლოკომოტივი" ამ ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გუნდია, რადგან ძირითად ბირთვს ის ფეხბურთელები წარმოადგენენ, ვასილ მაისურაძის ხელმძღვანელობით 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ ითამაშეს.**

**რამდენიმე წლის წინ "ლოკომოტივი" ერთ-ერთი მოწინავე გუნდი იყო ეროვნულ ჩემპიონატში, მაშინ ამ გუნდში სახელიანი ფეხბურთელები თამაშობდნენ: რატი ალექსიძე, ვიტალი დარასელია, ლევან ცქიტიშვილი...**

**ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ "ლოკომოტივმა" მაღალბიუჯეტიანი პროექტების განხორციელება ველარ გააგრძელა, გუნდის შემადგენლობა ლამის მთლიანად შეიცვალა და პირველ ლიგაში ჩამოქვეითდა.**

**"ლოკომოტივმა" ახალი პოლიტიკის გატარება დაიწყო. გუშინ საგურამოში პირველი ლიგის მეორე ტურში წყალტუბოს "სამგურალი" ისტუმრა, დაძაბული შეხვედრა 2:2 დასრულდა. მატჩის დასრულების შემდეგ კი "ლოკომოტივის" პრეზიდენტს, ლექსო თოფურიას ვესაუბრეთ.**

**- თქვენი კლუბის სტრატეგია შეიცვალა და როგორ ფიქრობთ, ამით საქმე უკეთესობისკენ წავა?**

- ყველაფერ ცუდს აქვს რალაც დადებითი. "ლოკომოტივი" ახლა შანსს აძლევს ახალგაზრდა ფეხბურთელებს. ჩვენს გუნდში მეტწილად 1995 წელს დაბადებულები თამაშობენ და თანდათან ისეთ გუნდად ყალიბდებიან, პირველ ლიგაში ასაკოვანი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ მეტოქეებთან თანაბრად რომ შეუძლიათ თამაში.

**- "ლოკომოტივს" საკუთარი საფეხბურთო სკოლა აქვს. ორიოდე სიტყვით გვითხარით, როგორ არის საქმე აწყობილი ამ მხრივ?**

- ჩვენს სკოლას ხუთი ასაკობრივი გუნდი ჰყავს, მოზარდები ავტობუსით დაგვყავს დილმის მასივიდან საგურამოში. რა თქმა უნდა, ეს მაინც უძნელებს გადაადგილებას ბავშვებსა და მშობლებს, ამიტომ ვცდილობთ, რომ საგურამოდან და მისი შემოგარენიდანაც ავიყვანოთ ბავშვები ჩვენს სკოლაში, თუნდაც მცხეთიდან და ახალსოფლიდან – სელექცია ამ მიმართულებითაც უნდა ვაწარმოოთ.

**- ზოგს მიაჩნია, რომ "ლოკომოტივი" ახალგაზრდა ფეხბურთელებს უცხოურ კლუბებში გასაშვებად ამზადებს და არ აინტერესებს მათი გასხვისება წამყვან ქართულ გუნდებში – მართლა ასეთი გეზი გაქვთ არჩეული?**

- ჩვენ კონკრეტული მიზანი გვაქვს – პირველ ლიგაში სერიოზული გუნდის შექმნა. რა თქმა უნდა, ძნელია, რომ ამ გუნდით უცბად იბრძოლო უმაღლეს ლიგაში გადასავლელად, მაგრამ ამ კონტინგენტის "ლოკომოტივში" და ნაკრებში ერთად თამაშით ის ძალა იქმნება, რომელსაც პერსპექტივა გაუჩნდება. ჯერ ეს ფეხბურთელები არ არიან მზად უმაღლესი ლიგის მოწინავე გუნდებში ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად, თორემ შემოთავაზებები იყო. ყველაფერს დრო გვიჩვენებს. არ არის ისე, რომ წინაალმდეგი ვიყოთ ამ ბიჭების საქართველოში დარჩენაზე, თუმცა ისიც ფაქტია, რომ არის ინტერესი უცხოეთიდან, ჭანტურია და ჯიქია "ფრაიბურგში" იყვნენ გასინჯვაზე, ჭანტურია ლონდონის "არსენალშიც" იყო.

**- როცა "ლოკომოტივი" უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, იყო მცდელობა, რომ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში კომერციალიზაცია რეალურად დაწყებულიყო, მედიაკომპანია "კოლხიდას" პროექტიც გვახსოვს, თითქოს ყველაფერი კარგად დაიქოქა, მაგრამ საბოლოოდ პროექტი წარმატებული არ ალმოჩნდა. რა იყო ამის მიზეზი?**

ამის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები არსებობს. მთავარი მიზეზი ის არის, რომ ფეხბურთი დღეს საქართველოში ბიზნესი არ არის და არც მაშინ იყო, როცა მედიაკომპანია "კოლხიდას" პროექტი დავიწყეთ. ვფიქრობ, 5-10 წელი მაინც დასჭირდება იმას, რომ ფეხბურთი საქართველოში მარკეტინგულად განვითარდეს და გაჩნდეს ის შემოსავლები, რაც არის ძირითადი ფინანსური წყარო ევროპული ფეხბურთისთვის. ფეხბურთში ფულს ჩვენთან იმიტომ ხარჯავენ, რომ ფეხბურთზე გული შესტკივათ. ამიტომაც, "კოლხიდას" პროექტი ნაადრევი გამოდგა. ამას დაერთო მსოფლიო ფინანსური კრიზისი. სხვათა შორის, აგვისტოს ომის შემდეგ "კოლხიდამ" კიდევ ერთი წელი გააგრძელა ფუნქციონირება. ხელი შეგვიშალა იმანაც, რომ მაშინ უფრო ბევრს საუბრობდნენ საეჭვო თამაშებზე და გულშემატკივრების მხრიდანაც უნდობლობა იყო ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მიმართ, ახლა ამ მხრივ ვითარება კარდინალურად შეიცვალა...

**დავით თავართქილაძე**



ლექსო თოფურია

ტალანტი. ინტერვიუ სტეფან ელ შაარავისთან

# ზლატანთან ერთად თამაში საშინელება იყო

## ელ შაარავი: იბრაზე, რინოზე და არა მარტო...

სტეფან ელ შაარავი მხოლოდ 19 წლისაა, მაგრამ უკვე ბევრს მიაღწია ფეხბურთში – "მილანის" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და ეროვნულ ნაკრებშიც კი მიიღო მიწვევა. მოკლედ, არაბული წარმოშობის იტალიელს კარგი დროება უდგას და შესაბამისად, ჟურნალისტთა დიდი ყურადღებითაც სარგებლობს. სტეფანს "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი გაესაუბრა და სხვადასხვა თემაზე მისი პოზიციით დაინტერესდა. თუმცა, არა მარტო თემებზე, ახალგაზრდა შემტევს ყოფილი თუ ამჟამინდელი თანაგუნელების დახასიათებაც მოუხდა.



სტეფან ელ შაარავი

### ზლატანი

სიმართლე გითხრათ, იბრაჰიმოვიჩთან თამაში არცთუ ისე ადვილია... როგორც თვითონ ფიქრობს. უნდა, რომ ყველა ისე მოქმედებდეს, როგორც მას სურს. მოკლედ, თუ პასს არ მიაწვდი, ყვირილს იწყებს და თამაშის ხასიათს გიფუჭებს. რაც მთავარია, არც გასახდელში ჩერდება და შეუძლია, რომ სახალხოდ გაგლანძღოს. ვცდილობდი იბრასთან მეგობრული ურთიერთობა მქონოდა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს არცთუ ისე კარგად გამომივიდა. იმედია, ზლატანი არ მიწყენს, მაგრამ სათქმელი უნდა ვთქვა – როდესაც მოედანზე იბრა არ იყო, თავს გაცილებით კომფორტულად და თავისუფლად ვგრძნობდი.

### გატუზო

როდესაც გატუზომ ჩემი ვარცხნილობა დაინახა, საშინლად გაბრაზდა და მთელი ხმით მიყვირა: სისულელეებს მოეშვი და ფეხბურთის თამაშზე იფიქრეო. მისი ასეთი რეაქცია ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო, რადგან რინოს არ ვიცნობდი და პირველივე შეხვედრისას ბოლო ხმაზე მიყვირა. შემდეგ, ახლოს გავიცანი და მივხვდი, რომ ის უბრალოდ ასეთი იყო და მისგან მსგავსი ქმედება არ უნდა გამკვირვებოდა. ჯენარო ყველაზე გულახდილი ადამიანია, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ – ყველას ძალიან გვენატრება და გული მწყდება, რომ მასთან ერთად უფრო დიდხანს ვერ ვითამაშე.

### პაცინი

პაცინის აქამდეც ვიცნობდი და მისმა ტრანსფერმა ძალიან გამახარა. ჩემი აზრით, ის იტალიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და თავის სათქმელს აუცილებლად იტყვის. ტანდემში უკვე ვითამაშეთ და კარგადაც გავუგეთ ერთმანეთს, რაც ძალიან მახარებს. რაც მთავარია, შესანიშნავი პიროვნებაა, რომელთან ურთიერთობაც ერთ რამედ ღირს. დარწმუნებული ვარ, "მილანი" მასთან ერთად გაცილებით ძლიერი იქნება.

### ვარცხნილობა

უკვე გითხარით, თუ რა რეაქცია ჰქონდა ჯენარო გატუზოს, როდესაც ჩემი ვარცხნილობა დაინახა. სიმართლე გითხრათ, სხვებმაც შემომიტიეს და მირჩიეს, რომ თავი მთლიანად გადამეპარსა. შემდეგ, მასიმო ამბროზინი გამომექომაგა და განაცხადა, რომ თუ ანალოგიური ვარცხნილობით მარეკ ჰამშიკი, ნეიმარი და ჯიბრილ სისე თავის საქმეს შესანიშნავად აკეთებენ, რატომ არ შეიძლება რომ მეც იგივე გავაკეთო? – ამბროზინი გუნდში განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობს და მას შემდეგ, ჩემს ვარცხნილობას ცუდად არავინ შეხებია.

### პოპულარობის შესახებ

როდესაც გულშემატკივრები ფოტოს გადაღებას, ან ავტოგრაფს მთხოვენ, თავს უხერხულად ვგრძნობ, რადგან მუდმივად იმის განცდა მაქვს, რომ ეს ყველაფერი არ დამიმსახურებია. ეს ჩემი ოჯახის, კერძოდ კი მამის დამსახურებაა, რომელიც ყოველთვის იმას მიმეორებს, რომ წარმატება თავში არ უნდა ამივარდეს. როდესაც სერია A-ში მოვხვდი, ჩემ მიმართ ყურადღება გაათმაგდა და დიდი იყო იმის ალბათობა, რომ რეალობის შეგრძნება დამეკარგა, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ჯერ კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი და მიწაზე მყარად დგომაა საჭირო.

რომა

# ზემანის საკადრო პრობლემები

## რომა ძამბროტას არ დაიმატებს

სხვა არაერთი ვეტერანის მსგავსად, "მილანი" **ჯანლუკა ძამბროტამაც** დატოვა და დღეს, თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. 35 წლის მცველი კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს და კლუბებიდან საინტერესო შეთავაზების მოლოდინშია. ბოლო დღეებში აქტიურად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ძამბროტა "რომასთან' გააფორმებს ხელშეკრულებას და დედაქალაქურ გუნდში გააგრძელებს კარიერას – თუმცა, ფეხბურთელის პირადმა აგენტმა ეს ინფორმაცია უარყო:

*"ჯანლუკა ძამბროტა დღეს თავისუფალი აგენტია და წინადადებებს ელოდება; რაც შეეხება მის "რომაში" შესაძლო გადაბარგების ამბავს, სრული აბსურდია, რადგან დედაქალაქური კლუბიდან ამ საკითხზე არავინ შეგვხმიანებია. "ჯალოროსის" სპორტულ დირექტორთან, ვალტერ საბატინისთან ახლო ურთიერთობა მაკავშირებს და მას რომ ძამბროტას გადაბირება უნდოდეს, პირველ რიგში, მე დამირეკავდა. ჯანლუკა ვეტერანი მოთამაშეა, რომაელები კი ახალგაზრდებზე აკეთებენ აქცენტს და სატრანსფერო კამპანიაც შესაბამისად აქვთ დაგეგმილი".*

"რომას" გულშემატკივრებისთვის არასასიამოვნო ცნობებიც გვაქვს – "ინტერთან" შეხვედრაში **ფედერიკო ბალცარეტი** დაშავდა და როგორც დეტალურმა გამოკვლევამ აჩვენა, მინიმუმ ერთ თვეს დაისვენებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დედაქალაქელებს **დოდოს** სახით კიდევ ერთი განაპირა მცველი ჰყავთ ტრავმირებული, ნათელია, თუ რატომ გახშირდა ბოლო დღეებში ჯანლუკა ძამბროტას ტრანსფერზე საუბარი. ძამბროტა იქით იყოს და **ზდენეკ ზემანს** სერიოზული პრობლემები შეექმნა – მოვუსმინოთ ჩეხ სპეციალისტს:

*"ბალცარეტის ტრავმამ ძალიან შემაშფოთა, რადგან ფლანგზე მისი ღირსეული შემცვლელის მოძებნა გაგვიჭირდება. ერთი კარგია, რომ ფედერიკოს ტრავმა სანაკრებო პაუზას დაემთხვა, მაგრამ რამდენიმე შეხვედრაში მაინც დაგვაკლდება. რას ვიზამთ, არსებულ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და გამოსავალი მოვძებნოთ, რაც შესაძლებელია".*



ზდენეკ ზემანს განაპირა მცველები დაუშავდა

პესკარა



II ტურში, „პესკარა" „ტორინოსთან" შერცხვა

# დელფინები კრიტიკის ქარცეცხლში

„პესკარამ" სერია A-ს მიმდინარე გათამაშების პირველ ორ შეხვედრაში ექვსი ქულიდან შესაძლებელი ნული აიღო, რამაც სერია B-დან ახლადაღზევებული გუნდი კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია. განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მცველები არიან მოქცეულნი, რომლებმაც ორ შეხვედრაში ექვსი გოლი გაუშვეს. კრიტიკა დაატყდა თავს გუნდის მთავარ მწვრთნელ **ჯოვანი სტროპასაც**, რომელმაც ზდენეკ ზემანი ჩაანაცვლა და საჯაროდ დადო პირობა, რომ ჩეხი სპეციალისტის ნაშენებ გუნდს მინიმუმ არ დაასუსტებდა. მოკლედ, სტროპა შავ დღეშია და მისი გამხნევება კლუბის პრეზიდენტმა, **დანიელე სებასტიანიმ** სცადა::

*„ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ვიღაცას ძალიან უნდა „პესკარას" ბოლოდროინდელი წარმატებები ორი მარცხის გამო დავიწყებას მიეცეს. კრიტიკა მისაღებია, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და დროა, რომ ეს უმსგავსოება დამთავრდეს. ვეთანხმები იმ აზრს, რომ განვლილ ორ პაექრობაში დაცვა ვერ იდგა მოწოდების სიმაღლეზე, მაგრამ ყველაფრის მხოლოდ უკანახაზელებზე გადაბრალებაც მეტისმეტია. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ეს გადამეტებული კრიტიკა შეწყდება და მცველებს, ისევე როგორც მთლიანად გუნდს, მშვიდად ვარჯიშის საშუალებას მივცემთ. ჯოვანი სტროპა ჭკვიანი სპეციალისტია და დარწმუნებული ვარ, რომ მდგომარეობას უმოკლეს დროში გამოასწორებს".*

ტრავმა

# მონტოლივო სამ კვირას იუქმებს

"მილანი"-"სამპდორიას" შეხვედრაში **რიკარდო მონტოლივომ** ტრავმა მიიღო და ლაზარეთში გადაინაცვლა. ექიმების პირველადი დასკვნა საკმაოდ მძიმე გახლდათ და შუახაზელს მინიმუმ ორთვიან მკურნალობას უწინასწარმეტყველებდა. ბუნებრივია, ეს ამბავი მტკივნეულად მიიღეს მილანელმა გულშემატკივრებმა, **მასიმილიანო ალეგრიმ** კი თავში ხელები წაიშინა და პრესასთან საუბარში თავის ბედს შესჩივლა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაცხადდა, არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა - მეორე და დეტალურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ 27 წლის მონტოლივოს მსუბუქი ტრავმა ჰქონია და სულ რაღაც სამიოდე კვირაში მოედანს დაუბრუნდება. ამის შესახებ თავად ფეხბურთელმა განაცხადა:

*„ექიმები შეცდომაში შევიდნენ და თავდაპირველად გაცილებით მძიმე დიაგნოზი დასვეს, რამაც ძალიან ცუდ ხასიათზე დამაყენა. საბედნიეროდ, რეალობა ბევრად უფრო კარგი აღმოჩნდა, წვრთნას უახლოეს დღეებში განვაახლებ, მოედანს კი დაახლოებით სამ კვირაში დავუბრუნდები".*



რიკარდო მონტოლივო

მოსაზრება

# დი ნატალე: პრობლემები აშკარაა

„უდინეზემ" სეზონი მძიმედ დაიწყო, რაზეც სერია A-ს განვლილ ორ ტურში "მოგროვებული" ნული ქულა მეტყველებს. შედეგად, **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდი სატურნირო ცხრილის ფსკერზეა და თუ ასე გააგრძელა, შეიძლება ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწიოს ბრძოლამ. არადა, ბოლო წლებში უდინური გუნდი ძირითადად ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებდა და ხშირად მიზანსაც აღწევდა. მოკლედ, „უდინეზეს" სერიოზული პრობლემები აქვს და ამის შესახებ „გაძეტა დელო სპორტთან" გუნდის ვეტერანმა ლიდერმა **ანტონიო დი ნატალემ** ისაუბრა:

*„რა აკლია „უდინეზეს"? - რა და სისწრაფე, ბურთი უფრო სწრაფად უნდა გადადიოდეს დაცვიდან შეტევაში, რაც იერიშებს გაცილებით უფრო მწვავეს გახდის. ამასთან, ვერაფრით გავიგე რატომ გავასხვისეთ ამდენი მოთამაშე და რატომ არ დავიმატეთ მათი ღირსეული შემცვლელები. ვნახოთ, რას მოიფიქრებს გვიდოლინი, პირადად მე პრობლემებს ნათლად ვხედავ და ისიც ვიცი, რომ მწვრთნელს დიდი ჯაფა დაადგება. მადლობა ღმერთს, გვიდოლინი მაინც დარჩა, მას შესწევს ძალა გუნდს კრიზისი დააძლევინოს".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. ტრანსფერები

# სრული ესპანური სატრანსფერო ბაზარი

დასრულდა სატრანსფერო სეზონი და გვსურს წარმოგიდგინოთ ლა ლიგის 20-ვე კლუბის მონაპოვარ-დანაკარგი. ესპანური სატრანსფერო სეზონის რეკორდი „რეალმა" დაამყარა, როცა „ტოტენჰემისგან" 42 მილიონ ევროდ (35+7 მილიონი ბონუსებით) 26 წლის ხორვატი ნახევარმცველი ლუკა მოდრიჩი იყიდა. ყველაზე დიდი დანაკარგი კი „ბილბაოს" უნივერსალის 24 წლის ხავი მარტინესის მიუნხენის „ბაიერნში" გაყიდვაა - 40 მილიონ ევროდ. შიდა ბაზარზე ყველაზე დიდი ფული „ბარსელონამ" გადაიხადა, 23 წლის ხორდი ალბას სანაცვლოდ - 14 მილიონი.


ლუკა მოდრიჩი

## რეალი

მივიდნენ (4): ლუკა მოდრიჩი (ტოტენჰემი) - 35+7 (ბონუსებით) მლნ. ევრო, მიკაელ ესიენი (ჩელსი) - იჯარა, ხესუს ფერნანდესი (რეალი II), ალვარო მორატა (რეალი II).

ნავიდნენ (7): ესტებან გრანერო (ქუინზ პარკი) - 8 მლნ, სერხიო კანალესი (ვალენსია) - 7,5 მლნ, ლასანა დიარა (ანჟი) - 5 მლნ, ფერნანდო გაგო (ვალენსია) - 3,5 მლნ, ჰამით ალთინთოპი (გალათასარაი) - 3,5 მლნ, ნური შაჰინი (ლივერპული) - იჯარა, როისტონ დრენტე (?).

## ბარსელონა

მივიდნენ (7): ალექს სონგი (არსენალი) - 19 მლნ, ხორდი ალბა (ვალენსია) - 14 მლნ, მარკ მუნიესა (ბარსელონა II), მარტინ მონტოია (ბარსელონა II), მარკ ბარტრა (ბარსელონა II), ჯონათან დოს სანტოსი (ბარსელონა II) , ტიტო ვილანოვა (მწვრთნელი).

ნავიდნენ (3): იბრაჰიმ აფელაი (შალკე) - იჯარა, სეიდუ კეიტა (დალიანი) - თ.ა, ენრიკე (პალმეირასი) - იჯარა.

## ვალენსია

მივიდნენ (8): სერხიო კანალესი (რეალი) - 7,5 მლნ, ალი სისოკო (ლიონი) - 6 მლნ, ჟოაო პერეირა (სპორტინგი) - 3,7 მლნ, ფერნანდო გაგო (რეალი) - 3,5 მლნ, ჯონათან ვიერა (ლას პალმასი) - 2,5 მლნ, ანდრეს გუარდადო (დეპორტივო) - თ.ა, ნელსონ ვალდესი (რუბინი) - იჯარა, მაურისიო პელეგრინო (მწვრთნელი).

ნავიდნენ (12): ხორდი ალბა (ბარსელონა) - 14 მლნ, პაბლო ერნანდესი (სუონსი) - 7 მლნ, მეჰმეთ თოპალი (ფენერბაჰჩე) - 4,5 მლნ, არიც ადურისი (ბილბაო) - 2,5 მლნ, მიგელ ანხელ მოია (ხეტაფე) - 2 მლნ, ალეხანდრო დომინგესი (რაიო ვალეკანო) - თ.ა, ჰედვიგეს მადურო (სევილია) - თ.ა, ბრუნო სალტორი (ბრაიტონი) - თ.ა, მიჩელი (ლევანტე) - თ.ა, ანხელ დეალბერტი (ყუბანი) - თ.ა, მიგელი (?), პაკო ალკასერი (ხეტაფე) - იჯარა.

## მალაგა

მივიდნენ (6): როკე სანტა კრუსი (მანჩესტერ სიტი) - იჯარა, ოგუჩი ონიევუ (სპორტინგი) - იჯარა, მანუელ იტურა (უნივერსიდადი) - თ,ა, ხავიერ სავიოლა (ბენფიკა) - თ.ა, ფაბრის ოლინგა (მალაგა II), პოლი (მალაგა II).

ნავიდნენ (13): სანტი კასორლა (არსენალი) - 19 მლნ, ხოსე სალომონ რონდონი (რუბინი) - 9 მლნ, აპონიო (სარაგოსა) - 1 მლნ, ხავი ტორესი (ლევანტე) - 300 ათასი, ენცო მარესკა (სამპდორია) - თ.ა, ხავიერ მალაგუენო (ტიგრე) - თ.ა, იორის მატეისენი (ფეიენოორდი) - თ.ა, ხავი ლოპესი (ხეტაფე) - თ.ა, ივან გონსალესი (რეალი II) - თ.ა, ელდერ როსარიო (პონფერადინა) - თ.ა, სანდრო სილვა (კრუზეირო) - იჯარა, რუბენი (რაიო ვალეკანო) - იჯარა, რუუდ ვან ნისტელროი (კარიერა დაასრულა).

## ატლეტიკო

მივიდნენ (12): კატა დიასი (ხეტაფე) - 1 მლნ, დომინგო სისმა (რასინგი) - თ.ა, ემრე ბელოზოგლუ (ფენერბაჰჩე) - თ.ა, კრისტიან როდრიგესი (პორტუ) - თ.ა, რაულ გარსია (ოსასუნა) - იჯარა დაუსრულდა, დიეგო კოშტა (რაიო ვალეკანო) - იჯარა დაუსრულდა, ხორხე პულიდო (რაიო ვალეკანო) - იჯარა დაუსრულდა, ხოელ რობლესი (რაიო ვალეკანო) - იჯარა დაუსრულდა, აბდელკადერ კააბი (ატლეტიკო II), პედრო მარტინი (ატლეტიკო II), საულ ნიგესი (ატლეტიკო II), ოლივერ ტორესი (ატლეტიკო ახალგ.)

ნავიდნენ (12): ედუარდო სალვიო (ბენფიკა) - 11 მლნ, ალვარო დომინგესი (მიონხენგლადბახი) - 7 მლნ, ფრან მერიდა (ერკულესი) - თ.ა, პაულო ასუნსაო (სან პაულუ) - თ.ა, ლუის პერეა (კრუს ასული) - თ.ა, ანტონიო ლოპესი (მალიორკა) - თ.ა, ბორხა გონსალესი (უესკა) - იჯარა, ლეანდრო კაბრერა (ერკულესი) - იჯარა, რუბენ მიკაელი (ბრაგა) - იჯარა, რუბენ პერესი (ბეტისი) - იჯარა, დიეგო რიბასი (ვოლფსბურგი) - იჯარა დაუსრულდა, პიცი (ბრაგა) - იჯარა დაუსრულდა.

## ლევანტე

მივიდნენ (12): ხავი ტორესი (მალაგა) - 300 ათასი, პაპაკული დიოპი (რასინგი) - 200 ათასი, კეილორ ნავასი (ალბასეტე) - 150 ათასი, დარიუშ დუდკა (ოსერი) - თ.ა, ტეოფანის გეკასი (სამსუნი) - თ.ა, კრისტიან ლელი (ჰერტა) - თ.ა, ნიკოს კარაბელასი (აეკ) - თ.ა, პედრო რიოსი (ხეტაფე) - თ.ა, მიჩელი (ვალენსია) - თ.ა, ანხელ როდრიგესი (ელჩე) - თ.ა, მასიმო ვოლტა (სამპდორია) - იჯარა, ექტორ როდასი (ელჩე) - იჯარა დაუსრულდა.

ნავიდნენ (12): არუნა კონე (უიგანი) - 3,8 მლნ, ხავი ტორესი (ხეტაფე) - 500 ათასი, ვალდო (ატლანტე) - თ.ა, მარკ მატეუ (სარაგოსა) - თ.ა, ხავი ვენტა (ვილიარეალი) - თ.ა, რუბენ სუარესი (გუიჟოუ) - თ.ა, ასიერ დელ ორნო (?), ფრანსისკო ფარინოსი (?), კეილორ ნავასი (ალბასეტე) - იჯარა დაუსრულდა, გუსტავო კაბრალი (არსენალ სარანდი) - იჯარა დაუსრულდა, პედრო ბოტელიო (არსენალი) - იჯარა დაუსრულდა, აბდელკადერ ღეზალი (ბარი) - იჯარა დაუსრულდა.

## ოსასუნა

მივიდნენ (12): ემილიანო არმენტეროსი (სევილია) - თ.ა, ნანო (ნუმანსია) - თ.ა, სისი (ვალიადოლიდი) - თ.ა, ალეხანდრო არიბასი (რაიო ვალეკანო), ანტონი ანანი (შალკე) - იჯარა, ხოსება ლორენტე (რეალ სოსიედადი) - იჯარა, მანუელი (ოსასუნა II), რობერტო ტორესი (ოსასუნა II), იმანოლ ელიასი (ოსასუნა II), რაულ ლო (ოსასუნა II), ოიერი (სელტა) - იჯარა დაუსრულდა, ხორხე გალანი (უნიონი) - იჯარა დაუსრულდა.

ნავიდნენ (13): იბრაჰიმა ბალდე (ყუბანი) - 4 მლნ, ჯავად ნეკუნამი (ესტეღლალი) - 700 ათასი, დეიან ლეკიჩი (გენჩლერბირლიგი) - თ.ა, როვერსიო (ორდუ) - თ.ა, სერხიო (სპორტინგი) - თ.ა, ხავიერ ანუნზიატა (უესკა) - იჯარა, რუპერი (მირანდესი) - იჯარა, ნაჩო ზაბალი (უესკა) - იჯარა, ენეკო სატრუსტეგი (ნუმანსია) - იჯარა, ხავიერ კალეხა (?), რიკარდო (?), იუკა რაიტალა (ჰოფენჰაიმი) - იჯარა დაუსრულდა, რაულ გარსია (ატლეტიკო) - იჯარა დაუსრულდა.

## მალიორკა

მივიდნენ (9): ხავი მარკესი (ესპანიოლი) - 1,2 მლნ, ჯოვანი დოს სანტოსი (ტოტენჰემი) - 1 მლნ, რუბენ მინიო (ბარსელონა II) - თ.ა, ხავიერ არისმენდი (ხეტაფე) - თ.ა, ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო) - თ.ა, ჟერომელი (კიოლნი) - იჯარა, ანდერსონ კონსეისაო (ტომბენსე) - იჯარა, ჩიმო ნავარო (მალიორკა II), პედრო ბიგასი (მალიორკა II).

ნავიდნენ (12): ივან რამისი (უიგანი) - 6 მლნ, პაუ სენდროსი (გენტი) - თ.ა, მარტი კრესპი (ჩერნომორეცი) - თ.ა, ჩორი კასტრო (რეალ სოსიედადი) - თ.ა, სერხი ენრიჩი (ალკორკონი) - იჯარა, პაბლო კასერესი (ტორინო) - იჯარა, აკიჰირო იენაგა (გამბა ოსაკა) - იჯარა, ჯანი ზუიველროონი (ჰეერენვენი) - იჯარა, სერხიო ტეხერა (ესპანიოლი) - ?, მარვინ ოგუნჯიმი (სტანდარდი) - იჯარა, ჩიკო (ჯენოა) - იჯარა დაუსრულდა, ფერნანდო ტისონე (სამპდორია) - იჯარა დაუსრულდა.

## სევილია

მივიდნენ (8): ჟოფრეი კონდობია (ლანსი) - 4 მლნ, დიეგო ლოპესი (ვილიარეალი) - 3,5 მლნ, ალბერტო ბოტია (სპორტინგი) - 3 მლნ, სისინიო (პალმეირასი) - 2 მლნ, ბრაიან რობელიო (კოლო კოლო) - თ.ა, ჰედვიგეს მადურო (ვალენსია) - თ.ა, ხავი ერვასი (კორდობა) - იჯარა დაუსრულდა, ბერნარდო ესპინოსა (რასინგი).

ნავიდნენ (11): მარტინ კასერესი (იუვენტუსი) - 8 მლნ, დანი ხიმენესი (მირანდესი) - თ.ა, რომარიკი (სარაგოსა) - თ.ა, ჟულიენ ესკუდე (ბეშიქთაში) - თ.ა, ემილიანო არმენტეროსი (ოსასუნა) - თ.ა, ფრედერიკ კანუტე (ბეიჯინი) - თ.ა, ლაუტარო აკოსტა (ბოკა ხუნიორსი) - იჯარა, ლუის ალბერტო (ბარსელონა II) - იჯარა, ტიბერიო გუარენტე (ბოლონია) - იჯარა, ხავი ვარასი (სელტა) - იჯარა, ტომ დე მული (?).

## ბილბაო

მივიდნენ (4): არიც ადურისი (ვალენსია) - 2,5 მლნ, ისმა ლოპესი (ლუგო) - თ.ა, ხონას რამალიო (ბილბაო II), ინიგო დე გალარეტა (ბილბაო II).

ნავიდნენ (8): ხავი მარტინესი (ბაიერნი) - 40 მლნ, გალდერ სერახერია (ოვიედო) - თ.ა, დავიდ ლოპესი (ბრაიტონი) - თ.ა, პაბლო ორბაისი (რუბინი) - თ.ა, იგორ გაბილონდო (ლარნაკა) - თ.ა, კოიკილი (მირანდესი) - თ.ა, ინიგო დიას დე სერიო (მირანდესი) - თ.ა, აიტორ ოსიო (კარიერა დაასრულა).

## ხეტაფე

მივიდნენ (9): ალვარო ვასკესი (ესპანიოლი) - 3 მლნ, მიგელ ანხელ მოია (ვალენსია) - 2 მლნ, ხავი ტორესი (ლევანტე) - 500 ათასი, ანხელ ლაფიტა (სარაგოსა) - თ.ა, დავიდ აბრაამი (ბაზელი) - თ.ა, პაკო ალკასერი (ვალენსია) - იჯარა, უგო ფრაილე (ხეტაფე II), ადრიან კოლუნგა (სპორტინგი) - იჯარა დაუსრულდა, ბორხა (დეპორტივო) - იჯარა დაუსრულდა.

ნავიდნენ (10): კატა დიასი (ატლეტიკო) - 1 მლნ, ხავიერ კასკერო (ალმერია) - თ.ა, ოსკარ უსტარი (ბოკა ხუნიორსი) - თ.ა, ადრიან სარდინიერო (ერკულესი) - თ.ა, პედრო რიოსი (ლევანტე) - თ.ა, ხავიერ არისმენდი (მალიორკა) - თ.ა, მიკუ (სელტიკი) - იჯარა, პაბლო პინტოსი (კასიმფაშა) - ?, ცეპო მასილელა (ჰაპოელი) - იჯარა დაუსრულდა, რუბენ პერესი (ატლეტიკო) - იჯარა დაუსრულდა.

## რეალ სოსიედადი

მივიდნენ (4): კარლოს ველა (არსენალი) - 3,8 მლნ, ჩორი კასტრო (მალიორკა) - თ.ა, ხოსე ანხელი (რომა) - იჯარა, ხავი რიოსი (რეალ სოსიედადი II).

ნავიდნენ (6): ვადიმ დემიდოვი (აინტრახტი) - 500 ათასი, ბორხა ვიგერა (ალავესი) - თ.ა, ჯეფრი სარპონგი (ერკულესი) - იჯარა, ხოსება ლორენტე (ოსასუნა) - იჯარა, იური ბერჩიჩე (ეიბარი) - იჯარა), მიკელ არანბურუ (კარიერა დაასრულა).

## ბეტისი

მივიდნენ (11): ნოსა იგიებორი (ჰაპოელი) - 1,1 მლნ, დამიენ პერკისი (სოშო) - 700 ათასი, სალვადორ აგრა (ოლანენშე) - 300 ათასი, ანხელ ლოპესი (ვილიარეალი) - თ.ა, პაულაუ (სენტ ეტიენი) - თ.ა, ჯოელ კემპბელი (არსენალი) - იჯარა, ხუან კარლოსი (ბრაგა) - იჯარა, რუბენ პერესი (ატლეტიკო) - იჯარა, ალეხანდრო პოსუელო (ბეტისი II), ალექს მარტინესი (ბეტისი II), ადრიანი (ბეტისი II).

ნავიდნენ (8): ისიდორო (პოლონია) - თ.ა, ირინეი (გრანადა) - თ.ა, ხავიერ მატილია (მურსია) - იჯარა, ესეკიელ კალვიენტე (ფრაიბურგი) - იჯარა, ხუანმა (?), ინიაკი გოიტია (მირანდესი) - ?, ჯეფერსონ მონტერო (ვილიარეალი) - იჯარა დაუსრულდა, უსტარიცი (ბილბაო) - იჯარა დაუსრულდა.

## ესპანიოლი

მივიდნენ (10): ხოან კაპდევილა (ბენფიკა) - 350 ათასი, სიმაო საბროზა (ბეშიქთაში) - თ.ა, ვაკასო მუბარაკი (ვილიარეალი) - თ.ა, დიეგო კოლოტო (დეპორტივო) - თ.ა, კრისტიან სტუანი (რეჯინა) - ?, სამუელე ლონგო (ინტერი) - იჯარა, სერხიო ტეხერა (მალიორკა) - ?, კრისტიან ალფონსო (ესპანიოლი II), ვიქტორ ალვარესი (ესპანიოლი II), კრისტიან გომესი (ესპანიოლი II).

ნავიდნენ (13): ალვარო ვასკესი (ხეტაფე) - 3 მლნ, კალუ უჩე (კასიმფაშა) - 1,5 მლნ, ხავი მარკესი (მალიორკა) - 1,2 მლნ, ვალტერ პანდიანი (ვილიარეალი) - თ.ა, ბენ შაარი (ჰერტა) - თ.ა, მანუელ მოლინა (ვალენსია II) - თ.ა, ტიევი ბიფუმა (ლას პალმასი) - იჯარა, ადრიან ლუნა (ნასიონალი) - იჯარა, ხორდი ამატი (რაიო ვალეკანო) - იჯარა, დიდაკ ვილა (მილანი) - იჯარა დაუსრულდა, რომარიკი (სევილია) - იჯარა დაუსრულდა, ვლადიმირ ვეისი (მანჩესტერ სიტი) - იჯარა დაუსრულდა, კოუტინიო (ინტერი) - იჯარა დაუსრულდა.

## რაიო ვალეკანო

მივიდნენ (12): მანუელ არანა (რასინგი) - თ.ა, როდრი (სპარტაკი) - თ.ა, დავიდ კობენიო (ვასლუი) - თ.ა, ალეხანდრო დომინგესი (ვალენსია) - თ.ა, ალეხანდრო გალვესი (სპორტინგი) - თ.ა, ხოსე კარლოსი (აეკ) - თ.ა, ადრიან გონსალესი (რასინგი) - თ.ა, რუბენი (მალაგა) - იჯარა, ხორდი ამატი (ესპანიოლი) - იჯარა, ლეო კარილიო (რაიო ვალეკანო II), ხორხე საესი (რაიო ვალეკანო II), პაკო ხემესი (მწვრთნელი).

ნავიდნენ (12): მიჩუ (სუონსი) 2,6 მლნ, ხოსე მოვილია (სარაგოსა) - ?, ხული (ალკორკონი) - თ.ა, ხუან კერო (?), რაულ ბრავო (ბეერსხოტი) - თ.ა, დავიდ კობენიო (ვასლუი) - თ.ა, რაულ ტამუდო (პაჩუკა) - თ.ა, ალეხანდრო არიბასი (ოსასუნა) - თ.ა, მიჩელი (კარიერა დაასრულა), ხოელი (ატლეტიკო) - იჯარა დაუსრულდა, დიეგო კოშტა (ატლეტიკო) - იჯარა დაუსრულდა, ხორხე პულიდო (ატლეტიკო) - იჯარა დაუსრულდა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე


ალექს სონგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ლიგა. ტრანსფერები

# სრული ესპანური სატრანსფერო ბაზარი

## სარაგოსა

**მივიდნენ (9): აპონიო** (მალაგა) - 1 მლნ, **კრისტიან სეპუნარუ** (პორტუ) - თ.ა, **რომარიკი** (სევილია) - თ.ა, **გლენ ლოოვენსი** (სელტიკი), **ალვარო გონსალესი** (რასინგი) - თ.ა, **ფრანკო სუკულინი** (ჰოფენჰაიმი) - თ.ა, **რაულ გონი** (კარტახენა) - იჯარა დაუსრულდა, **ტონი დობლასი** (ხერესი) - იჯარა დაუსრულდა, **ვიქტორ ლაგუარდია** (ლას პალმასი) - იჯარა დაუსრულდა.

**წავიდნენ (10): ანხელ ლაფიტა** (ხეტაფე) - თ.ა, **მატეო კონტინი** (სიენა) - თ.ა, **პაულო და სილვა** (პაჩუკა) - თ.ა, **პაბლო** (ფიგეირენსე) - თ.ა, **ლუკას პორკარი** (ხერესი) - იჯარა, **ლუის გარსია** (ტიგრესი) - იჯარა, **პაბლო ბარერა** (ვესტ ჰემი) - იჯარა დაუსრულდა, **დავიდ მატეოსი** (რეალი II) - იჯარა დაუსრულდა, **ტომისლავ დუიმოვიჩი** (დინამო მ.) - იჯარა დაუსრულდა, **პაბლო ალვარესი** (კატანია) - იჯარა დაუსრულდა.

## გრანადა

**მივიდნენ (11): იუსეფ ელ-არაბი** (ალ-ჰილალი) - 5 მლნ, **ბორხა გომესი** (კარპატი) - 800 ათასი, **ხუანმა ორტისი** (რეინჯერსი) - თ.ა, **ბრაიან ანგულო** (ატლეტიკო ბალ.) - თ.ა, **ირინეი** (ბეტისი) - თ.ა, **იასინ ბრაჰიმი** (რენი) - იჯარა, **გაბრიელ ტორჟე** (უდინეზე) - იჯარა, **დარვინ მაჩისი** (ატლეტიკო გაიანა) - ?, **ხოსე მარია კასესი** (კადისი) - ?, **ანტონიო ფლორო ფლორესი** (უდინეზე) - იჯარა, **ფაბიან ორელიანა** (სელტა) - ?,

**წავიდნენ (21): იოან მოლო** (სენტ ეტიენი) - 2 მლნ, **პედრო ბარანკოსი** (მურსია) - თ.ა, **აბელ გომესი** (კორდობა) - თ.ა, **ხოსე ფიგეირასი** (ლუგო) - თ.ა, **მატიას კამპოსი** (სიენა) - იჯარა, **ალექს გოიკოეჩია** (რასინგი) - იჯარა, **ოსკარ პერესი** (რასინგი) - იჯარა, **კაბირუ აკინსოლა** (რასინგი) - იჯარა, **ხოსე მარია კასესი** (მირანდესი) - იჯარა, **ალექს ბერნალი** (მირანდესი) - იჯარა, **რიჩი კიტოკო** (ხირონა) - იჯარა, **ხუანხო** (ლოგრონიესი) - იჯარა, **რიჩარდ ბოატენგი** (სან როკე) - ?, **ექტორ იუსტე** (რასინგი) - იჯარა, **სილვან ვიდმერი** (აარაუ) - იჯარა, **გაბრიელ სილვა** (უდინეზე) - ?, **კარლუშ მარტინში** (ბენფიკა) - იჯარა დაუსრულდა, **ფრანკო ხარა** (ბენფიკა) - იჯარა დაუსრულდა, **ჟულიო სეზარი** (ბენფიკა) - იჯარა დაუსრულდა, **იკეჩუკვუ უჩე** (ვილიარეალი) - იჯარა დაუსრულდა, **ალექს ხეიხო** (უდინეზე) - იჯარა დაუსრულდა.

## დეპორტივო

**მივიდნენ (10): კარლოს მარჩენა** (ვილიარეალი) - თ.ა, **ტიაგო პინტო** (რიუ ავე) - ?, **ხავიერ კამუნიასი** (ვილიარეალი) - იჯარა, **ნელსონ ოლივეირა** (ბენფიკა) - იჯარა, **როდერიკ მირანდა** (ბენფიკა) - იჯარა, **აბელ აგილარი** (ერკულესი) - იჯარა, **ევალდო** (სპორტინგი) - იჯარა, **პიცი** (სპორტინგი) - იჯარა, **ანდრე სანტოსი** (სპორტინგი) - იჯარა, **ფელიპე რამოსი** (მალიორკა II).

**წავიდნენ (7): ლასად ნუინუი** (სელტიკი) - თ.ა, **პაბლო ალვარესი** (ლუგო) - თ.ა, **ანდრეს გუარდადო** (ვალენსია) - თ.ა, **კლაუდიო მორელი** (ინდეპენდიენტე) - თ.ა, **დიეგო კოლოტო** (ესპანიოლი) - თ.ა, **ჩისკო** (ნიუკასლი) - იჯარა დაუსრულდა, **ბორხა** (ხეტაფე) - იჯარა დაუსრულდა.

## სელტა

**მივიდნენ (8): აუგუსტო ფერნანდესი** (ველეს სარსფილდი) - 1,5 მლნ, **მიკაელ კრონ-დელი** (ბრონდბიუ) - 1 მლნ, **სამუელ ლორკა** (ერკულესი) - 450 ათასი, **პარკ ჩუ-იუნი** (არსენალი) - იჯარა, **გუსტავო კაბრალი** (არსენალ სარანდი) - იჯარა, **ხავი ვარასი** (იჯარა), **ხოტა** (სელტა II), **დანი აბალო** (ხიმნასტიკი) - იჯარა დაუსრულდა.

**წავიდნენ (6): დიმიტრიოს პაპადოპულოსი** (პანათინაიკოსი), **დავიდ როდრიგესი** (სპორტინგი) - ?, **დავიდ კატალა** (ლარნაკა) - ?, **იოელ როდრიგესი** (ლუგო) - იჯარა, **ოიერი** (ოსასუნა) - იჯარა დაუსრულდა, **ფაბიან ორელიანა** (გრანადა) - იჯარა დაუსრულდა.

## ვალიადოლიდი

**მივიდნენ (8): სალიმ აბალუ** (ალ აჰლი) - 1,5 მლნ, **პატრიკ ებერტი** (ჰერტა) - თ.ა, **ანტონიო რუკავინა** (მიუნხენი) - თ.ა, **ლუის სასტრე** (უესკა) - თ.ა, **ენრიკე სერენო** (პორტუ) - იჯარა, **ომარი** (უესკა) - იჯარა, **ხუან ნეირა** (ლა პლატა) - ?, **ხავი ნავასი** (ვალიადოლიდი II)

**წავიდნენ (12): ხორხე ალონსო** (რასინგი) - თ.ა, **ხოფრე** (ხირონა) - თ.ა, **მეჰდი ნაფტი** (მურსია) - თ.ა, **სისი** (ოსასუნა) - თ.ა, **ნაუსეტ ალემანი** (ლას პალმასი) - თ.ა, **დანი აკინო** (ოვიედო) - თ.ა, **სერხიო მატაბუენა** (?), **ფერნანდო ვარელა** (?), **ხუანიტო** (კარიერა დაასრულა), **სანა კამარა** (აკადემიკა) - ?, **მარკიტოსი** (?), **ისმაილ რაზაკი** (?).

### ტოპ-10. უცხოეთიდან ესპანეთში

| თანხა | ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|---|
| 42 | ლუკა მოდრიჩი | ტოტენჰემი | რეალი |
| 19 | ალექს სონგი | არსენალი | ბარსელონა |
| 6 | ალი სისოკო | ლიონი | ვალენსია |
| 5 | იუსეფ ელ-არაბი | ალ ჰილალი | გრანადა |
| 4 | ჟოფრეი კონდოგბია | ლანსი | სევილია |
| 3,8 | კარლოს ველა | არსენალი | სოსიედადი |
| 3,7 | ჟოაო პერეირა | სპორტინგი | ვალენსია |
| 2 | სისინიო | პალმეირასი | სევილია |
| 1,5 | ჟერომელი | კიოლნი | მალიორკა |
| 1,5 | აუგუსტო ფერნანდესი | ველესი | სელტა |

### ტოპ-10. ესპანეთიდან უცხოეთში

| თანხა | ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|---|
| 40 | ხავი მარტინესი | ბილბაო | ბაიერნი |
| 19 | სანტი კასორლა | მალაგა | არსენალი |
| 11 | ედუარდო სალვიო | ატლეტიკო | ბენფიკა |
| 9 | ხოსე რონდონი | მალაგა | რუბინი |
| 8 | მარტინ კასერესი | სევილია | იუვენტუსი |
| 8 | ესტებან გრანერო | რეალი | ქპრ |
| 7 | პაბლო ერნანდესი | ვალენსია | სუონსი |
| 7 | ალვარო დომინგესი | ატლეტიკო | გლადბახი |
| 6 | ივან რამისი | მალიორკა | უიგანი |
| 5 | ლასანა დიარა | რეალი | ანჟი |

### ტოპ-10. შიდა

| თანხა | ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|---|
| 14 | ხორდი ალბა | ვალენსია | ბარსელონა |
| 7,5 | სერხიო კანალესი | რეალი | ვალენსია |
| 3,5 | ფერნანდო გაგო | რეალი | ვალენსია |
| 3,5 | დიეგო ლოპესი | ვილიარეალი | სევილია |
| 3 | ალვარო ვასკესი | ესპანიოლი | ხეტაფე |
| 3 | ალბერტო ბოტია | სპორტინგი | სევილია |
| 2,5 | ადურიც ადურისი | ვალენსია | ბილბაო |
| 2,5 | ჯონათან ვიერა | ლას პალმასი | ვალენსია |
| 2 | მიგელ მოია | ვალენსია | ხეტაფე |
| 1,2 | ხავი მარკესი | ესპანიოლი | მალიორკა |

მალაგა



მალაგა-პანათინაიკოსი, ამ დაპირისპირებამ იხსნა გუნდი კრიზისიდან

# როგორც მოსალოდნელი იყო: შეიხს მალაგაზე გული მოუბრუნდა

## როგორ გადარჩა მალაგა

**უცნაური პერიოდი უდგას ანდალუსიურ კლუბს: ერთი მხრივ, ისტორიაში პირველად „მალაგა" ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზებს და ახალი სეზონიც ძალიან კარგად დაიწყო, მეორე მხრივ კი გუნდმა ფაქტობრივად ყოფნა-არ ყოფნის ზღვარზე გაიარა და... გადარჩა. საქმე იმაშია, რომ გასული სეზონის შემდეგ „მალაგას" ყატარელმა მფლობელმა შეიხმა ალ ტანიმ მოულოდნელად განაცხადა, რომ კლუბის გაყიდვა და „ხელების დაბანვა" სურდა, რასაც მოჰყვა კრიზისული პერიოდი კლუბში - ის ვარსკვლავებისგან დაიცალა - ის ხალხი, ვისაც შეიხმა კლუბის მეთვალყურეობა ჩააბარა, გამოუვალ სიტუაციაში აღმოჩნდა, უბრალოდ, ხელფასსაც კი ვერ არიგებდნენ.**



შეიხი ალ ტანი

სწორედ ამან უბიძგა ანდალუსიურ კლუბს, თავის გადარჩენის მიზნით, გაეყიდა უპირველესი ვარსკვლავი **სანტი კასორლა.** ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველში ლონდონის „არსენალმა" 19 მილიონი ევრო გადაიხადა, ხოლო სამხრეთამერიკელი **ხოსე სალომონ რონდონის** სანაცვლოდ რუსულმა „რუბინმა" 9 მილიონ ევრომდე გაიღო. ამან „მალაგა" ამოასუნთქა და ფეხბურთელებმაც თავიანთი ჯამაგირი მიიღეს. გუნდი მაინც დატოვეს გამოცდილებმა, იტალიელმა **ენცო მარესკამ** (სამპდორია) და ჰოლანდიელმა **იორის მატეისენმა** (ფეიენოორდი). მოკლედ, იმის მაგივრად, რომ გუნდი გაძლიერებულიყო, ის დასუსტდა და ცუდ ფსიქოლოგიურ წნეხში მოყვა. არადა, ჯერ სათამაშო იყო მთავარი - ჩემპიონთა ლიგის პლეიოფი, ორრაუნდიანი ბრძოლა ბერძნულ „პანათინაიკოსთან".

### შეიხის ოცნება და რეალობა

შეიხი აბდულა ბინ ნასერ ბინ აბდულა ალ აჰმედ ალ ტანი 42 წლის კაცია, ის ყატარის სამეფო ოჯახის წევრია, ქვეყნის ამჟამინდელი მმართველის, შეიხ **ჰამადის** ახლო ნათესავი. მან გადაწყვიტა ინვესტიციების ჩადება ფეხბურთში და ანდალუსიური კლუბი 2010 წლის ივნისში **ლორენსო სანსისგან** 36 მილიონ ევროდ შეიძინა. ეს თანხა არც არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კრიშტიანო რონალდო „რეალს" ლამის სამჯერ უფრო ძვირი დაუჯდა.

„მალაგამ" მეორე სეზონშივე მიაღწია მიზანს, როცა მე-4 ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის პლე იოფის საგზური მოიპოვა. მაგრამ რა, ალ ტანი გააცოფა იმ ფაქტმა, რომ კლუბმა სატელევიზიო შემოსავლებისგან ისე მცირე თანხა მიიღო, რომ სასაცილოდაც არ ეყო „რეალისა" და „ბარსელონას" შემოსავლებთან შედარებისას. ფიცხმა არაბმა სოციალურ ქსელში გაავრცელა ინფორმაცია, რომ კლუბს გაყიდის და დაიწყო კრიზისიც...

### ბეწვის ხიდზე გაიარეს

გუნდმა გაიჭირვა, მაგრამ გამოცდილი ჩილელი სპეციალისტის, **მანუელ პელეგრინის** წყალობით, მძიმე სიტუაციასთან გამკლავება შეძლო - სიკვდილ-სიცოცხლის დუელი მოიგო „პანათინაიკოსთან" (2:0 შინ და 0:0 სტუმრად) და ჯგუფური ეტაპის საგზურიც მოიპოვა. „მალაგამ" სეზონიც კარგად დაიწყო - 3 თამაშიდან 7 ქულით მესამე ადგილზეა და ჯერაც დაუმარცხებელია. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ წარმატებამ შეიხს გული მოულბო.

გუშინ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **მოიად შატატმა** ისეთები თქვა, ყველაზე პესიმისტებსაც კი პირი დააღებინა გაკვირვებისგან. შეგახსენებთ, რომ შატატი თანამდებობაზე მხოლოდ ივლისიდანაა. კლუბის ახალი დირექტორატის პრეზენტაციაზე შატატმა ეს თქვა:

- არ ყოფილა მომენტი, როცა ჩვენ ვაპირებდით კლუბის მიტოვებას. ჩვენ დავიწყეთ ეს პროექტი და ჩვენმე მივიყვანთ ბოლომდე. ჩვენ კლუბში უდიდესი ინვესტიცია ჩავდეთ და ამის შეჩერებას არ ვაპირებთ. მიზანი ასეთია, ყველაფერი საუკეთესო კლუბს. ინვესტიციები განახლდება, ოღონდ, საჭირო მომენტში. შეიხი მუდამ ფიქრობს „მალაგაზე" და მისი გაყიდვა არც მოუსურვებია. ვიცი, რომ მფლობელები უკმაყოფილონი არიან სიტუაციით, თუმცა მე არ შემიძლია ამის დაკონკრეტება. მაგრამ ამის გამო ისინი კლუბის თანადგომაზე უარს არ ამბობენ, ყატარიდან მოვლენებს პრიზმაში აკვირდებიან და ნებისმიერ პრობლემას გადაჭრიან, თუ საჭირო იქნება.

### მონრეალი აღარ იყიდება

უკვე აგვისტოს ბოლოს ცხადი იყო, რომ ყველაფერს „ჰეფი ენდი" ჰქონდა, „მალაგამაც" ბოლო წამს არგენტინელი შემტევი **ხავიერ სავიოლა** და ამერიკელი მცველი **ონუჩი ონიევუ** შეიმატა. იყო საუბარი მარცხენა მცველის, **ნაჩო მონრეალის** გაყიდვაზე ბილბაოს „ატლეტიკში", მაგრამ შატატმა ესეც უარყო: *„ჩვენ აღარ გვაქვს ვალები, მონრეალი? არა, გასაყიდად საქმე აღარ გვაქვს, ამ ეტაპმა უკვე ჩაიარა და არავის გაყიდვა აღარ გვსურს. ახლა ჩვენ პირიქით, გაძლიერება გვსურს"*, - განაცხადა „მალაგას" ვიცე-პრეზიდენტმა.

## ამბები

### პრესტიჟული პრიზი ჩავის და კასილიასს

გუშინ გამოცხადდა, რომ ესპანური ფეხბურთისა და ზოგადად ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში დიდი როლის შეტანისთვის ასტურიის პრინცის ორდენით დააჯილდოვებენ მადრიდის „რეალის" მეკარე **იკერ კასილიასს** და „ბარსელონას" ნახევარმცველ **ჩავი ერნანდესს**. ამ ჯილდოს ორივე ფეხბურთელი ოვიედოში, 26 ოქტომბერს მიიღებს. სხვათა შორის, ჩავის და კასილიასის გამარჯვებაში დიდი წვლილი ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** მიუძღვის, რომელიც ჟიურიში იყო მიწვეული. 2010 წელს ეს ჯილდო ესპანეთის ეროვნულმა ნაკრებმა მიიღო მუნდიალის მოგებისთვის, 2011 წელს კი - მძლეოსანმა **ჰაილე გებრესელასიემ.**

### კარვალიომ სტამბოლი უარყო

„რეალის" პორტუგალიელმა მცველმა **რიკარდო კარვალიომ** არ მიიღო „გალათასარაის" წინადადება და „რეალში" დარჩენა გადაწყვიტა. 34 წლის კარვალიო **ჟოზე მოურინიომ** 2010 წელს გადმოიყვანა „ჩელსიდან", თუმცა ბოლო დროს აცხადებდა, რომ ვეტერანისთვის უპრიანი იქნებოდა გუნდიდან წასვლა, რადგან თამაშის პერსპექტივა „სამეფო კლუბში" მას არ აქვს. მიუხედავად ამისა, მოურინიომ კარვალიო და ბრაზილიელი **კაკა** მაინც შეიყვანა გუნდის საჩემპიონთალიგო განაცხადში.

გვერდები მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ბაიერნი



ხავი მარტინესმა და დანტემ ბაიერნში კონკურენცია გაამძაფრეს

# მარტინესმა ბაიერნი გამოაცოცხლა

## ჰაინკესი კონკურენციით კმაყოფილია

**მართალია, ბუნდესლიგის ახალ სეზონში ჯერ მხოლოდ ორი ტურია გასული, მაგრამ „ბაიერნი" პირველ ადგილზეა, ორ თამაშში 9 გოლი აქვს გატანილი და გუნდი ბოლომდე ჯერ არ დაკომპლექტებულა - ხავი მარტინესი რეკორდმაისტერში ახალი კაცია, რამდენიმე მოთამაშე კი ლაზარეთშია, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ ორ ტურში ნანახი არ იყო მიუნხენური გრანდის მაქსიმუმი. ფაქტია, რომ „ბაიერნში" კონკურენცია უკიდურესად გაიზარდა, რაც მწვრთნელ იუპ ჰაინკესს ძალიან უხარია, მეკარე მანუელ ნოიერს კი სჯერა, რომ „ბაიერნმა" მიიღო და ახლო მომავალშიც კიდევ იმ ყველაფერს მიიღებს, რაც გასულ სეზონში აკლდა.**

„შტუტგარტთან" 6:1-ზე მოგებულ მატჩში **ჰაინკესმა** ახალწვეულები **კლაუდიო პისარო, ჯერდან შაჩირი** და **ხავი მარტინესი** შეცვლაზე ათამაშა, **დანიელ ვან ბუიტენი, ემრე ჩანი** და **ანატოლი ტიმოშჩუკი** კი, სათადარიგო მეკარე **ტომ შტარკესთან** ერთად, სკამზე დატოვა. აქედანაც ჩანს, რომ „ბაიერნში" უკვე უდიდესი და უმძაფრესი კონკურენციაა.

*„წელს გაცილებით დიდი არჩევანი მაქვს და ეს ძალიან სასიხარულოა,"* - კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტდა მატჩის შემდეგ „დონ იუპი", რომელსაც, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვს, **არიენ რობენი, დავიდ ალაბა** და **მარიო გომესი** რომ ტრავმირებულები არიან. „შტუტგარტთან" 6:1 კი ერთობ მსუყე გამარჯვებასთან ერთად იმასაც ნიშნავდა, რომ რეკორდმაისტერმა სეზონის პირველი ორი სასტარტო მატჩი 2007 წლის შემდეგ პირველად მოიგო. ეს სხვა გერმანული კლუბებისთვის, განსაკუთრებით კი „ბაიერნის" უმთავრეს კონკურენტად მიჩნეული დორტმუნდის „ბორუსიასთვის" საკმაოდ ხმაურიანი სიგნალია - მიუნხენელებმა მაგიდაზე მუშტი სეზონის სტარტზევე დაარტყეს.

*„უკვე ჩანს, რომ გუნდი შარშანდელზე და შარშანწინდელზე გაცილებით ძლიერია,* - ამას რომ ამბობდა, კაპიტან **ფილიპ ლამს** თვალები უბრწყინავდა, - *ის ბიჭები, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, ვარჯიშებზე თავდაუზოგავად იბრძვიან და ბოლომდე იხარჯებიან, რათა მწვრთნელს თავი მოაწონონ და თამაშის შანსი მიეცეთ, ხოლო ისინი, რომლებიც თამაშობენ, საქმეს მაქსიმალური კონცენტრაციით უდგებიან, რადგან ხვდებიან, რომ შეცდომების დაშვების უფლება არ აქვთ."*

### კონკურენციას მხოლოდ პლუსები როდი აქვს...

რეკორდმაისტერს კონკურენციამ რომ არგო, ამის საუკეთესო მაგალითი **ლუის გუსტავოა**. ბრაზილიელმა საყრდენმა ნახევარმცველმა „შტუტგარტთან" კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და ბრწყინვალე გოლიც გაიტანა. როგორც ჩანს, მარტინესის ტრანსფერმა გუსტავო გამოაცოცხლა - ესპანელი ხომ მისი პირდაპირი კონკურენტია. ამ სეზონში სულ სხვაა **თომას მიულერიც**, რომელსაც 2010 წლის მუნდიალზე გაბრწყინების შემდეგ დაღმასვლა დაეწყო, ახლა კი ძველებურად მონდომებული და შემართულია. თომასს ორი ტურის შემდეგ სამი გოლი აქვს. შედარებისთვის: გასულ სეზონში მესამე გოლი მხოლოდ 21-ე ტურში შეაგდო.

*„საბედნიეროდ, არც ერთი ფეხბურთელი აღარაა იმაში დარწმუნებული, რომ აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ეს ყველაზე კარგად ვარჯიშებზე ჩანს - ხშირად ყვირილის ხმასაც გაიგებთ. ყველა ხვდება, რომ თითოეული პოზიციისთვის ბრძოლაა საჭირო,"* - ამბობს ნოიერი.

ფაქტია, რომ ისედაც გაზრდილი კონკურენცია ხავი მარტინესის ტრანსფერმა კიდევ უფრო გაამძაფრა, მაგრამ ამ ყველაფერს უარყოფითი მხარეც აქვს: კონკურეცია დაძაბულობასაც ნიშნავს, დაძაბულობა კი - ფეთქებად ვითარებას. საინტერესოა, როგორ მოახერხებს მანევრირებას ჰაინკესი, როცა რობენი, ალაბა და გომესიც გამოჯანმრთელდებიან. ფაქტია, რომ „დონ იუპს" ყოველთვის მოუწევს მინიმუმ 3-4 ისეთი მოთამაშის სათადარიგოთა სკამზე დასმა, რომლებსაც ეს არ ეპიტნავებათ.

თავად მწვრთნელი საფრთხეს ვერ ხედავს და რობენის მაგალითი მოჰყავს: *„არიენი მოვიდა და მითხრა, თავს ცუდად ვგრძნობ, გაციებული ვარ, თამაში კი შემიძლია, მაგრამ უმჯობესია იმან ითამაშოს, ვინც სრულ მზადყოფნაშიაო."*

საინტერესოა, რამდენ ხანს გაგრძელდება „ბაიერნში" ასეთი სულისკვეთება.

მიონხენგლადბახის ბორუსია

# დე იონგი: მეტი ჩაწოდება მჭირდება!

## ჰოლანდიელი უგოლოდაა, მაგრამ ჯერ არ დარდობს

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ჰოლანდიელ ფორვარდ **ლუუკ დე იონგში** 12 მილიონი ევრო აქვს გადახდილი, მაგრამ ძვირფასი შენაძენი იმედებს ჯერჯერობით ვერ ამართლებს. დე იონგმა „გლადბახის" ფორმით ამ სეზონში უკვე ხუთ ოფიციალურ შეხვედრაში იასპარეზა, გოლის გატანა კი ვერ შეძლო, რის გამოც უკვე აკრიტიკებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მისი უშუალო მოვალეობა გოლების გატანაა და ლუუკს გოლების გრაფაში ჯერ კიდევ ნული უწერია, ჰოლანდიელ გოლეადორს ნერვიულობა არ ეტყობა.

*„ვიცოდი, რომ გერმანულ ფეხბურთთან შესაგუებლად გარკვეული დრო დამჭირდებოდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ თამაში მიჭირს. მიონხენგლადბახში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. პრობლემა ის არის, რომ არ მიმართლებს,* - აცხადებს დე იონგი „შპორტ აინსისტვის" მიცემულ ინტერვიუში, - *პრობლემაა ისიც, რომ „გლადბახი" „ტვენტესგან" განსხვავებული ტაქტიკით თამაშობს. „ტვენტე" უმეტესად ფლანგებიდან უტევს და მეც სწორედ ასეთ ტაქტიკას ვარ მიჩვეული, „გლადბახში" კი შეტევების უმეტესობა ცენტრიდან ვითარდება. ჩემმა ახალმა თანაგუნდელებმა უკვე იციან, რომ გოლის გასატანად მაღალი ჩაწოდებები მჭირდება. მეტოქის კართან განსაკუთრებით სახიფათო სწორედ ასეთ სიტუაციებში ვარ ხოლმე."*



ლუუკ დე იონგი

გერმანიის ნაკრები

# ლიოვი თავს იზღვევს

## ხუმრობის გარეშე: გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ფარერებთან მატჩში ბუნდესგუნდის დაცვის ხაზის სოლიდურობას ელის

**გერმანიის ნაკრებმა თავის ქომაგებს ევროპის ჩემპიონატზე იმედები გაუცრუა და მერე კი არგენტინასთან ტესტ-მატჩიც წააგო, რის გამოც ბუნდესმწვრთნელ იოახიმ ლიოვს კრიტიკოსები მოუმრავლდა და ამ თანამდებობაზე თავს ნამდვილად აღარ გრძნობს ისე, როგორც თევზი წყალში. შესაბამისად, იოგისთვის და მისი გუნდისთვის სწორედ მისწრებაა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ისეთ მეტოქესთან თამაშის დაწყება, როგორიცაა ფარერების ნაკრები გუნდი. ცხადია, რომ გერმანელები ამაზე იოლ დასაწყისს ვერ ინატრებდნენ და ფაქტია ისიც, რომ ბუნდესნაკრებს ჯგუფში სხვა მეტოქეებშიც გაუმართლა, მაგრამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლიოვმა და მისმა შეგირდებმა, თომას მიულერმა და მესუთ იოზილმა მთელ საფეხბურთო გერმანიას მოუწოდეს, ნურავინ იფიქრებთ, რომ ამ ჯგუფიდან იოლად გავალთო.**

ჯერ ფარერები, მერე ავსტრია და C ჯგუფში გერმანიას მეტოქეობას კიდევ ირლანდია, ყაზახეთი და შვედეთი გაუწევენ. ბუნდესგუნდისთვის თეორიულად არც ერთი მათგანი არ არის რთულად დასამარცხებელი, მაგრამ ლიოვი მაინც თავს იზღვევს: *„მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეჯგუფი გაწონასწორებულია და არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ამ ჯგუფიდან იოლად გავალთ."*

ცხადია, ლიოვს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ გერმანია ფარერებთან სამ ქულას აიღებს. იოგი უფრო იმაზე ფიქრობს, როგორ წარმოაჩენს თავს მისი გუნდი ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრებთან წაგებისა (1:2) და არგენტინასთან ჩაფლავებული ამხანაგური მატჩის (1:3) შემდეგ. ლიოვის



გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი გუშინდელ პრესკონფერენციაზე

თქმით, მისმა შეგირდებმა უკვე დაივიწყეს იტალიასთან მარცხი და არც თავდაჯერების პრობლემა აქვთ. თუმცა ამაში ვერც ფარერებთან მატჩი დაგვარწმუნებს და ვერც სამშაბათს დაგეგმილი შეხვედრა ავსტრიის ნაკრებთან, რომელსაც გერმანელები ალბათ ასევე უპრობლემოდ მოიგებენ. გამოდის, რომ საფეხბურთო გერმანია და ბუნდესგუნდის ქომაგები იოგის ისევ სიტყვაზე უნდა ენდონ.

**იოზილი** და **მიულერი** პრესკონფერენციაზე ნაცნობი და ბანალური განცხადებებით შემოიფარგლენ - ყველა მეტოქეს სერიოზულად უნდა მოვეკიდოთო; თანამედროვე ფეხბურთში სუსტი გუნდი აღარ არსებობსო; ჩვენ ვიცით, რაც შეგვიძლია და ამას ხალხსაც ვაჩვენებთო და ა.შ. თავად ლიოვმა თამამად თქვა, რომ ფარერებთან და ავსტრიასთან მატჩებში გერმანიის ნაკრების დაცვის ხაზისგან სოლიდურ თამაშს ელის, რაც ასეთ მეტოქეებთან შეხვედრების წინ გერმანიის ნაკრების თავკაცისთვის, რა თქმა უნდა, იოლი სათქმელია. მწვრთნელს მხარი მიულერმაც აუბა - პროგრესი და განვითარება არ უნდა შევწყვიტოთ, ფარერების ნაკრები პირველივე წუთებიდან უმძიმესი წნეხის ქვეშ უნდა მოვაქციოთო...

სასაცილოა, არა?

### მარჯვნივ ლამი, მარცხნივ შმელცერი

ტრაფარეტული და მართლა სასაცილო განცხადებების შემდეგ ლიოვმა საკადრო საკითხებზე კონკრეტულად ისაუბრა და ჩვენს გერმანელ კოლეგებს ამცნო, ფარერებთან დაცვის მარცხენა ფლანგზე **მარსელ შმელცერი** ითამაშებს, **ფილიპ ლამს** კი მარჯვნივ გავამწესებო. იოგი ფიქრობს (ან, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა), რომ გერმანიის ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას" მარცხენა მცველს უფრო ხშირად უნდა ენდოს - ისევე, როგორც „დორტმუნდის" ვარსკვლავ **მარკო როისს**, რომლის ძირითადში გამწესებისკენ იოახიმს მთელმა გერმანიამ მოუწოდა.

იმ შემადგენლობიდან, რომელიც ლიოვმა ფარერებთან და ავსტრიასთან მატჩებისთვის გამოიძახა, კითხვის ნიშნის ქვეშ მხოლოდ **ტონი კროოსის** ასპარეზობაა, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს. განაცხადში ერთადერთი ნომინალური ცენტრფორვარდი **მიროსლავ კლოზეა** და ფაქტია, რომ „ლაციოს" ძალიან კარგ ფორმაში მყოფი გოლეადორი თამაშს სასტარტოში დაიწყებს.

ტრავმირებული **მარიო გომესის** არყოფნაში ლიოვს მიროს სახით მხოლოდ ერთი ცენტრალური თავდამსხმელი შემორჩა და მიუხედავად ამისა, ნაკრებში მაინც არ უხმო „ლევერკუზენის" ფორვარდ **შტეფან კისლინგს** და არც „გლადბახის" თავდამსხმელ **მაიკ ჰანკეს** ენდობა. ექსპერტებმა იოგი ამის გამოც გააკრიტიკეს და შიშობენ, რომ ცენტრალური თავდამსხმელის პოზიცია ბუნდესგუნდისთვის მალე შეიძლება პრობლემატური გახდეს, რადგან მხოლოდ გომესის და კლოზეს იმედად ყოფნა არ შეიძლება. ლიოვი ამბობს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ცენტრფორვარდის ფუნქციებს როისი და თომას მიულერიც კარგად შეასრულებენ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● წარდგენა

# დელ პიერო: დღეიდან ავსტრალიელი ვარ!

## თავგადასავალი დაიწყო, ალექსი სიდნეიშიც ისე დაიხარჯება, როგორც იუვეში იხარჯებოდა




ალექს დელ პიერო სიდნეიში, რა თქმა უნდა, ათნომრიანი მაისურით ითამაშებს

გუშინ **ალესანდრო დელ პიეროს** ავსტრალიური თავგადასავალი ოფიციალურად დაიწყო. იტალიის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის" ყოფილმა ლიდერმა საფეხბურთო კლუბ „სიდნეისთან" 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა - 37 წლის ალექსი, რომელთანაც „იუვეს" მწვრთნელმა **ანტონიო კონტემ** და ხელმძღვანელებმა ტიფოზებისთვის გაუგებარი და მიუღებელი მიზეზების გამო ახალი ხელშეკრულების გაფორმება არ ისურვეს, „სიდნეიში" ოფიციალურად გუშინ წარადგინეს.

*„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეიდან მომდევნო ორი წლის განმავლობაში ავსტრალიელი ვიქნები,* - განაცხადა დელ პიერომ მისი პრეზენტაციისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, *- დარწმუნებული ვარ, რომ ეს მართლაც ძალიან საინტერესო და სასიამოვნო თავგადასავალი იქნება. ალბათ იცით, რომ ძალიან ბევრი წინადადება მქონდა და არჩევანი ავსტრალიაზე შევაჩერე. გადაწყვეტილების სისწორეში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ - ავსტრალიაზე უკეთეს სიტუაციას და უკეთეს ადგილს სხვაგან ვერსად ვიპოვიდი."*

გავრცელებული ცნობების თანახმად, „სიდნეიში" დელ პიეროს არ ექნება ისეთი ხელფასი, როგორსაც ცნობილი ფეხბურთელები კარიერის მიწურულს „გასართობ ლიგებში" იღებენ ხოლმე - ალექსი წელიწადში 2 მილიონ დოლარს (1.6 მილიონი ევრო) აიღებს. მართალია, დელ პიეროს კალიბრის ფეხბურთელისთვის ეს მართლაც სასაცილო ჯამაგირია, მაგრამ ფაქტია, რომ ალე ავსტრალიის A ლიგის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდა.

### რატომ ამჯობინა დელ პიერომ ლივერპულს სიდნეი?

ალექსს მართლაც ბევრი გუნდი ეპატიჟებოდა და თავისუფლად შეეძლო, კარიერა მაღალ დონეზე გაეგრძელებინა, რადგან მთხოვნელებს შორის ყველაზე მეტად ინგლისის პრემიერლიგის წარმომადგენლები, „საუთჰემპტონი" და თვით „ლივერპული" აქტიურობდნენ. მაგრამ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონმა ყველა მსურველს უარი შეუთვალა, საფეხბურთო ევროპა კი განსაკუთრებით იმით გააოცა, რომ „ლივერპულში" თამაშს კარიერის ავსტრალიაში გაგრძელება ამჯობინა. ამასთან, ალექსს ჩინური, არგენტინული, ამერიკული და შვეიცარიული კლუბებიც ეპატიჟებოდნენ.

*„ყველა კონტინენტიდან მირეკავდნენ და ზღაპრულ კონტრაქტებს მთავაზობდნენ, მაგრამ მაინც ავსტრალია ავირჩიე და მჯერა, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგი. ევროპაში დარჩენაზე კი ვფიქრობდი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს არ მინდოდა, რადგან შეიძლებოდა, ერთხელაც ვალდებული გავმხდარიყავი, „იუვენტუსის" წინააღმდეგ მეთამაშა. ავსტრალია იტალიიდან ძალიან შორსაა, მაგრამ ავსტრალიელები მენტალიტეტით იტალიელებთან ახლოს არიან. ვხედავ, რომ აქ უკვე ყველას ძალიან ვუყვარვარ და მეც მხოლოდ ეს მინდა. ავსტრალია ჩემთვის ახალი გამოწვევა და თავგადასავალია. მჯერა, რომ აქ ბევრ ფანტასტიკურ რამეს აღმოვაჩენ. 37 წლის ვარ, მაგრამ იოლად არ ვიღლები და არც გავზულუქებულვარ. აქაც ისე ვივარჯიშებ და ისე დავიხარჯები, როგორც „იუვენტუსში" ვიხარჯებოდი,"* - აღნიშნა დელ პიერომ.

**გოტფრიდ ლენცი**

● მოსალოდნელი ტრანსფერი




# ლევანდოვსკი ბაიერნზე დაფიქრდება

რობერტ ლევანდოვსკი

სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, დორტმუნდის „ბორუსიას" გოლეადორ **რობერტ ლევანდოვსკის** გარშემო ატეხილი სპეკულაციები კი მაინც გრძელდება. 24 წლის თავდამსხმელი, რომელიც პოლონეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, მიუნხენის „ბაიერნში" გადასვლას აღარ გამორიცხავს.

*„ზაფხულში „ბაიერნში" გადასვლაზე უარი ვთქვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერი არ მომწონს და ბავარიულ გრანდს ყოველთვის უარით გავისტუმრებ. თუ მიუნხენელები კიდევ დამიკავშირდებიან, ტრანსფერზე სერიოზულად დავფიქრდები,* - განაცხადა ლევანდოვსკიმ „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და დასძინა, *- „დორტმუნდთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს და ეს საკმარისი დროა. ვფიქრობ, არაა აუცილებელი, რომ „ბორუსიასთან" ახალი ხელშეკრულება ახლავე გავაფორმო. თუმცა კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ დღესდღეობით მხოლოდ „დორტმუნდზე" ვარ კონცენტრირებული."*

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

## ნაკრებს ჯონსონიც გამოაკლდა

**ენდი ქეროლის** და **ეშლი კოულის** შემდეგ ინგლისის ნაკრებს ტრავმის გამო **ადამ ჯონსონიც** გამოაკლდა. 25 წლის ფეხბურთელმა ბარძაყის კუნთი დაიზიანა და უკვე დატოვა ნაკრების ბანაკი. მართალია, ტრავმა არ არის სერიოზული, მაგრამ ის ვერ მოასწრებს მოლდოვასთან (7 სექტემბერი) და უკრაინასთან (11 სექტემბერი) მატჩებისთვის გამოჯანმრთელებას.

შეგახსენებთ, რომ ჯონსონი სულ ახლახან გადავიდა "სანდერლენდში" "მანჩესტერ სიტიდან" და ითამაშა კიდევაც, როგორც პრემიერლიგაში, ასევე ლიგის თასზე. ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური ინგლისელი ფეხბურთელი იმედოვნებდა, რომ მუდმივი სათამაშო პრაქტიკა დაეხმარებოდა მას ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებაში.

## ფლეტჩერი ჩემპიონთა ლიგის განაცხადშია

როგორც ჩანს, **დარენ ფლეტჩერი** უკვე ბოლომდე გამოჯანმრთელდა. ნახევარმცველი ერთი თვის წინ დაბრუნდა დიდ ფეხბურთში, როცა "იუნაიტედის" რეზერვისტებში ითამაშა, სრულფასოვანი დაბრუნებისკენ კი ახლა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა - შოტლანდიის ნაკრების 28 წლის კაპიტანი, **სერ ალექს ფერგიუსონმა** ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეიყვანა. *"დარენმა ძალიან ბევრი იშრომა და აღიდგინა კონდიციები, ახლა ის ზუსტად ისეთ ფიზიკურ ფორმაშია, როგორშიც ორი-სამი წლის წინ იყო"*, - განაცხადა სერ ალექსმა.

შეგახსენებთ, რომ მანჩესტერ იუნაიტედთან ერთად ჯგუფში **ბრაგა, კლუჟი** და **გალათასარაი** მოხვდნენ.

## იუნაიტედმა ახალწვეული წარადგინა

მოგეხსენებათ, რომ წითელმა ეშმაკებმა "უნივერსიდად დე ჩილეს" 18 წლის ფორვარდი **ანხელო ენრიკესი** ჯერ კიდევ აგვისტოს შუა რიცხვებში გაიფორმეს, მაგრამ ჟურნალისტების წინაშე მხოლოდ ახლა წარადგინეს. ენრიკესს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ და სერ ალექს ფერგიუსონი ძალიან კმაყოფილია მისი შეძენით: *"ანხელომ უკვე ბევრს მიაღწია თავის ასაკისთვის. ის ძლიერია, სწრაფი და რაც მთავარია, ასეთ პატარა ასაკში შესანიშნავად კითხულობს თამაშს".*

ენრიკესმა 2012 წელს 17 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა და დიდი წვლილი შეიტანა "უნივერსიდად დე ჩილეს" გაჩემპიონებაში. *"ჩვენ უკვე წლებია ახალგაზრდა, ნიჭიერ ფეხბურთელებს ვზრდით. ანხელო სრულად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს - ის ტექნიკურია, ბურთს კარგად აკონტროლებს და ბევრი გოლი გააქვს"* – განუცხადა სერ ალექსმა ჟურნალისტებს.

ძალიან ბედნიერია თავად ახალწვეულიც, რომელიც "იუნაიტედში" 21-ნომრიანი მაისურით ითამაშებს: *"ძალიან მიხარია, რომ მსოფლიოს უძლიერეს გუნდში ჩავირიცხე, რომელსაც უდიდესი მწვრთნელი ჰყავს. ველარ ვითმენ, როდის მოვა ის დღე, როდესაც მოედანზე „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისურით გავალ. იმედი მაქვს, რომ მეც ისეთივე წარმატებული დებიუტი მექნება, როგორიც ჩიჩარიტოს ჰქონდა და წლების განმავლობაში ვიქნები „მანჩესტერ იუნაიტედის" მნიშვნელოვანი ნაწილი."*

## მალუდა განაცხადში ვერ მოხვდა

როგორც ჩანს, **ფლორან მალუდას** ველარ ვიხილავთ "ჩელსის" ფორმით საფეხბურთო მოედანზე. **რობერტო დი მატეომ** ფრანგი გარემარბი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანა და როგორც თავად მალუდა ამბობს, პირველ გუნდში ვარჯიშიც კი აუკრძალა. ფრანგის გუნდიდან წასვლის შესახებ მთელი ზაფხულის განმავლობაში აქტიურად საუბრობდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც არისტოკრატებმა **ედენ აზარი** და **ოსკარი** გადაიბირეს, გასაგები გახდა, რომ ფლორანის ადგილი გუნდში აღარ იყო, მიუხედავად ამისა, მალუდა არსად წასულა და ახლა მოუწევს რეზერვისტებთან ერთად ვარჯიში.

## ბერტრანს კონტრაქტი გაუგრძელეს

ერთი ადამიანის ტრაგედიიდან, მეორეს ბედნიერებაზე გადავიდეთ: **რაიან ბერტრანმა** კლუბთან ახალი, 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ახალგაზრდა ფეხბურთელი, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეში, ყველასთვის მოულოდნელად, ჩემპიონთა ლიგის ფინალის დღეს მოექცა, როცა რობერტო დი მატეომ გააოცა მთელი მსოფლიო და ბერტრანი ძირითად შემადგენლობაში დააყენა, არადა, მას იქამდე ევროპის მთავარ საკლუბო ტურნირში ერთი წამიც კი არ ჰქონდა ნათამაშები. ამის გამო 23 წლის ფეხბურთელი გახდა მოთამაშე ისტორიაში, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი პირდაპირ ფინალში ჰქონდა, ისიც ძირითად შემადგენლობაში.

ლონდონში დაბადებული ბერტრანი გუნდის აღზრდილია და იქამდე, სანამ "არისტოკრატთა" შემადგენლობაში ექნებოდა დებიუტი, სათამაშო პრაქტიკა "რიდინგსა" და "ნოტინგემში" მიიღო.

## ყველაფერი ოუენის სასიკეთოდ გადაწყდა

როგორც გუშინ მოგახსენეთ, **მაიკლ ოუენი** ახლოს იყო "სტოკ სიტიში" გადასვლასთან და გუშინვე ყველაფერი ოფიციალურად გადაწყდა. პრემიერლიგამ "სტოკს" უფლება მისცა, რომ ოუენი საჩემპიონატო განაცხადში შეეყვანა.

მოგეხსენებათ, ორი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, პრემიერლიგის ყველა მონაწილე ვალდებულია სატურნირო განაცხადში მხოლოდ 25 მოთამაშე შეიყვანოს იმის გამო, რომ არ მოხდეს გუნდების შემადგენლობების უსაშველო გაბერვა. იმის გამო, რომ "სტოკს" განაცხადი, რომელშიც ოუენის გვარი არ ეწერა, უკვე წარდგენილი ჰქონდა, საჭირო გახდა პრემიერლიგისგან სპეციალური ნებართვის მიღება. 32 წლის ოუენის ტრანსფერს კი შეეწირა **ტონი პულისის** გუნდის ნახევარმცველი **მაიკლ ტონგე**, რომლის ადგილიც დაიკავა ახალწვეულმა.

ოუენმა გუშინ საღამოს თავის "ტვიტერზე" დაწერა: *"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა და თამაშის საშუალება ისევ მომეცემა. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როდესაც გავალ "ბრიტანია სთედიუმის" მოედანზე და ვითამაშებ "სტოკის" საოცარი ფანების წინაშე. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც აქ გადმოსვლა მსურდა, იყო ტონი პულისი - ის შესანიშნავი მწვრთნელია, რომელმაც ძალიან ძლიერი და ყველასთვის ანგარიშგასაწევი გუნდი ჩამოაყალიბა".*

კმაყოფილი იყო კლუბის თავმჯდომარე **პიტერ კოატესი**: *"მაიკლი ძალიან კარგი ბიჭი და შესანიშნავი ფორვარდია. ის შესაძლოა ბევრმა ჩამოწერა, მაგრამ ვფიქრობ, ეს მას პირიქით დაეხმარება, რადგან მოტივირებული იქნება, რომ დაუმტკიცოს ყველას, მათ შორის ფერგიუსონს, რომ ისინი ცდებიან".*

ოუენმა "სტოკთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით და ხელფასს ჩატარებული მატჩების მიხედვით მიიღებს.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიოს ახალგაზრდული პირველობა

# მეორე ვერცხლი ტაილანდში

**ტაილანდურ პატაიაში გუშინ დასრულდა ახალგაზრდა ბერძენ-რომაელთა მსოფლიოს ჩემპიონატი, ჩვენი ნაკრების ბოლო მონაგარი კი მხოლოდ ერთი ვერცხლია - მძიმეწონოსანი შოთა გოგისვანიძე ძალზე ახლოს იყო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებასთან, მაგრამ ფინალური პაექრობა უნგრელ ბალინტ ლამთან დათმო. უნგრელი ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორია, იმ ტურნირის ძირითადი ბადიდან კი ლევან არაბულმა გამოაგდო, რომელიც მერე ასევე ვერცხლის მედალს დაეუფლა. ამდენად, ჩვენი ნაკრების მონაგარი მსოფლიოს პირველობაზე 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაოა. გუშინწინ პლანეტის ვიცე-ჩემპიონი თორნიკე ძამაშვილი (74) გახდა, იაკობ ქაჯაია (96) კი მესამეზე გავიდა.**

ქუთაისელი გოგისვანიძისთვის ეს პირველი ოფიციალური შეჯიბრება იყო ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ - მსოფლიოს შარშანდელ პირველობაზე გამარჯვება მისთვის მთლად ფეხბედნიერი ვერ გამოდგა, რადგან ერთმანეთის მიყოლებით ასტკივდა წელი, მხარი, ფეხი და ლამის მთელი სეზონი გაუცდა. პატაიაში ფინალამდე მან სამი შეხვედრა მოიგო დიდი უპირატესობით - კორეელ **ჯი-ეუნგ პარკთან**, უზბეკ **შერზოდ აკბაროვთან** და ჩინელ **ვანანგ ჭანგთან**. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ფინალამდე უფრო ძნელი გზა უნგრელმა გაიარა - პირადად დაამარცხა გერმანელი ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **კრისტიან ჯონი**, ბულგარელი **მილოსლავ მეთოდიევი** (ამას ევროპაზე დამამშვიდებლის ფინალშიც აჯობა) და ამ ტურნირის მომავალი მესამე პრიზიორი, აზერბაიჯანელი **ზაურ მეხრალიევი**, რომელმაც, თავის მხრივ, მანამდე თურქი ევროპის მესამე პრიზიორი **ალი ნაილ არსლანი** და რუსთა სახელით მოჭიდავე **გიორგი შონია** დაჯაბნა. თუმცა გოგისვანიძის მიღწევაც მშვენიერია - კაცმა ზედიზედ იჭიდავა მსოფლიოს ორი ფინალი! კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ წლეულს ევროპულ ფინალშიც გვყავდა მონაწილე - როგორც ზემოთ გითხარით, იქ არაბულმა იჭიდავა. ანუ ამ წონაში ორი სრულფასოვანი ფალავანი გვყავს, ასეთი კონკურენცია კი ეროვნული ნაკრებისთვის დიდი პერსპექტივაა. მით უფრო, იქ ბოლო ხანებში **გურამ ფერსელიძეც** აშკარა პროგრესის გზაზეა. მთავარია, მან ხასიათი გამოიწრთოს და უფრო მეტად ირწმუნოს, რომ მეტი შეუძლია.

სამწუხაროდ, გოგისვანიძისგან განსხვავებით, გუშინ მოასპარეზე დანარჩენ ქართულ სამეულზე დადებითს ვერაფერს ვიტყვით - **ნიკა ცეცხლაძე** (55), **გიორგი დავითაია** (66) და **რობერტ ქობლიაშვილი** (84) ისე გავარდნენ, სანუგეშოშიც ვერ გადავიდნენ. ეტყობა, ევროპის ვიცე-ჩემპიონმა ცეცხლაძემ ჯერ კიდევ ვერ გაიარა ადაპტაცია ახალ წონაში - შარშან ის 50-ში გამოდიოდა, წლეულს კი პირველად გამოვიდა 55-ში. თუმცა მან წააგო ინდოელ **სურენდერ სურენდერთან**, რაც, ცოტა არ იყოს და, არ ეპატიება. ამ წონაში კვლავაც წარმატებით გამოვიდა აზერბაიჯანელი **ელდანიზ აზიზლი**, ევროპის შარშანდელი ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი, რომელმაც ამჯერად დაუბრკოლებლად გაიმარჯვა. ის უკვე უფროსებშიც გამოდის და არცთუ ცუდად.

როგორც მოველოდით, გიორგი დავითაია ავსტრიელ **შტეფან შტაიგლის** იოლად გაუსწორდა (1:0; 1:0), მაგრამ მერე ხორვატ ევროპის წლევანდელ ჩემპიონ **დომინიკ ეტლინგერთან** წააგო - 0:2; 0:1. ხორვატი ნახევარფინალში დამარცხდა და დავითაიასაც მოუსპო მედლისთვის ბრძოლის შანსი.

ამ გუნდში ქაჯაია და ქობლიაშვილი იყვნენ ევროპის წლევანდელი პირველობის მედალოსნები - ორივე მესამეზე გავიდა. ეტყობა, ქაჯაიასგან განსხვავებით, ქობლიაშვილმა ძალების აღდგენა ვერ მოასწრო - ყირგიზი **ამან ტოხტოგონოვი** დამატებით დროში დაამარცხა (სამივე პერიოდი ერთნაირი ანგარიშით, 1:0 დასრულდა, ოღონდ ჩვენებურმა პერიოდებში 2:1 იმარჯვა), მეორე წრეში ბელარუსთა ქართველ გოგა გაგნიძეს 1:0; 1:0 აჯობა, მესამეში კი ჩინელ **ფეი პენგთან** დამატებითში წააგო! აქ ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ყირგიზთან ანუ სამივე პერიოდი 1:0 დასრულდა, ოღონდ პერიოდების საერთო ჯამში ამჯერად პენგმა იმარჯვა. სამწუხაროა, რომ ამ ტურნირზე მეორედ წავაგეთ ჩინელებთან (პირველ დღეს მათთან **ბაჩანა ფუტკარაძემ** წააგო). პენგი მერე მესამეზე კი გავიდა, მაგრამ მაინც არასაჭიდაო ქვეყანაა და მათთან წაგება გულს უფრო მწარედ ხვდება. არადა, ჩინელებმა მეზობელ ტაილანდში ორი ბრინჯაო მოიპოვეს.


შოთა გოგისვანიძე (მარჯვნივ)

ამდენად, ტაილანდში ბერძენ-რომაელები ოქროს გარეშე დარჩნენ. ვნახოთ, გამოასწორებენ თუ ვერა ამ ნაკლს თავისუფალი სტილით მოჭიდავეები, რომლებიც დღეს მიფრინავენ პატაიაში. ნაკრების შემადგენლობა ასეთია: **ბექა ბუჯიაშვილი** (50), **ლაშა ტალახაძე** (55), **ლაშა ბიტარაშვილი** (60), **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (66), **ჯუმბერ ყველაშვილი** (74), **ლევან გოგრიჭიანი** (84), **გიორგი მეშვილდიშვილი** (96), **გენო პეტრიაშვილი** (120). ესენი 8-9 სექტემბერს იჭიდავებენ, ჩვენებიდან საასპარეზოდ გასვლა კი პირველებს ბუჯიაშვილს, ბიტარაშვილს, ყველაშვილსა და მეშვილდიშვილს მოუწევთ.

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი. ბიჭები

**55 კგ.** 1. ელდანიზ აზიზლი (აზერბაიჯანი); 2. ვიქტორ ჩობანუ (მოლდოვა); 3. სინობუ ოტა (იაპონია), ნიკოლაი ივანოვ ვიჩევი (ბულგარეთი).

**66 კგ.** 1. ჯეიხუნ ალიევი (აზერბაიჯანი); 2. მაგომედ ჩუხალოვი (რუსეთი); 3. მეჰდი ჩოოლი ზეიდვანდი (ირანი), დომინიკ ეტლინგერი (ხორვატია).

**84 კგ.** 1. ბარის გუნგორი (თურქეთი); 2. არკადი ბლუმინი (უკრაინა); 3. ფეი პენგი (ჩინეთი), სამბა დიონგი (საფრანგეთი).

**120 კგ.** 1. ბალინტ ლამი (უნგრეთი); **2. შოთა გოგისვანიძე (საქართველო)**; 3. ზაურ მეხრალიევი (აზერბაიჯანი), იან ჭანგი (ჩინეთი).

ჭადრაკი

# ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩებიან

სერბეთის ქალთა ნაკრები სტამბოლში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საშუალო სიძლიერის გუნდით ჩავიდა, რაზეც მათი რეიტინგებიც მეტყველებს. ამის მიუხედავად, ისინი ბოლომდე იბრძვიან და შვიდი ტურის შემდეგ 10 ქულა ჰქონდათ. გუშინ მონაგარი ქულით გაიმდიდრეს, ის ქულა კი საქართველოს ნაკრებს აართვეს. არადა, მას შემდეგ, რაც **ნანა ძაგნიძემ** (2547) სერბთა ვეტერანი და ამჟამადაც გუნდის ლიდერი ნატაშა ბოიკოვიჩი (2392) დაამარცხა, ჩვენი მანდილოსნები, უბრალოდ, ვალდებულიც კი იყვნენ ეს მატჩი მოეგოთ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა: ანჟელიკა სტოიანოვიჩი (2277) **ბელა ხოტენაშვილს** (2509) დაუზავდა, ანა ბენდერასი (2266) **ნინო ბაციაშვილს** (2432) შეუთანხმდა ყაიმზე, ხოლო მარიკა რაკიჩმა (2300) **ლელა ჯავახიშვილს** (2458) აჯობა და მატჩში წონასწორობა აღადგინა.



მედლების კანდიდატთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლონეთი - ჩინეთი 1:3 (მონიკა სოჩკო - ჰოუ იფანი 0:1, ივეტა რაილიჩი - ჟაო სიუ 0:1, იოლანტა ზავადსკა - ჰუან ქიანი 0,5:0,5, კარინა შეპკოვსკა - დინ ისინი 0,5:0,5), რუსეთი - უკრაინა 2:2 (ტატიანა კოსინცევა - კატერინა ლაგნო 0,5:0,5, ვალენტინა გუნინა - მარია მუზიჩუკი 0,5:0,5, ნადეჟდა კოსინცევა - ნატალია ჟუკოვა 1:0, ნატალია პოგონინა - ანა უშენინა 0:1), საფრანგეთი - ესპანეთი 3:1 (ელმირა სკრიპჩენკო - ანა მათნაძე 1:0, სოფი მილიე - ოლგა ალექსანდროვა 0,5:0,5, ნინო მაისურაძე - საბრინა ვეგა გუტიერესი 0,5:0,5, სილვია კოლასი - იუდანია ჰერნანდესი 1:0), უზბეკეთი - უნგრეთი 2,5:1,5, ვიეტნამი - ინდოეთი 1,5:2,5, ფილიპინები - აშშ 0,5:3,5, სომხეთი - რუმინეთი 3:1.

რვა ტურის შემდეგ: ჩინეთი - 14 (24), რუსეთი (22,5), საფრანგეთი - (24), ინდოეთი (21), უზბეკეთი (20,5) - 13-13 ქულა. საქართველოს ქალთა ნაკრები 11 (22) ქულით მეთორმეტეა.

საქართველოს ქალთა გუნდისგან განსხვავებით იყოჩაღა ვაჟთა ნაკრებმა, თუმცა მეტოქედ თურქეთის სუსტი გუნდი ჰყავდა. ჩვენებმა 3,5:0,5 მოიგეს: ბურაკ ფირატი (2432) - **მიხეილ მჭედლიშვილი** (2659) 0:1, ვაჰაპ სანალი (2387) - **მერაბ გაგუნაშვილი** (2578) 0:1, მუჰამედ ბათუხან დასტანი - **თორნიკე სანიკიძე** (2585) 0:1, კანკუთ ემიროგლუ (2299) - **კონსტანტინე შანავა** (2569) 0,5:0,5.

დაძაბული გამოდგა მედლებისთვის მებრძოლთა პაექრობები. რუსებმა მინიმალური ანგარიშით აჯობეს უკრაინელებს - 2,5:1,5 (ვლადიმირ კრამნიკი - ვასილი ივანჩუკი 0,5:0,5, ალექსანდრ გრიშჩუკი - რუსლან პონომარიოვი 0,5:0,5, სერგეი კარიაკინი - ანდრეი ვოლოკიტინი 1:0, ევგენი ტომაშევსკი - ალექსანდრ მოისეენკო 0,5:0,5), ჩინეთი და აზერბაიჯანი დაზავდნენ - 2:2 (ვან ჰაო - თეიმურ რაჯაბოვი 0,5:0,5, ვან იუე - შაჰრიარ მამედიაროვი 0:1, დინ ლირენი - რაუფ მამედოვი 1:0, ბუ სიანჭი - გადირ ჰუსეინოვი 0,5:0,5), სომხეთი - უზბეკეთი 3:1, მაკედონია - აშშ 1:3, გერმანია - უნგრეთი 2,5:1,5, ინგლისი - ფილიპინები 1:3, საფრანგეთი - კუბა 2,5:1,5, ინდოეთი - სერბეთი 2:2, ესპანეთი - ისრაელი 0,5:3,5.

რვა ტურის შემდეგ: რუსეთი - 15 (21,5), ჩინეთი (22,5), სომხეთი (21,0), აშშ (23,5), გერმანია (21) და ფილიპინები (22,5) - 13-13 ქულა, 7 გუნდს 12-12, ხოლო 15 გუნდს 11 ქულა აქვს. საქართველოს ნაკრები 11 ქულით მე-16 ადგილზეა.

დღეს მე-9 ტურის პაექრობები გაიმართება. **ქალები.** ჩინეთი - საფრანგეთი, ინდოეთი - რუსეთი, ყაზახეთი - უზბეკეთი, აშშ - უკრაინა, ბულგარეთი - პოლონეთი, ირანი - სომხეთი, **საქართველო - აზერბაიჯანი,** ისრაელი - სერბეთი, უნგრეთი - სლოვენია, ვიეტნამი - გერმანია, ესპანეთი - ლიტვა. **ვაჟები.** აშშ - რუსეთი, ფილიპინები - ჩინეთი, სომხეთი - გერმანია, პოლონეთი - აზერბაიჯანი, უკრაინა - საფრანგეთი, ჰოლანდია - ისრაელი, სერბეთი - არგენტინა, უნგრეთი - იტალია, **საქართველო - ინდოეთი...**

**ვაჟა დანელია**

# კვარცხლბეკს ვერ შესწვდნენ

სტამბოლში გუშინ დამთავრდა 16-წლამდელთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც 40 გუნდი მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრებმა ბოლო - მეათე ტურში ჩეხეთის გუნდს 2,5:1,5 აჯობა: პატრიკ მელზერი - **ირაკლი ბერაძე** 0:1, იან მიკესი - **გიორგი სიბაშვილი** 0:1, იაკობ ზოტკოვსკი - **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 0,5:0,5, იაკობ ჰამანი - **ნინო ხომერიკი** 1:0. არადა, 1,5 ქულა არ გვეყო მესამე ადგილზე გასასვლელად - ინდოელებმა გაგვისწრეს.

ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პოლონეთი - ირანი 1,5:2,5, რუსეთი - სომხეთი 3,5:0,5 ავსტრალია (ა) - ინდოეთი 1,5:2,5, აზერბაიჯანი - ლიტვა 2,5:1,5, ყაზახეთი - სერბეთი 2,5:1,5, სლოვაკეთი - საბერძნეთი - 0:4, პერუ - თურქეთი (წითელი) 3:1.

10 ტურის შემდეგ 40 შესაძლებლიდან 29 ქულით ჩემპიონობა რუსებმა (იური ელისეევი, მაქსიმ ჩიგაევი, ვლადისლავ არტემიევი, დარსენ სანჟაევი, მაქსიმ ვავულინი) მოიპოვეს. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ირანელები, რომლებსაც ვერცხლის მედლები ერგოთ, 25,5 ქულით მესამე ადგილზე ინდოელები გავიდნენ. 24-24 ქულითა და უკეთესი კოეფიციენტის გათვალისწინებით მეოთხე-მეექვსე ადგილები, შესაბამისად, საქართველოს (ირაკლი ბერაძე, გიორგი სიბაშვილი, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ნინო ხომერიკი, ანა შამათავა), აზერბაიჯანისა და საბერძნეთის გუნდებმა გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**


მარცხნიდან: გიორგი ხომერიკი, ირაკლი ბერაძე, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, გიორგი სიბაშვილი, ნინო ხომერიკი და ანა შამათავა


ბაადურ ჯობავა

# ჯობავა შავ ზღვაზე მიიწვიეს

ბულგარულ ბურგასში ამ ქვეყნის რეგიონული განვითარების მინისტრის - ლილიანა პავლოვას პატრონატით 12-19 სექტემბერს შავი ზღვის ქვეყნების მოჭადრაკეთა ფინალური ტურნირი გაიმართება. საასპარეზოდ მიწვეულნი არიან **ბაადურ ჯობავა** (საქართველო, 2734), ალექსანდრ არეშჩენკო (უკრაინა, 2702), ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი, 2700), ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი, 2689), ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ (რუმინეთი, 2648) და სუათ ატალიკი (თურქეთი, 2603). შეჯიბრება, რომლის საპრიზო ფონდია 10.000 ევრო, ორ წრედ გაიმართება. გამარჯვებული 2750 ევროთი დაჯილდოვდება. მომდევნო 4 ადგილებზე გასულნი კი, შესაბამისად, 2500, 2.000, 1500 და 1250 ევროს დაიმსახურებენ.

**ვაჟა დანელია**

# ტელეტოვიჩუუუუ...

## ბოსნიამ გაგვაჩუმა

5 სექტემბერი. თბილისი, 9000 მაყურებელი

**საქართველო 103:107 ბოსნია**

16-20, 27-20, 31-32, 29-35

მსაჯები: მ. ვოიანოვიჩი (სერბეთი), გ. რიჟიკი (უკრაინა), ზ. ილმაზი (თურქეთი)

| საქართველო | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| *7. ფაჩულია | 27 | 7/13 | 53.8 | 7/13 | 53.8 | 0/0 | 0.0 | 7/11 | 63.6 | 8 | 3 | 11 | 2 | 4 | 0 | 0 | 4 | 11 | -5 | 21 |
| *8. ცინცაძე | 29 | 3/11 | 27.3 | 2/8 | 25.0 | 1/3 | 33.3 | 2/2 | 100.0 | 3 | 4 | 7 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | -4 | 9 |
| 9. შერმადინი | 13 | 3/4 | 75.0 | 3/4 | 75.0 | 0/0 | 0.0 | 2/2 | 100.0 | 4 | 2 | 6 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 1 | 8 |
| *11. მარკოიშვილი | 33 | 6/12 | 50.0 | 4/6 | 66.7 | 2/6 | 33.3 | 9/10 | 90.0 | 0 | 4 | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 4 | -4 | 23 |
| 12. ფაცაცია | 8 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 2 | 3 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | -3 | 0 |
| *13. სანიკიძე | 31 | 4/9 | 44.4 | 3/5 | 60.0 | 1/4 | 25.0 | 3/4 | 75.0 | 3 | 7 | 10 | 5 | 1 | 0 | 1 | 4 | 2 | 5 | 12 |
| *23. შენგელია | 34 | 8/15 | 53.3 | 8/14 | 57.1 | 0/1 | 0.0 | 1/4 | 25.0 | 4 | 2 | 6 | 3 | 1 | 3 | 0 | 1 | 3 | -6 | 17 |
| 34. პულენი | 25 | 6/16 | 37.5 | 5/11 | 45.5 | 1/5 | 20.0 | 0/2 | 0.0 | 1 | 1 | 2 | 3 | 0 | 2 | 0 | 3 | 2 | -4 | 13 |
| გუნდი | | | | | | | | | | 0 | 1 | 1 | | 1 | | | 0 | | | |
| ჯამი | | 37/81 | 45.7 | 32/62 | 51.6 | 5/19 | 26.3 | 24/35 | 68.6 | 25 | 27 | 52 | 24 | 8 | 6 | 1 | 20 | 25 | | 103 |

| ბოსნია | წთ | ს-თ. | ს-თ% | 2ქ | 2ქ% | 3ქ | 3ქ% | 1ქ | 1ქ% | მ-მ. | მ-ს. | მ | პ | შ | ჩ | დ | ფ | ფ-მ. | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. ავდიბეგოვიჩი | 15 | 3/3 | 100.0 | 2/2 | 100.0 | 1/1 | 100.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 3 | 3 | 4 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 | 7 |
| *5. მასიჩი | 38 | 6/9 | 66.7 | 1/2 | 50.0 | 5/7 | 71.4 | 4/4 | 100.0 | 0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 | 7 | 21 |
| 6. ნურკიჩი | 8 | 0/1 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 11 | 0 |
| *8. რაითი | 29 | 10/13 | 76.9 | 10/12 | 83.3 | 0/1 | 0.0 | 3/4 | 75.0 | 1 | 2 | 3 | 6 | 0 | 3 | 0 | 4 | 3 | 6 | 23 |
| 10. მიტროვიჩი | 3 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/1 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | -7 | 0 |
| 11. კიკანოვიჩი | 23 | 6/7 | 85.7 | 6/7 | 85.7 | 0/0 | 0.0 | 4/4 | 100.0 | 1 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 1 | 5 | 2 | 6 | 16 |
| *12. ტელეტოვიჩი | 35 | 6/15 | 40.0 | 2/6 | 33.3 | 4/9 | 44.4 | 9/10 | 90.0 | 0 | 5 | 5 | 5 | 3 | 0 | 0 | 4 | 6 | 1 | 25 |
| *14. დედოვიჩი | 35 | 5/14 | 35.7 | 2/8 | 25.0 | 3/6 | 50.0 | 2/5 | 40.0 | 1 | 2 | 3 | 4 | 3 | 1 | 1 | 4 | 5 | 4 | 15 |
| *15. სინანოვიჩი | 13 | 0/3 | 0.0 | 0/3 | 0.0 | 0/0 | 0.0 | 0/2 | 0.0 | 1 | 6 | 7 | 0 | 0 | 0 | 1 | 5 | 1 | -10 | 0 |
| გუნდი | | | | | | | | | | 2 | 1 | 3 | | 0 | | | 1 | | | |
| ჯამი | | 36/66 | 54.5 | 23/41 | 56.1 | 13/25 | 52.0 | 22/29 | 75.9 | 6 | 24 | 30 | 21 | 6 | 4 | 3 | 26 | 20 | | 107 |

*შენიშვნა: **წთ** - წუთი, **ს-თ** - სროლა თამაშიდან, **2ქ** - ორქულიანი, **3ქ** - სამქულიანი, **1ქ** - საჯარიმო, **მ-მ** - მოხსნა მეტოქის ფარზე, **მ-ს** - მოხსნა საკუთარ ფარზე, **მ** - მოხსნა სულ, **პ** - პასი, **შ** - შეცდომა, **ჩ** - ჩაჭრა, **დ** - დაფარება, **ფ** - ფოლი, **ფ-მ** - ფოლი მეტოქეს, +/- - სხვაობა კალათბურთელის მოედანზე ყოფნისას, **ქ** - ქულა.*

« პირველი გვერდიდან

ახლა თითოეულ კალათბურთელზე ვთქვათ. კაპიტანმა **ზაზა ფაჩულიამ** მატჩის წინა დღისით მითხრა: კუნთი მაქვს გაჭიმული და თუ თამაშის დღესაც ასე ვიქნები, მოედანზე გასვლა გამორიცხულიაო. როცა საქმე დაჭიმულობას ეხება, ყველამ კარგად იცის, ერთ დღეში ტრავმა არ შუშდება. ზაზა ბოსნიასთან სათამაშოდ მაინც გავიდა, რიგ ეპიზოდებში კუნთზე ხელიც წაივლო, აშკარა იყო, აწუხებდა, მაგრამ გმირულად გაუძლვა თანაგუნდელებს - საქართველოს ნაკრების ფარიდან ასხლეტილ ბურთს ერთ ბოსნიელსაც არ უთმობდა, ხოლო შეტევაში ყველგანმავალ ტანკს მოგაგონებდათ, რომელიც გზად ერთ-ორ ბოსნიელს ქელავდა. ძნელი სავარაუდოა, თუნდაც ტელეტოვიჩს ფაჩულიას მსგავსი ტრავმა რომ ჰქონოდა, მოედანზე გასულიყო.

მანუჩარ მარკოიშვილს დაცვაში დიდი დატვირთვა ჰქონდა - ბოსნიელთა ერთ-ერთ ლიდერ **ნიჰად დედოვიჩს** მეურვეობდა. ნიჰადმა საბოლოოდ 15 ქულა ჩააგდო, რაც იმას ნიშნავს, რომ მანუმ დაცვაში ნაყოფიერად იშრომა. მას ენერგია შეტევისთვისაც დარჩა და გადამწყვეტ მომენტში ზუსტი სამქულიანითაც გაახარა უამრავი გულშემატკივარი - სირენამდე 27 წამით ადრე თანაგუნდელები კიდევ ერთხელ დაანინაურა, 103:102.

**ვიქტორ სანიკიძეს** ყველაზე დიდი ჯაფა დაადგა. მას მწვრთნელმა მირზა ტელეტოვიჩის განეიტრალება დაავალა. პირველ მეოთხედში ბოსნიელ სნაიპერს მხოლოდ 4 ქულა ჰქონდა და იმედი გაგვიჩნდა, რომ ვიქტორმა მირზა საბოლოოდ გამოთიშა თამაშიდან. ვერც იმას ვიტყვით, რომ სანიკიძემ მეორე ტაიმშიც რამე დააკლო მაგრამ... მირზას თემას ზემოთ უკვე შევეხეთ. რაც შეეხება სანიკიძეს, მან ამ შესარჩევზე ყველაზე ნაკლები ორქულიანი სწორედ ბოსნიასთან ისროლა - 5. მას დაცვაში იმდენად სერიოზული დავალება ჰქონდა, რომ შეტევაში ჩვეულად ვერ იფრინა.

**გიორგი ცინცაძემ** 9 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი მოაგროვა და ერთი შეცდომაც არ დაუშვია. ასეთი დონის თამაშში უშეცდომოდ გარჯა კალათბურთელის მაღალი კლასის მანიშნებელია.

14-დან 8 ორქულიანი გამოიყენა **თორნიკე შენგელიამ** (სულ 17 ქულა), რომელმაც მოედანზე 34 წუთი გაატარა, თუმცა ბოლო წუთებზე მწვრთნელმა მის გარეშე ამჯობინა თამაში.

**გიორგი შერმადინი** ღირსეულად ცვლიდა ფაჩულიას. მის ანგარიშზე 13 წუთში 8 ქულა და 6 მოხსნა ჰქონდა. დაგვერწმუნებით, კარგი შედეგია.

მწვრთნელმა, იგორ კოკოშკოვმა ჯეიკობ პულენისა და გიორგი შერმადინის გარდა **ლევან ფაცაცია** ათამაშა. ლევანმა, ალბათ, მწვრთნელიც დაარწმუნა, რომ მისი მომავალში ნდობაც შეიძლება. იგი არც ფიზიკურად მოიკოჭლებს და თუ მწვრთნელის მითითება იქნება, ნამდვილად შეუძლია როგორც სამქულიანების ზუსტად ტყორცნა, ასევე ფარქვეშ დრიბლინგით შესვლა.

■ ■ ■

ლეგიონერი ჯეიკობ პულენი ბოლოსთვის შემოვინახეთ. ჩემთან ერთად, ალბათ, ყველა გულშემატკივარს სურდა, რომ იგი მატჩის გემრიელი ლუკმა ყოფილიყო... მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ 2002 წლიდან მანუჩარ მარკოიშვილი ევროპული კალათბურთის უმაღლეს საფეხურზეა, სამქულიანებით თუ გადამწყვეტი ორქულიანებით არაერთი თამაში მოუგია როგორც „კიევის", ასევე „ოლიმპიასა" და „კანტუს" მაისურით. ნუთუ არ შეიძლება, გადამწყვეტ მომენტში ბურთი მანუჩარმა მიიღოს და იმოქმედოს ისე, როგორც მას მოესურვება?!

მას შემდეგ, რაც ტელეტოვიჩმა სამქულიანით სხვაობა 2 ქულამდე გაზარდა (სირენამდე 25 წამით ადრე) იგორ კოკოშკოვმა წუთშესვენება აიღო. როგორც მწვრთნელმა თქვა, ჯეიკობ პულენისთვის სამქულიანის ტყორცნა არ დაუვალებია, მაგრამ შეგირდი ერთგვარად გაამართლა - სასროლ პოზიციაში დარჩა და სამიანიც იმიტომ ისროლაო. არადა, იმ ეპიზოდში მანუჩარი გაცილებით ხელსაყრელ პოზიციაში იყო - პულენს მისკენ რომ გაეხედა, მანუ სამქულიანსაც უფრო თავისუფლად ისროდა და უფრო დიდი ალბათობით მის წინ გაჩენილ დერეფანშიც შევიდოდა. ხოლო სიჩქარეაკრეფილი მარკოიშვილის შეჩერება არანაკლებ რთული რომაა ვიდრე ფაჩულიასი, არაერთხელ დავრწმუნებულვართ.

ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე ბულგარეთთან მატჩში **ერლ როულანდმა** გადამწყვეტ მომენტში რომ მოგვიგო, სწორედ მაშინ დავწერე: ნუთუ რთულია, საქართველოს ნაკრებშიც ერთი ასეთი გამოცდილი ამერიკელი ვიხილოთ?

დღეს ასეთი კითხვა უნდა დაისვას: ნუთუ არ შეიძლება, ჩვენს გუნდში თუნდაც რაითის დარი გამოცდილი კალათბურთელი ვიხილოთ? ბოსნიას შარშან **ჰენრი დომერკანტი** ჰყავდა, რომელიც წლეულს ზეკ რაითით ჩაანაცვლა. ერთი წამით წარმოვიდგინოთ ბოსნიის ნაკრები რაითის გარეშე და მივხვდებით, რა ღირებულების საქმეს ასრულებს ამერიკელი ბოსნიელთათვის. რომ არა ზეკი (საბოლოოდ 12-დან 10 ორქულიანი) პირველ ტაიმში საქართველო სოლიდურ უპირატესობას მოიპოვებდა. ხოლო მეორე ნახევარში, როცა იგრძნო, რომ ტელეტოვიჩი ფეთქდებოდა, ყველანაირად შეუწყო ხელი.

საქართველოს ნაკრებს კი 1989 წელს დაბადებული, ევროპაში გამოუცდელი ამერიკელი ჰყავს, რომელიც შესაძლოა 3-4 წელიწადში მაღალი დონის კალათბურთელად გამოიბრძმედოს, შეეჩვიოს ევროპულ სტილს, მაგრამ საკითხავია: 3-4 წლის შემდეგ გვეყოლება ისეთი შემადგენლობა, როგორიც ახლაა?

ეს კითხვა რედაქციაში ერთ-ერთი მატჩის გარჩევისასაც დაისვა: არავინ იცის, კიდევ როდის გვეყოლება ასეთი დონის გუნდი. ჰყავს კი მას შესაბამისი დონის მწვრთნელი, რომელიც თითოეული კალათბურთელისგან მაქსიმუმს ისევე წურავს, როგორც **დევიდ ბლატი** რუსეთისგან?

**ვაჟა სიმონიშვილი**




**მატჩის შემდგომ** პრესკონფერენციაზე მოვიდნენ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი, ვიქტორ სანიკიძე, ბოსნიის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი დენის ბაირამოვიჩი და სტუმართა გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ზაკ რაითი.

**იგორ კოკოშკოვი:** უპირველესად, ბოსნიის ნაკრებს ვულოცავ გამარჯვებას. ჩვენმა მეტოქემ ბოლომდე იბრძოლა და მიზანსაც მიაღწია. ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ისეთ გუნდთან, როგორიც ბოსნიაა, მხოლოდ მონდომებით თამაში არ კმარა, აუცილებელია კარგი თამაშიც. ჩემს შეგირდებს ძალა და ენერგია არ დაუშურებიათ, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს არ გვეყო - ყველა დავალების ზედმიწევნით შესრულებაა აუცილებელი. მეტოქემ გვაჯობა. სტუმართა გუნდში შესვენებამდე ზაკ რაითი გამოირჩეოდა. პერსონალური ჯარიმების გამო მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პეტროვიჩმა იგი დაასვენა და ახალგაზრდა ღირსეული შემცვლელი მოუძებნა. ჩვენი გუნდიდან კარგად ითამაშა ვიქტორ სანიკიძემ, თუმცა მირზა ტელეტოვიჩმა, რომელიც უაღრესად დიდი პროფესიონალია, მაინც მოახერხა ჩვენი დაცვის გარღვევა და საკუთარი გუნდისთვის ქულების მოტანა. ბოსნიელთა გამარჯვებაში მან დიდი როლი ითამაშა.

**- ბოლო წუთშესვენებისას რა დავალება მიეცით შეგირდებს - სამქულიანის ჩაგდება თუ ორქულიანით ანგარიშის გათანაბრება და მატჩის დამატებით დროში გადაყვანა.**

- მოედანზე ოთხი მსროლელი და ფაჩულია დავტოვეთ, რომელსაც მეტოქეები უნდა ჩაეკეტა და თანაგუნდელებისთვის სროლის საშუალება მიეცა. პულენს, რომელიც კარგ პოზიციაში აღმოჩნდა, შეეძლო ორქულიანის ტყორცნაც. შესაძლოა ეს უფრო შედეგიანიც ყოფილიყო. მან კი სამქულიანის ჩაგდება ამჯობინა. რაც შეეხება ჩვენს ტაქტიკას, ზონური დაცვა უნდა გვეთამაშა. პირველ ტაიმში ეს გამოგვივიდა. შესვენების შემდეგ მირზას შორეული ზუსტი ტყორცნების გამო ტაქტიკას ხშირად ვცვლიდით, რადგან ზონურ დაცვას შედეგი არ მოჰქონდა. ის რომ, ოთხი ქართველი კალათბურთელი ერთი ბოსნიელის პირისპირ აღმოჩნდებოდა, ხოლო მეტოქე გუნდის სხვა წევრები თავისუფალ პოზიციაში იმყოფებოდნენ, ეს მწვრთნელის დავალების ცუდად შესრულებაზე მიუთითებს. მარცხის მიუხედავად, ჯერ არაფერია დაკარგული - ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი გვაქვს და ის უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი ბედი ჩვენ ხელთაა. ორიოდე დღეში ლატვიას დავუპირისპირდებით. წარმატებისთვის არაფერს დავიშურებთ.

**ვიქტორ სანიკიძე:** უპირველესად, გულშემატკივრებს მინდა გადავუხადო მადლობა. მათი ქომაგობა ჩვენთვის დიდი სტიმულია. ვწუხვარ, რომ დღეს იმედები გავუცრუეთ - ვადამდე ვერ მოვიპოვეთ ევროპის ჩემპიონატის საგზური. ლატვიასთან მატჩის მოსაგებად ყველაფერს ვილონებთ.

**დენის ბაირამოვიჩი:** საქართველოს ნაკრებმა სტუმრად და შინაც კარგად ითამაშა, მაგრამ დღეს ფორტუნა ჩვენს მხარეს იყო. გულშემატკივართა საოცარმა ქომაგობამ გამაკვირვა. მირზა ტელეტოვიჩმა შეუდარებლად ითამაშა და გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა.

**ზაკ რაითი:** დღეს ორი ძლიერი ნაკრები დაუპირისპირდა ერთმანეთს. ბოსნიაში საქართველოს გაუმართლა, თბილისში - ჩვენს გუნდს. ჯგუფში ადგილების გადასანაწილებლად ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ლატვიის თამაშებზე. ექვსიოდე დღეში ყველაფერი გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**



### საქართველო-ბოსნია

**IV პერიოდი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 09:41 | | 74 - 75 | დედოვიჩი 3ქ |
| 09:18 | მარკოიშვილი 2ქ | 76 - 75 | |
| 08:51 | | 76 - 78 | ავდიბეგოვიჩი 3ქ |
| 08:34 | პულენი 2ქ | 78 - 78 | |
| 08:11 | სანიკიძე 1ქ | 79 - 78 | |
| 07:58 | სანიკიძე 2ქ | 81 - 78 | |
| 07:47 | | 81 - 80 | კიკანოვიჩი 1+1ქ |
| 07:32 | სანიკიძე 1+1ქ | 83 - 80 | |
| 07:16 | | 83 - 82 | ავდიბეგოვიჩი 2ქ |
| 06:17 | | 83 - 85 | ტელეტოვიჩი 1+1+1ქ |
| 05:52 | შენგელია 2ქ | 85 - 85 | |
| 05:31 | | 85 - 88 | ტელეტოვიჩი 3ქ |
| 05:05 | | 85 - 90 | კიკანოვიჩი 2ქ |
| 04:24 | | 85 - 92 | ავდიბეგოვიჩი 2ქ |
| 04:11 | მარკოიშვილი 1+1ქ | 87 - 92 | |
| 03:58 | | 87 - 94 | ტელეტოვიჩი 1+1ქ |
| 03:53 | მარკოიშვილი 1ქ | 88 - 94 | |
| 03:19 | ფაჩულია 2ქ | 90 - 94 | |
| 02:42 | ფაჩულია 1ქ | 91 - 94 | |
| 02:23 | | 91 - 97 | მასიჩი 3ქ |
| 02:14 | მარკოიშვილი 1+1ქ | 93 - 97 | |
| 01:47 | | | V ფოლი სინანოვიჩს |
| 01:47 | | | ტექნიკური შენ. სინანოვიჩს |
| 01:47 | ფაჩულია 1ქ | 94 - 97 | |
| 01:47 | მარკოიშვილი 1+1ქ | 96 - 97 | |
| 01:40 | პულენი 2ქ | 98 - 97 | |
| 01:28 | | 98 - 99 | მასიჩი 1+1ქ |
| 01:09 | ფაჩულია 2ქ | 100 - 99 | |
| 00:41 | | 100 - 102 | დედოვიჩი 2+1ქ |
| 00:27 | მარკოიშვილი 3ქ | 103 - 102 | |
| 00:25 | | 103 - 105 | ტელეტოვიჩი 3ქ |
| 00:09 | | 103 - 107 | ტელეტოვიჩი 1+1ქ |

## ქართული სპორტი

**ალპინიზმი**

# ორნი შხარაზე

თავისდროზე საბჭოთა ალპინიზმის აკვანი საქართველოში დაირწა, ჩვენმა მთამსვლელებმა კი მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. სასიხარულოა, რომ ბრწყინვალე ტრადიციებს ჩვენს ქვეყანაში ახალი თაობის გამგრძელებლები გამოუჩნდნენ.

საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ორმა პერსპექტიულმა მთამსვლელმა **ტატო ნადირაძემ** და **არჩილ ბადრიაშვილმა** მწვერვალი შხარა საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ურთულესი მარშრუტით - დასავლეთის კედლით დალაშქრეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ასეთი რთული მარშრუტით, ასეთ ახალგაზრდა ჯგუფს (საშუალო ასაკი 23 წელი) არასდროს გაუვლია.

*ინფორმაცია მოგვაწოდა საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა* ***გივი ქართველიშვილმა.***



**ჩოგბურთი**

# უიღბლო დღე

იტალიურ მესტრეში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 50. 000 დოლარი), რომელშიც **სოფიო შაფათავა** მონაწილეობდა. ერთეულთა თანრიგში იგი რიჩელ ჰოგენკამპთან (ჰოლანდია) დამარცხდა - 4:6, 2:6. ქართველი ჩოგბურთელი წყვილებშიც ცდიდა ძალებს. პირველ წრეში მარინა მელნიკოვასთან ერთად, როგორც გაუწყეთ, მე-4 ნომრად განთესილ იულია კოჰენისა (აშშ) და მალოუ ეიდესგაარდის (დანია) დუეტს აჯობა - 6:4, 6:1, გუშინ კი რეკა-ლუკა იანისა (უნგრეთი) და თეოდორა მირჩიჩის (სერბეთი) წყვილთან დამარცხდა - 3:6, 6:7.

ანტალიის 10.000-იან ტურნირს დაემშვიდობა **ანი გოგვაძე,** რომელმაც სტარტზევე წააგო ტაივანელ თინგ-ფეი იუანთან - 2:6, 0:6. იგი წყვილებშიც გამოდიოდა ბერძენ დესპინა ვოგასარისთან ერთად, მაგრამ აქაც მოეცარა ხელი - მეორე ნომრად განთესილ დიანა ისაევას (რუსეთი) და ზალინა ხაირუდინოვას (ყაზახეთი) დუეტთან დამარცხდა - 2:6, 7:5, 8:10. ასევე სამ სეტში წააგეს **თამარ ჭალაგანიძემ** და მარინა ცაკანიანმა (რუსეთი) ოლენა კურპორტთან (უკრაინა) და იანა სლუჟიტელევასთან - 4:6, 6:1, 6:10.

**ვაჟა დანელია**

# პირველი წრე მხოლოდ ორმა გადალახა

ლეილამესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე გრძელდება ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს თასზე. მასპინძელთაგან შეჯიბრებაში 6 სპორტსმენი ჩაება. მათგან პირველი ბარიერი მხოლოდ ორმა გადალახა.

ტურნირზე პირველ ნომრადაა განთესილი **ნიკოლოზ ბასილაშვილი,** რომელმაც იოლად სძლია **შოთა მეფარიძეს** - 6:1, 6:0. **მიხეილ ხმიადაშვილი** ავსტრიელ პეტერ გოლდშტეინერთან წააგო - 4:6, 6:7, **გიორგი ჯავახიშვილს** რუსმა ილია შატსკიმ აჯობა - 6:2, 6:3, **ალექსანდრე მეტრეველმა** სამ სეტში დაჯაბნა ალექსანდრ კუშაკოვი - 2:6, 6:1, 6:2. **გიორგი ცივაძე** კი დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა პოლონელ არკაიდუშ კოსულასთან - 6:3, 1:6, 6:7.

მეორე წრეში ბასილაშვილი გოლდშტეინერს შეხვდება, მეტრეველი კი მე-5 ნომრად განთესილ ვლადიმირ ივანოვს (ესტონეთი) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**



## წლები და მოვლენები

**6 სექტემბერი**

**1959 წ. ფეხბურთი. მიხეილ მესხმა** სსრ კავშირის ნაკრებში პირველად ითამაშა. ის ამხანაგურ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან საბჭოთა გუნდმა მოიგო 3:1. ერთი გოლი გაიტანა მ. მესხმა.

**1995 წ.** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ნიურნბერგში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 1:4 წააგო გერმანიის ნაკრებთან. ქართველებიდან გოლი **თემურ ქეცბაიას** ანგარიშზეა.

**2003 წ.** ფეხბურთი. თბილისი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო - ალბანეთი 3:0. გოლები: **შოთა არველაძე** (2) და **მიხეილ აშვეთია.**

**2006 წ.** კალათბურთი. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად ევროპის ჩემპიონატის „ა“ დავიზიონში გადასასვლელი ტურნირის მატჩში ავსტრიის ნაკრები დაამარცხა - 68:63. იმავე დღეს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 2:3 წააგო კიევში უკრაინის ნაკრებთან. სტუმრებიდან გოლები გაიტანეს **შოთა არველაძემ** და **გიორგი დემეტრაძემ.**

**2008 წ.** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონში გადასასვლელი ტურნირის მატჩი საქართველოს ნაკრებმა 98:65 მოუგო გასვლაზე ლუქსემბურგს.

**2008 წ.** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები 2010 წლის შესარჩევ მატჩში ქ. მაინცში (გერმანია) 1:2 დამარცხდა ირლანდიასთან. გოლი ჩვენებიდან **ლევან ყენიამ** გაიტანა.

**7 სექტემბერი**

**1936 წ.** თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი შინ კიეველ თანაგუნდელებთან (2:2) ჩაატარა. გოლები თბილისელთაგან გაიტანეს **ნიკოლოზ სომოვმა** და **ბორის პაიჭაძემ.**

**1994 წ.** საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში მოლდოვას უმასპინძლა და შეხვედრა 0:1 წააგო.

**2002 წ.** ფეხბურთში ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა სტუმრად შვეიცარიასთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 1:4 დათმო. ერთადერთი გოლი სტუმართაგან **შოთა არველაძემ** გაიტანა.

**2005 წ.** ძიუდოისტმა **ლაშა გუჯეჯიანმა** (მძიმე) ეგვიპტეში ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიგო.

**2005 წ.** კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონი: საქართველო - მაკედონია 73:60.

**2010 წ.** ფეხბურთი. თბილისი. ევროპის 20120 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის II ტური. საქართველო - ისრაელი 0:0. იმავე დღეს საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩი თბილისში სომხეთის ნაკრებთან 0:2 წააგო.

**8 სექტემბერი**

**1999 წ.** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო - ლატვია 2:2. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს **შოთა არველაძემ** და **მიხეილ ყაველაშვილმა.**

**2004 წ.** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. თბილისი: საქართველო - ალბანეთი 2:0. გოლები: **ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე.**

**9 სექტემბერი**

**1964 წ.** ქ. სან-სებასტიანი (ესპანეთი). **ომარ ფხაკაძე** გახდა პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი ველოსპორტში.

**10 სექტემბერი**

**1997 წ.** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი: საქართველო - იტალია 0:0.

**2008 წ.** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონის შესარჩევი მატჩი: ირლანდია - საქართველო 77:94.

**2008 წ.** ფეხბურთი. ქ. უდინე (იტალია). 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: იტალია - საქართველო 2:0.

**11 სექტემბერი**

**2007 წ.** რაგბი. მსოფლიოს თასის მატჩი. არგენტინა - საქართველო 33:3.

**12 სექტემბერი**

**2007 წ.** ფეხბურთი. ბაქო. ამხანაგური მატჩი: აზერბაიჯანი - საქართველო 1:1.

## ქართული ფეხბურთის ისტორია



# კოლხეთი-1913 გაისად იუბილარია

**ქართული ფეხბურთის ასაკი დიდი ხანია საუკუნეს გადასცდა. საქართველოს საფეხბურთო ოკუპაცია მრავალი მიმართულებიდან დაიწყო და სხვა ოკუპაციისგან განსხვავებით, ქართველებმა ამას შეძლებისდაგვარად შეუწყვეს ხელი. ფეხბურთი სახალხო თამაში გახდა. დროდადრო შემოგთავაზებთ ძველ ფოტოკადრებს ჩემი ფილმიდან „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!“ სათანადო კომენტარით.**

ყველაფერი ამქვეყნად ზღვიდან იწყება. ფეხბურთიც ზღვამ მოიტანა ფოთში. ნიკო ნიკოლაძის წყალობით გაივსო ფოთი უცხოური გემებით. გემებს მეზღვაურები ჩამოჰყვნენ. პირველად ფეხბურთის ბურთი ჩვენში ინგლისელმა მატროსებმა გააგორეს. თამაშის შემდეგ ჰყვებოდნენ თავიანთ გამოჩენილ ფეხბურთელებზე, თამაშებზე, სტადიონებზე. ჩვენებს ფეხბურთელები ზოგს აბდლები ეგონათ, ზოგს უსაქმურები. რუსი მოხელეები შორიდან უთვალთვალებდნენ ყოველივეს და პოლიცმეისტერს საიდუმლო რაპორტებს სწერდნენ. კამეჩები მობურთალ პატრონებს დალამებამდე უცდიდნენ. ნიკო ნიკოლაძის ვაჟმა გიორგიმ თამაშის წესები ჩამოიტანა ლონდონიდან, სიტყვა ფეხბურთი მან დაამკვიდრა (მანამდე „ფუტბოლად“ მოიხსენიებდნენ). თვითონაც კარგი ფეხბურთელი იყო. ქართველები, იტალიელები, რუსები, ინგლისელები, ბერძნები, სომხები. ძალიან ინტერნაციონალური შემადგენლობის გუნდები ასპარეზობდნენ ქალაქში. 1913 წელს კი ჩამოყალიბდა ქართული გიმნაზიის გუნდი „კოლხეთი“. ისე რომ, XXI საუკუნემდე მოღწეულ კლუბებს შორის, „კოლხეთი-1913“ ხანდაზმულობით მეორეა. გაისად მას 100 წელი შეუსრულდება.

## „ლელო“-ში 50 წლის წინათ...

### 6 - 12 სექტემბერი, 1962 წ.

**1962 წლის 6 სექტემბერი** ხუთშაბათი იყო, 2012 წლის 6 სექტემბერიც ხუთშაბათია. ვნახოთ, რას წერდა „ლელო“ ზუსტად 50 წლის წინათ ამ დღეს.

- გაზეთი პირველ გვერდზე აქვეყნებს „ლელოს“ კორესპონდენტის ვრცელ წერილს კაუნასიდან, სადაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოიპოვა **როსტომ აბაშიძემ** (ქვემსუბუქი წონა).

- **ფეხბურთში საქართველოს თასის** მფლობელი თბილისში „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გამართული სამი ფინალური მატჩის შემდეგ გამოვლინდა. ჯილდო ზესტაფონის „მეტალურგს“ ხვდა წილად, რომელმაც გადამწყვეტ მესამე შეხვედრაში ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი 2:1 დაამარცხა (გოლები: ჩუბინიძე, სხილაძე (ორივე - „მეტალურგი“), ჯიბლაძე (ინსტიტუტი). პირველი მატჩი 1:1, მეორე - 2:2 დასრულდა (8.09). გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ: **გაბისკირია, ნიკოლაიშვილი, კასრაძე, მაცაბერიძე, წვენიაშვილი, მაღლაფერიძე, ჩუბინიძე, სხილაძე, ტოგონიძე, ულენტი, შეყრილაძე.** „მეტალურგმა“ ამ გამარჯვებით ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებისთვის საკავშირო თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

- სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით **ნონა გაფრინდაშვილსა და ელისაბედ ბიკოვას** შორის მსოფლიო პირველობის მატჩის გახსნის დღედ გამოცხადდა 17 სექტემბერი, მეორე დღისთვის დაინიშნა პირველი პარტია მოსკოვში სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში.

- თბილისის „დინამომ“ ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე მოსკოვში ადგილობრივ სპარტაკთან 9 სექტემბერს მორიგი ტურის მატჩი ჩაატარა და 2:0 (0:0) გაიმარჯვა. ორივე გოლი **ზაურ კალოევმა** გაიტანა (11.09).

- იაპონელი მოკრივეები მოსკოვსა და ვოლგოგრადში გამართული საერთაშორისო ამხანაგური მატჩების შემდეგ თბილისს ეწვივნენ და აქაც მარცხი იწვნიეს. ჩვენს გუნდს გამარჯვება მოუტანეს **რ. თოფურიამ, ვ. პოპანდოპულომ, ჯ. კვანტალიანმა, ვ. ცერცვაძემ, ზ. მაჭავარიანმა, ბ. ზატიკინმა, მ. მამამთავრიშვილმა** და **რ. აკოფოვმა (12.09).**




თემურ ქეცბაია. 1992 წელი.
ნოდარ მდივნის მეგობრული შარჟი

### 6-13 სექტემბერი

**06. 09. 1920 წ.** დაიბადა **გიორგი (გოგი) ანთაძე** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1987 წელს.

**07. 09. 1968 წ.** დაიბადა **კახაბერ ცხადაძე** - ფეხბურთელი, მწვრთნელი.

**09. 09. 1972 წ.** დაიბადა **რუსუდან ხოფერია** - ბატუტზე ხტომა.

**10. 09. 1966 წ.** დაიბადა **ახრიკ ცვეიბა** - ფეხბურთი.

**10. 09. 1943 წ.** დაიბადა **ალექსანდრე ტუტაკაევი** - ცურვა

**10. 09. 1939 წ.** დაბადა **ზარიბეგ ბერიაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა.

**10. 09. 1944 წ.** დაიბადა **ვახტანგ რეხვიაშვილი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1986 წელს.

**10. 09. 1973 წ.** დაიბადა **ბაკურ გოგიტიძე** - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

**10. 09. 1925 წ.** დაიბადა **ავთანდილ ციბაძე** - ქართული სპორტის მკვლევარი, პროფესორი. გარდაიცვალა 2002 წელს.

**11. 09. 1948 წ.** დაიბადა **მიხეილ ქორქია** - კალათბურთი. გარდაიცვალა 2004 წელს.

**12. 09. 1958 წ.** დაიბადა **დავით გიგაური** - თავისუფალი ჭიდაობა.




## ვიქტორინა

**1. დაასახელეთ მწვრთნელი, რომელმაც საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან 2006 წელს გააფორმა კონტრაქტი სამუშაოდ, მაგრამ ისე გაწყვიტა ურთიერთობა ერთი ვარჯიშიც არ ჩაუტარებია ეროვნულ ნაკრებში.**

ა - მაიკ ფრატელო
ბ - კენი ატკინსონი
გ - ჯეი ტრაიანო

**2. თბილისის „დინამომ“ 1979 წლის 3 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონთა თასზე „ლივერპულს“ შინ მოუგო 3:0. მესამე გოლი გაიტანა:**

ა - ვლადიმერ გუცაევმა
ბ - ალექსანდრე ჩივაძემ
გ - რამაზ შენგელიამ

**3. ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირის რამდენგზის გამარჯვებული იყო აკაკი კიბორძალიძე?**

ა - სამგზის
ბ - ოთხგზის
გ - ხუთგზის

**4. რომელი მეორე ქართველი მორაგბე მიიწვიეს ფრანგულ „ტულონში“ სათამაშოდ?**

ა - ზერო პეტრიაშვილი
ბ - მამუკა გორგოძე
გ - დავით ზირაქაშვილი

**5. ვის შესახებ წერდა აგათი სქოლასტიკოსი „ხასიათის სილამაზისა და სიცქვიტის" შესახებ?**

ა - ლაზების
ბ - ჭანების
გ - სვანების

პასუხები: 1 - გ, 2 - ბ, 3 - გ, 4 - ბ, 5 - ა

ოთხი ერი

# ბოკეს ორი დებიუტანტი ჰყავს

**სამხრეთ აფრიკის ნაკრები ოთხი ერის გათამაშების მესამე ტურში, შაბათს, პერთში ავსტრალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბოკეს“, რომელიც მეორე ტურში მენდოსაში არგენტინის ნაკრებთან ფრეს დასჯერდა 16:16, თავს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა და ახლა შელახული რენომეს აღდგენას შეეცდება.**

სამხრეთაფრიკელთა თავკაცმა **ჰეინკე მეიერმა** გუნდის 22-კაციან განაცხადში ორი დებიუტანტი **დუეინ ვერმულენი** და **იოჰან გუსენი** შეიყვანა. ამ ორი ცვლილების გარდა „ბოკეს“ შემადგენლობაში კიდევ რამდენიმე გადაადგილება განხორციელდა. **ფრანსუა ჰუგარმა** ცხრა ნომრის პოზიციიდან გარემარბად გადაინაცვლა. გარემარბმა **ლუაზი მვოვომ** კი თადარიგში ამოყო თავი. ავსტრალიელებს ცხრა ნომრის პოზიციიდან გამოცდილი **რუან პინარი** შეუტევს. **ჯაკ პოთხიტერი** და **ანდრიას ბეკერი** განაცხადში ვერ მოხვდნენ.

ბლუმფონტეინის „ჩიტაზის“ მგეზავმა **იოჰან გუსენმა** შესაძლოა პირველი კეპი მოიხვეჭოს ეროვნულ ნაკრებში. „ბოკეს“ შემადგენლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ჰეინკე მეიერმა ასეთი კომენტარი გააკეთა:

*„ჩვენ გადავწყვიტეთ დუეინ ვერმულენი შერკინების შემკვრელის პოზიციაზე (№8) ძირითად შემადგენლობაში დაგვეყენებინა. ის ამ ტიპის კლასიკური მოთამაშეა. სამწუხაროდ, ტრავმის გამო გვაკლია პიერ სპისი, რაიან კანკოვსკი კი იაპონიაში გადაბარგდა სათამაშოდ.*

*დუენის თამაშით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი. რომ არა ტრავმები, მას დიდი ხნის წინათ შეეძლო ეროვნული გუნდის კვართის მორგება. ძალიან მიხარია, რომ როგორც იქნა, ის ნაკრებში ითამაშებს.*

*იმავეს თქმა შეიძლება იოჰან გუსენზეც, რომელიც, ვფიქრობ, მალე ერთ-ერთი საუკეთესო მგეზავი იქნება მსოფლიოში. მოხიბლული ვარ მისი ვარჯიშისადმი დამოკიდებულებითა და თამაშის მანერით. ის გუნდს ახლახან იოჰანესბურგში შემოუერთდა და მასზე დაკვირვებას მომავალი კვირების მანძილზე განვაგრძობთ.*

*ცხრა ნომრის პოზიციაზე რუან პინარი უფრო ნაყოფიერია, ის ტაქტიკურად უფრო განსწავლულია, ვიდრე ჰუგარი. ერთი სიტყვით, ავსტრალიაში ახალგაზრდა მორაგბეების გვერდით გამოცდილიც ბევრი გვჭირდება, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ და რაც უფრო მთავარია, თამაშის ხარისხი გავაუმჯობესოთ“.*


ბრაიან ჰაბანა და დუეინ ვერმულენი

სამხრეთი აფრიკა: **15. ზან კირხნერი, 14. ბრაიან ჰაბანა, 13. იან დე ფილიერსი, 12. ფრანსუა სტეინი, 11. ფრანსუა ჰუგარი, 10. მორნი სტეინი, 9. რუან პინარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ადრიან სტრაუსი, 3. იან დუ პლესი, 4. ეებენ ესტებესი, 5. ივანდერ კრუხერი, 6. მარსელ კუცია, 7. ვილემ ალბერტსი, 8. დან ვერმულენი**

**16. ტიან ლიბენბერხი, 17. პატ კილიერსი, 18. ფლიპ ფან ნდერ მერვე, 19. ფრანსუა ლოუ, 20. იოჰან გუსენი, 21. პატ ლამბიე, 22. ლვაზი მვოვო.**

# ოლ ბლექსი არგენტინულ ტანგოს სწავლობს

**მსოფლიოს თასის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრები შაბათს, ველინგტონში ტურნირის დებიუტან არგენტინის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს, რომელმაც უკვე მოასწრო თავის გამოჩენა. „პუმებმა“ მენდოსაში ფრედ 16:16 ითამაშეს სამხრეთ აფრიკის მრისხანე ნაკრებთან და ყველას დაუმტკიცეს, რომ იოლად არაფერს დათმობენ.**

„ოლ ბლექსი“ ახალი მეტოქის დასახვედრად განსაკუთრებით ემზადება. „ბოკესთან“ ნაჩვენებმა თამაშმა კიდევ უფრო მეტად აუმაღლა საბრძოლო განწყობა ახალზელანდიელებს, რადგან მეტოქე საკმაოდ სერიოზული გამოდგა. ამასთან, მასპინძლებს კარგად ახსოვთ შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე, მეოთხედფინალში „პუმებთან“ დაპირისპირება. მაშინ პირველი ნახევარი „ოლ ბლექსმა“ 12:7 მოიგო. საბოლოოდ კი მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევა დასკვნით 20 წუთში, **კირან რიდისა** და **ბრედ თორნის** ლელოების წყალობით შეძლეს. საბოლოოდ მატჩი 33:10 დასრულდა.

*„ოთხი ერის გათამაშება ცოტა განხვავებული ტურნირია, ვიდრე სამი ერის, რომელიც აქამდე ტარდებოდა. დაგვემატა კიდევ ერთი, ფიზიკურად ძალიან ძლიერი გუნდი, რომელსაც სხვა სამი გუნდისგან განსხვავებული სათამაშო მანერა აქვს.*

*ყველამ კარგად იცის, რომ არგენტინის ნაკრებს მძლავრი შერკინება ჰყავს და უყვართ ძალისმიერი თამაში. ჩვენ ამას უნდა გავუძლოთ. უკანა ხაზი კი დაახლოებით ისე თამაშობს, როგორც საფრანგეთის ნაკრები.“* - თქვა არგენტინის ნაკრების მეორეხაზელმა **სემ ვაითლოქმა.**

ახალზელანდიელი მორაგბეები დარწმუნებულნი არიან, რომ „პუმები“ მთელი თამაშის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოლებენ.

*„არგენტინის ნაკრები შესანიშნავი გუნდია. მათ აჩვენეს „ბოკესთან“ მატჩში, რომ 80 წუთის განმავლობაში მაღალი დონის რაგბის თამაში შეუძლიათ. მეტოქეს ძალიან კარგად ვიცნობთ, ახლა ხელებდაკაპიწებული ვშრომობთ, რათა მატჩში უპირატესობას მივაღწიოთ.*

*მათი ძლიერი მხარე, მძლავრი და მობილური შერკინებაა. მისი განეიტრალება, მხოლოდ სწრაფი მანევრებითა და ბურთის რაც შეიძლება დიდხანს კონტროლითაა შესაძლებელი. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ჩვენს მგეზავსა და ცხრა ნომერზე. რამდენად სწორი და გამართლებული იქნება მათი ტაქტიკური დარტყმები. ერთი სიტყვით ძალიან საინტერესო მატჩი გველის და, ვფიქრობ, რომ ქომაგი ნანახით კმაყოფილი დარჩება“.* - თქვა „ოლ ბლექსის“ მესამეხაზელმა **ლიამ მესამმა.**

ახალი ზელანდია: **15. იზრაელ დაგი, 14. ქორი ჯეინი, 13. მაა ნონუ, 12. კონრად სმიტი 11. ჰოსე გეარი, 10. დენ კარტერი, 9. აარონ სმიტი. 1. ვაით კროკეტი, 2. კევან მეალამუ, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ლუკ რომანო, 5. სამუელ ვაითლოქი, 6. ლიამ მესამი, 7. რიჩი მაქოა, 8. კირან რიდი.**

**16. ენდრიუ ჰორი, 17. ბენ ფრენქსი, 18. ბროდი რეტალიკი, 19. ვიქტორ ვიტო, 20. პირი ვიპუ, 21. აარონ კრადენი, 22. ბენ სმიტი.**


ქორი ჯეინი არგენტინულ ტანგოს სწავლობს

ბრიტანელი ლომები




# უორენ გეთლენდი ლომების თავკაცია

**უელსის ნაკრების ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელი უორენ გეთლენდი „ბრიტანელი ლომების“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, რომელსაც მომავალ წელს 10-მატჩიანი ტურნე ექნება ავსტრალიაში.**

ტურნეში გამგზავრებამდე „ბრიტანელი ლომები“ ჰონგკონგში „ბარბაროსებს“ დაუპირისპირდებიან. ავსტრალიაში კი სამ შეხვედრას გამართავენ ამ ქვეყნის ნაკრებთან, ხოლო შუალედებში მათ მეტოქეობას ადგილობრივი კლუბები გაუწევენ.

გეთლენდმა უელსის ნაკრებში მუშაობისას ორჯერ მოიგო ექვსი ერის გათამაშების დიდი სლემი და შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ნახევარფინალში გააღწია. ამასთან ერთად, ის გახლდათ „ბრიტანელი ლომების“ მთავარი მწვრთნელის, **სერ იენ მაკგიჰანის** ასისტენტი 2009 წელს სამხრეთაფრიკულ ტურნეში.

უორენ გეთლენდი მეორე ახალზელანდიელი მწვრთნელია, რომელსაც „ბრიტანელი ლომების“ თავკაცობის პატივი ერგო. პირველად ამ პოსტზე 2001 წელს **სერ გრემ ჰენრი** დაინიშნა. მაშინაც „ბრიტანელების“ ტურნე ავსტრალიაში შედგა.

*„ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო 2009 წელს „ბრიტანელი ლომების“ თავკაცის ასისტენტად მუშაობა და მას შემდეგ ვოცნებობდი, რომ შემდეგ ტურნეში გუნდს მე გავძღოლოდი. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან რთული ამოცანის გადაჭრა მომიწევს. სამხრეთ ნახევარსფეროში თამაში განსაკუთრებული მოვლენაა ნებისმიერი ჩრდილოური გუნდისთვის. მიუხედავად სირთულისა, ვეცდებით ეს ტურნე ჩვენს სასარგებლოდ დავასრულოთ.*

*უახლოესი თვეების განმავლობაში ყურადღებით შევისწავლი მწვრთნელთა შტაბს, დავაკვირდები მოთამაშეებს. ხომ ცხადია, „ბრიტანელ ლომებთან“ ერთად ტურნეში ყოფნა უნიკალური მოვლენაა. ეს როგორც მოთამაშეებისთვის, ისე მწვრთნელებისთვისაც, კარიერის მწვერვალია. უნდა დავრწმუნდე, რომ ჩემს გვერდით მომუშავე პერსონალი და მორაგბეები იმსახურებენ ამას, რათა ქომაგებმა იამაყონ ჩვენით“.* - თქვა უორენ გეთლენდმა.

გუნდის დაკომპლექტებისას გეთლენდს სერიოზული პრობლემები შეექმნება, რადგან „ბრიტანელი ლომების“ კანდიდატთა ნაწილი საფრანგეთის ჩემპიონატში ასპარეზობს. ამ ქვეყნის ჩემპიონატის ფინალი 2013 წლის 1 ივნისსაა დანიშნული. იმავე დღეს „ლომები“ ჰონგ კონგში „ბარბაროსებს“ ეთამაშებიან.

ყველაზე მეტი ბრიტანელი **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას** „ტულონში“ თამაშობს. ესენია: **ჯეთინ ჯენკინსი, ენდრიუ შერიდანი, დელონ არმითიჯი, საიმონ შოუ,** და **ჯონი ვილკინსონი.** არადა ტულონელები ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტები არიან. მათ სტარტზე სამი მატჩიდან სამივე მოიგეს და ასე გაგრძელებას აპირებენ. თუ ეს მორაგბეები „ბრიტანელ ლომებთან“ ერთად ტურნეში გამგზავრებას ვერ შეძლებენ, მაშინ კანდიდატების ძებნა გეთლენდს სხვაგან მოუწევს. მან აი ასეთი გამოსავალი იპოვა:

*„ხვალ საფრანგეთში მივემგზავრები, რათა მოთამაშეებსა და მათი გუნდების ხელმძღვანელებს მოველაპარაკო. ამასთან ერთად დავესწრები „პერპინიანისა“ და „ბაიონის“ მატჩს. საბოლოოდ კი გადაწყვეტილება თავად მორაგბეებმა უნდა მიიღონ.*

*მაგალითად, 2009 წელს ნათან ჰაინსმა „პერპინიანი“ დატოვა და „ბრიტანელ ლომებთან“ ერთად ტურნეში გაემგზავრა. არადა ამ კატალონიურ კლუბს ჩემპიონატის ფინალი ჰქონდა სათამაშო. აი, ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნათანი „ბრიტანელ ლომებში“ თამაშს. ის დაჯდა თვითმფრინავში და თქვა: „გიჟი კი არ ვარ ფრანგულ კლუბში ფინალი ვითამაშო, როცა საშუალება მეძლევა „ბრიტანელი ლომების“ კვართი მოვირგოო.“*

*ეს ყველაფერი სერიოზული განსჯის საგანია. ჩვენ დაველაპარაკებით მორაგბეებს. ვინ იცის, იქნებ ნათან ჰაინსს ბევრმა მათგანმა მიჰბაძოს, თუ არა, სათანადო დონის მოთამაშეების ძებნა სხვაგან მოგვიწევს.“* - თქვა გეთლენდმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ბრიტანელი ლომების“ მთავარი მწვრთნელი საფრანგეთში „პერპინიანისა“ და „ბაიონის“ თამაშს დაესწრება. აქ მას კატალონიელთა რიგებში მოთამაშე **ჯეიმზ კრუკისა** და ბასკების გუნდის წევრის **მაკ ფილიპსის** ხილვა სურს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

### ფორმულა 1



ფერნანდო ალონსო

# ნანდოს ბოლომდე ფერარიში უნდა

ბელგიის გრანპრის შემდეგ, გენერალურ კლასიფიკაციაში **ფერნანდო ალონსოს** უპირატესობა უახლოეს კონკურენტთან 40-დან 24 ქულამდე შემცირდა. „ფერარის" პილოტს მიაჩნია, რომ მიმდინარე სეზონში საჩემპიონო ტიტულს ექვსი პრეტენდენტი გაითამაშებს...

*„ვფიქრობ, კონკურენცია დაახლოებით ერთ დონეზე დარჩება. ჩემპიონატის დამთავრებამდე კიდევ ორი თვეა და ამ დროის განმავლობაში უსწრაფეს მანქანებს ვერ დავეწევით, ამიტომაც ჩვენ სტაბილური ავტომობილი გვჭირდება. ვიცით, რომ ცალკეულ რბოლებში „მაკლარენის" პილოტები ძლიერები იქნებიან და შეძლებენ გამარჯვებას. გამორიცხული არ არის, ცალკეულ რბოლებში ჩვენც განვაცხადოთ პრეტენზია მოგებაზე, იგივე ითქმის „რედ ბულზე"...*

*ჩემი აზრით, სიტუაციაში, როცა გამარჯვებაზე პრეტენზიას რამდენიმე პილოტი აცხადებს, ჩვენ უპირატესობა გაგვაჩნია. საერთო ჩათვლაში ჩემი პოზიცია ერთი შეცდომის უფლებას მიტოვებს, მეტოქეებს კი შეცდომა არ ეპატიებათ. ვფიქრობ, ეს ფაქტორი მათზე ერთგვარი ზეწოლაა.*

*მიმაჩნია, რომ ამჟამად ჩემპიონობის ექვსი კანდიდატი არსებობს: „მაკლარენიდან" ლუის ჰემილტონი და ჯენსონ ბატონი, „რედ ბულიდან" სებასტიან ფეტელი და მარკ უებერი, აგრეთვე კიმი რაიკონენი „ლოტუსიდან" და მე. დარწმუნებული ვარ, უახლოესი ორი-სამი რბოლის შემდეგ, ეს რიცხვი ორ-სამ პილოტამდე შემცირდება. დგება ჩემპიონატის კრიტიკულად მნიშვნელოვანი მომენტი"*, - ამბობს ალონსო.

ფერნანდომ აღიარა, რომ, შესაძლოა, 2016 წლის შემდეგაც დარჩეს „სკუდერიას" რიგებში. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი სეზონის ლიდერს იტალიურ საჯინიბოსთან 2016 წლის ბოლომდე აქვს ხელშეკრულება.

*„ჯერ ნაადრევია 2017 წელზე ფიქრი. არ ვიცი, რა ხასიათზე ვიქნები იმ პერიოდში და მექნება თუ არა საკმარისი მოტივაცია. თუ ისევ მომინდება გამარჯვება, რბოლებს გავაგრძელებ. და მინდა ეს სწორედ „ფერარიში" გავაკეთო.*

*თუ ვიგრძნობ, რომ გაჩერების დრო მოვიდა და სხვა ცხოვრების დაწყებაა საჭირო, შემიძლია შესაბამისი გადაწყვეტილება მხოლოდ იმ მომენტში მივიღო"*, - ამბობს ალონსო სააგენტო EFE-სთან კომენტარში.

### ამბები

## ფრანგები ბრუნდებიან

საფრანგეთის ავტოსპორტის ფედერაციამ განაცხადი შეიტანა ფორმულა 1-ის მსოფლიოს 2013 ჩემპიონატის კალენდარში მანი-კურის ეტაპის დამატებაზე, - ამ ინფორმაციას გაზეთი „ეკიპი" აქვეყნებს. გარდა ამისა, მომავალ კვირას, ასეთივე განაცხადს შეიტანს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციაში „პოლ რიკარის" ავტოდრომი. ვარაუდობენ, რომ საფრანგეთის გრანპრი ამ ტრასებზე მონაცვლებით ჩატარდება.

არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი იმ შემთხვევისთვის, თუ ორივე ტრასის განაცხადს არ დააკმაყოფილებენ. მაშინ საფრანგეთის გრანპრი რომელიმე ქვეყანასთან ერთად მონაცვლეობით გაიმართება.

2013 წლის ჩემპიონატის კალენდრის პროექტი ამა წლის ოქტომბერში გამოქვეყნდება.

## ლე მანი ერთი კვირით გადაწიეს

ლე მანის 24-საათიანი ავტომარათონის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს საგაისო რბოლის თარიღის შეცვლის შესახებ. 2013 წელს შეჯიბრება 15-16 ივნისს უნდა გამართულიყო, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ მარათონი 22-23 ივნისს ჩაივლის. ოფიციალური სატესტო დღე 9 ივნისი იქნება.

რბოლა ერთი კვირით ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის თხოვნით გადაიტანეს. ამ ორგანიზაციას საავტომობილო შეჯიბრებათა მსოფლიო კალენდრის ოპტიმიზაცია სურს.

პირველად ლე მანის 24-საათიანი რბოლა 1923 წელს გაიმართა და გაისად ეს მარათონი 90-ედ ჩატარდება.

## BMW-ს ფორმულა არ აინტერესებს

გერმანული კონცერნი BMW არ აპირებს უახლოეს წლებში ფორმულა 1-ში დაბრუნებას. ამის შესახებ კომპანიის ავტოსპორტის განყოფილების შეფმა **იენს მარკვარდტმა** განაცხადა.

*„ამგვარი გეგმები არ გვაქვს. 2009 წლის ივლისში ცალსახა გადაწყვეტილება მივიღეთ და მის შეცვლას არ ვაპირებთ. რბოლებში მონაწილეობის კარგი პროგრამა გვაქვს და არ ვაპირებთ უახლოეს პერსპექტივაში მის შეცვლას"*, - ამბობს მარკვარდტი.

თავდაპირველად, BMW ფორმულა 1-ის გუნდებს ძრავებს აწვდიდა, 2006-09 წლებში კი „ზაუბერი" შეიძინა და საქარხნო გუნდით გამოდიოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

### ველოსპორტი. ვუელტა

# კონტადორმა გაისროლა

ვუელტას მე-17 ეტაპზე პრაქტიკულად გაირკვა ესპანური ველომარათონის გამარჯვებული. **ალბერტო კონტადორის** შეტევებმა, როგორც იქნა, მიზანს მიაღწია და მან გუშინ, ლიდერის წითელი მაისურა ჩამოართვა **ხოაკიმ როდრიგესს**.

გუშინდელ ეტაპზე, ისევე როგორც ესპანური ველომარათონის ეტაპების უმრავლესობაში, ფინიში მთაზე იყო დანიშნული. ამასთან, სამი ამაღლება ველომრბოლელებს დისტანციის მეორე ნახევარში ელოდათ.

საინტერესოდ განვითარდა მოვლენები პირველ მთაზე, როცა პელოტონი ორ ნაწილად გაიყო. ამასთან, ალბერტო კონტადორი და **ალეხანდრო ვალვერდე** პირველ ჯგუფში აღმოჩნდნენ, საერთო ჩათვლის ლიდერი ხოაკიმ როდრიგესი - მეორეში. თუმცა მან თავისი გუნდის დახმარებით შეძლო 15-წამიანი ჩამორჩენის ლიკვიდირება.

ბოლოსწინა მთაზე ინიციატივა თავის თავზე აიღო კონტადორმა. მან ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე წამოიწყო იერიში და ლიდერთა ჯგუფს შეუერთდა, სადაც მას სამი თანაგუნდელი ელოდა. ალბერტომ დაშვებისას 30 წამამდე გაზარდა უპირატესობა მთავარ კონკურენტებთან.

ფინიშამდე 23 კილომეტრით ადრე, კონტადორმა „ასტანას" ორ მრბოლელთან ერთად მორიგი შეტევა დაიწყო. მის გვერდით აღმოჩნდა მისი ძველი მეგობარი **პაოლო ტირალონგო**, რომელთან ერთადაც ყაზახურ გუნდში გამოდიოდა. შარშან, ალბერტომ იტალიელს ჯირო დ'იტალიაზე გამარჯვება აჩუქა და ახლა, ტირალონგომ ვალის გადახდა გადაწყვიტა. მათი დუეტი ბრწყინვალედ მუშაობდა და კონტადორი სულ უფრო შორდებოდა როდრიგესს. თან ალბერტომ საშუალედო ფინიში მოიგო და ექვსი საბონუსე წამი დაიმსახურა. სწორ მონაკვეთზე კი კონტადორი თავის კონკურენტებზე ერთი თავით მაღლა დგას და ამიტომაც, სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა.

როდრიგესს მხოლოდ ერთი დამხმარე ჰყავდა და ამით ისარგებლა ვალვერდემ. მან თავის ერთგულ თანაგუნდელთან - **ნაირო კინტანასთან** ერთად მიატოვა გენერალური კლასიფიკაციის ლიდერი და კონტადორთან ჩამორჩენის შემცირება დაიწყო. ამასობაში, ფინიშამდე 15 კილომეტრით ადრე ტირალონგომ ვერ გაძლო და კონტადორმა მარტო გააგრძელა რბოლა.

ალბერტოს ბოლო კილომეტრებზე ძალიან გაუჭირდა, მუდმივად უკან იყურებოდა, მაგრამ მისმა მდევრებმა ვერ გაბედეს შეტევაზე გადასვლა. კონტადორმა დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა და ამან, მას პრაქტიკულად ვუელტას ჩემპიონის ტიტული მოუტანა.

როდრიგესი ფინიშზე ორწუთნახევრის შემდეგ მივიდა და არათუ ლიდერობა, მეორე ადგილიც დაკარგა გენერალურ კლასიფიკაციაში. ხოაკიმმა წინა ეტაპებზე გაუძლო უმძიმეს მთებში კონტადორის შეტევებს, მაგრამ კონკურენტისგან დარტყმა იქ მიიღო, სადაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ კონტადორი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიადესი ველომრბოლია.

**XVII ეტაპი**

**სანტანდერი-ფუენტე დე (187.3 კმ)**

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Saxo Bank) - 4:29.20; 2. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - +0.06; 3. **სერხიო ლუის ენაო** (კოლუმბია, Sky) - იგივე დრო; 4. **გორკა ვერდუგო** (ესპანეთი, Euskaltel) - იგივე დრო; 5. **რინალდო ნოჩენტინი** (იტალია, AG2R) - +0.19; 6. **იან ბაკალენტსი** (ბელგია, Radioshack) - +0.55... 10. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, „კატიუშა") - +2.38...

**საერთო ჩათვლა**

1. **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, Saxo Bank) - 68:07.54; 2. **ალეხანდრო ვალვერდე** (ესპანეთი, Movistar) - +1.52; 3. **ხოაკიმ როდრიგესი** (ესპანეთი, "კატიუშა") - +2.28; 4. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი, Sky) - +9.40; 5. **დანიელ მორენო** (ესპანეთი, „კატიუშა") - +11.36; 6. **რობერტ ჰესინკი** (ჰოლანდია, Rabobank) - +12.06...



კონტადორის სოლო

### გოლფი

# კაფელნიკოვი, გოლფი და უკრაინა

რუსეთის ყველაზე ტიტულოვანმა ჩოგბურთელმა, სიდნეის თამაშების ჩემპიონმა **ევგენი კაფელნიკოვმა** რიო-დე-ჟანეიროში, 2016 წლის ოლიმპიადაზე გოლფის ტურნირში უკრაინის ნაკრების სახელით გამოსვლა გადაწყვიტა. კაფელნიკოვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთის გოლფის ასოციაციასთან, რომლის საპატიო წევრიც გახლავთ, განსაკუთრებული კონტაქტი არ გააჩნია.



ევგენი კაფელნიკოვი

ყოფილი ჩოგბურთელის აზრით, ასოციაციაში არაკომპეტენტური ადამიანები მუშაობენ, რომლებიც ვერ ერკვევიან გოლფში. კაფელნიკოვმა აღნიშნა, რომ თუ უკრაინული მხარისგან შეთავაზებას მიიღებს, მას აუცილებლად სერიოზულად განიხილავს. მანვე ისიც განაცხადა, რომ უკრანიელები მზად არიან დააფინანსონ ოლიმპიადისთვის მისი მომზადება.

კაფელნიკოვმა საჩოგბურთო კარიერაში 26 ტურნირი მოიგო, მათ შორის ორი - „დიდ სლემზე": 1996 წელს როლან გაროსზე და 1999 წელს ავსტრალიის ღიაზე. ამავე წელს, ის რამდენიმე კვირა რეიტინგის პირველი ნომერი იყო, 2000 წელს კი სიდნეის ოლიმპიადა მოიგო.

რიო-დე-ჟანეიროში გოლფი ოლიმპიადაზე პირველად იქნება წარმოდგენილი 1904 წლის შემდეგ. კაფელნიკოვმა სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში სერიოზულად საჩოგბურთო კარიერის შემდეგ დაიწყო. 2011 წელს, მან რუსეთის ჩემპიონატი მოიგო.

38 წლის კაფელნიკოვი სოჭშია დაბადებული და ინფორმაცია მისი უკრაინული მოქალაქეობის შესახებ პრესაში არ გავრცელებულა.

### ჰოკეი

# კროსბის რეკორდი მოუხსნეს

ახალგაზრდა შვედი ჰოკეისტი **გაბრიელ ლანდესკოგი** ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი გახდა. ლანდესკოგი 19 წლისა და 286 დღის გახლავთ და ის „კოლორადო ეველანშის" კაპიტნად აირჩიეს.

აქამდე რეკორდსმენი „პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერი **სიდნი კროსბი** იყო, რომელიც 2007 წელს, 19 წლისა და 297 დღის ასაკში დანიშნეს „პინგვინების" კაპიტნად.

„კოლორადომ" გაბრიელ ლანდესკოგი 2011 წლის დრაფტზე მეორე ნომრად აირჩია. 2011-12 წლების რეგულარულ ჩემპიონატში შვედმა ფორვარდმა 52 ქულა (22 გოლი+30 შედეგიანი პასი) დააგროვა. ამ მაჩვენებლების წყალობით, ლანდესკოგმა გასულ სეზონში „კოლდერ ტროფი" მოიპოვა. ეს პრიზი სეზონის საუკეთესო დებიუტანტს გადაეცემა.

„კოლორადოს" კაპიტნის პოსტზე ლანდესკოგმა 36 წლის ჩეხი **მილან ჰეიდუკი** შეცვალა. ის კაპიტნის პოსტს 2011 წლის ნოემბერიდან იკავებდა. ჰეიდუკმა განაცხადა, რომ მისი აზრით, კაპიტანი პირველ ან მეორე შემტევ სამეულში უნდა თამაშობდეს, თავად ჩეხი კი 2011-12 წლების სეზონში მესამე ან მეოთხე სამეულის წევრი იყო.



გაბრიელ ლანდესკოგი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# კევინ დურანტი: არ მაშინებს ლეიკერსის გაძლიერება

**ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავს, „ოკლაჰომა-სიტის" ლიდერ კევინ დურანტს საკმაოდ დაძაბული ზაფხული ჰქონდა. NBA-ის ფინალური სერიის დასრულების შემდეგ, ის ლას ვეგასში აშშ-ის ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრა. შემდეგ ფორვარდმა ერთი თვე ევროპაში გაატარა და იქ ლონდონის ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიგო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი მსოფლიოს საუკეთესო ლიგის საუკეთესო სნაიპერი ფილმ Thunderstruck-ის მხარდასაჭერ ტურნეში გაემგზავრა. ამ ფილმში ის თავად მონაწილეობს. მორიგი საპრემიერო ჩვენების წინ, დურანტი დათანხმდა ESPN-ის კორესპონდენტთან საუბარს.**



კევინ დურანტი

**- კევინ, ბევრი დარჩა მოხიბლული თქვენი სამსახიობო მონაცემებით. დაგვეთანხმეთ, რომ პირველ ჯერზე მართლაც კარგი გამოვიდა.**

- დიახ, თითქოს ყველაფერი კარგადაა. ძალიან მომეწონა ახალი ამპლუა. რა თქმა უნდა, თავიდან ყველაფერი უჩვეულო იყო, რადგან აქამდე მხოლოდ კალათბურთს ვთამაშობდი, მაგრამ დაუჯერებელი და შესანიშნავი გამოცდილება შევიძინე.

**- უკვე ნახეთ ფილმის დასრულებული ვერსია?**

- ერთხელ და ვალიარებ, რომ მოხიბლული დავრჩი. გაოგნებული ვიყავი, როცა ჩემი მონაწილეობით სცენებს ვუყურებდი. საოცარი შეგრძნება იყო. საერთო ჯამში, ძალიან ვიმხიარულე.

**- სულ ცოტა ხნის წინ დატოვეთ აშშ-ის ნაკრების ბანაკი, უკვე ფილმში მონაწილეობა მოასწარით. თქვენს გრაფიკში არის დასვენება ახალი რეგულარული ჩემპიონატის წინ?**

- გავაგრძელებ მზადებას ახალი სეზონისთვის და თანდათან გავზრდი დატვირთვებს. ყველას იცის, რომ საკუთარ თავს მოდუნების უფლებას არ მივცემ. თუმცა დასვენება ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზმისთვის. და ის წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მზად ვარ, შრომა გავაგრძელო, მაგრამ ამასთან, საჭიროა მთლიანად განვტვირთო სხეული, რათა მზად ვიყო საწვრთნელი ბანაკების გახსნისთვის და მთელ სეზონზე ვიმყოფინო ძალები.

**- რა კომენტარს გაუკეთებთ იმ ფაქტს, რომ „ოკლაჰომამ" კონტრაქტი გააგრძელა სერჟ იბაკასთან?**

- ეს ამ ზაფხულს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარიგებაა. პირველ რიგში, ძალიან მიხარია სერჟისა და მისი ოჯახის გამო. ის ბევრს მუშაობდა და პატიოსნად მიდიოდა თამაშის იმ დონემდე, რომელსაც ახლა აჩვენებს. მიმაჩნია, რომ იბაკამ დაიმსახურა კლუბისგან ამგვარი კონტრაქტი, ამიტომაც ძალიან მიხარია, რომ ის ჩვენს გუნდში კიდევ ოთხ წელს გაატარებს.

**- მაგრამ ახლა, შესაძლოა, პრობლემები შეიქმნას ჯეიმს ჰარდენთან კონტრაქტის გახანგრძლივების მხრივ. პირადად თქვენ რამდენად ხართ დაინტერესებული იმით, რომ მან „ოკლაჰომაში" გააგრძელოს კარიერა?**

- რა თქმა უნდა, ეს ძალიან მინდა. გარდა იმისა, რომ კარგი მოთამაშეა, ჯეიმსი ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარიც გახლავთ. ამიტომაც იმედი მაქვს, ყველაფერი გამოვა. ჯერ არაფერი მიკითხავს სემ პრესტისთვის („ოკლაჰომას" გენერალური მენეჯერი). ვფიქრობ, ყველაფერი თავისთავად მოგვარდება.

**- არ გაშინებთ ახალი სეზონის წინ „ლეიკერსის" გაძლიერება? თუ კვლავაც თქვენს გუნდს მიიჩნევთ დასავლეთში მთავარ ფავორიტად?**

- ვინ იცის... ყოველ წელს სხვადასხვაგვარადაა. ის თამაშიც, რომელიც გასულ წელს ვაჩვენეთ, წარსულს ჩაბარდა. წინ უნდა ვიაროთ, უფრო მეტად უნდა დავიხვეწოთ და მივყვეთ იმ კურსს, რომელიც ორი წლის წინ ავირჩიეთ. მაშინ ვერავინ შეგვაშინებს.

**- გქონდათ თუ არა ნერვიულობის მომენტი ოლიმპიადის ფინალის წინ? ესპანელები ხომ კარგად თამაშობდნენ და შეეძლოთ ბოლოს გამარჯვება გამოეგლიჯათ თქვენთვის...**

- გარწმუნებთ, მშვიდად ვიყავი. შემადგენლობაში საკმარისად გვყავს მაღალი კლასის მოთამაშეები, რომლებსაც მარტო შეუძლიათ თამაშის ბედის გადაწყვეტა - ბრაიანტი, ჯეიმსი, პოლი, უილიამსი, უესტბრუკი... მათ გვერდით საშიში არაფერია. ვიცოდით, რომ მეტოქე თავს დადებდა მოედანზე. ესპანელები შეგნებულად ანელებდნენ თამაშის ტემპს, რათა უფრო იოლი ყოფილიყო ჩვენთან ბრძოლა. მაგრამ რთულ მომენტში ჩვენ ერთიანი მექანიზმივით ვიმუშავეთ და გამარჯვება ვიზეიმეთ.

მახსოვს, ერთხელ მელომ 14 წუთში 37 ქულა დააგროვა და ყველა აღფრთოვანებული იყო მისი თამაშით. მან რეკორდი დაამყარა ამერიკელი კალათბურთელებისთვის ოლიმპიური თამაშების ისტორიაში. როცა ლებრონმა სამმაგი-დუბლი შეასრულა - გასახდელში ყველანი ძალიან ვხარობდით მის გამო. ბედნიერი ვიყავი ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრით და ამ დაუვიწყარ ტურნირში მონაწილეობით. ჩვენ იქ ნამდვილი გუნდი გვყავდა და ამიტომაც გავიმარჯვეთ.

# აივერსონი არ ნებდება

ვეტერანმა მცველმა **ალენ აივერსონმა** განაცხადა, რომ კვლავინდებურად სურს მაღალ დონეზე თამაში და იმედი აქვს, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში შეძლებს კარიერის გაგრძელებას.

*„არ მაქვს კონკრეტული ვარიანტები. თუ სხვა მოთამაშეებს შეუძლიათ არჩევანის გაკეთება, მე უბრალოდ თამაში მინდა. უარს არ ვიტყოდი ჩინეთში გამოსვლაზე, მაგრამ ყველაზე მეტად ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დაბრუნება მინდა. თუ ეს არ გამოვა, შევეცდები ჩინეთში მოვნახო კლუბი",* - ამბობს NBA-ის ყოფილი ვარსკვლავი.



ალენ აივერსონი

# 19 კანდიდატი ლიტვისთვის

ლიტვის კალათბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა იმ სპეციალისტთა გაფართოებული სია, რომლებიც ლიტვის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე კანდიდატებად განიხილებიან.

მწვრთნელის არჩევა ორ ეტაპად მოხდება. თავდაპირველად, 19 პრეტენდენტიდან კენჭისყრის მეშვეობით სამ კანდიდატს აირჩევენ. სიაში ბევრი ცნობილი მწვრთნელია: **კიასტუტის კემზურა, იონას კაზლაუსკასი, რიმას კურტინაიტისი, ტომას პაჩესასი, ვალდემარას ხომიჩუსი, რიმანტას გრიგასი, შარუნას მარჩიულიონისი** და სხვები.

ლიტვის კალათბურთის ფედერაცია საბოლოო გადაწყვეტილებას სექტემბრის ბოლოს მიიღებს. ახალ მწვრთნელთან რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადამდე გაფორმდება კონტრაქტი.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

**League Trophy**

| | |
|---|---|
| ოქსფორდი-სუინდონი | 1:0 |

**გერმანია**

**რეგიონალლიგა (ს–დ)**

| | |
|---|---|
| ეშბორნი-ჰომბურგი | 3:2 |
| ობერშტაინი-ტრირი | 0:0 |
| ფრანკფურტი II-ფრაიბურგი II | 1:0 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ესენი-კიოლნი II | 2:1 |

**ჩეხეთის თასი**

| | |
|---|---|
| სლოვანი (რ)-ბრნო | 2:1 |
| ჰლუჩინი-ტრნიშეცი | 1:1 პენ. 3:4 |
| ისკრა-ბუდეიოვიცე | 1:1 პენ. 5:4 |
| ლოკომოტივი-იაბლონეცი | 0:3 |
| ჰორნი-ტეპლიცე | 1:3 |

**უნგრეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ჰალადაში-დირმოტი | 3:3 |
| ჰონვედი-დიორი | 0:3 |
| პაკსი-პეჩი | 2:1 |
| შიოფოკი-ვაშაში | 0:1 |
| ლომბარდი-ზალაეგერშეგი | 2:1 |
| კაპოშვარი-ვიდეოტონი | 1:1 |
| მტკ-ფერენცვაროში | 0:1 |
| ეგერი-დებრეცენი | 1:3 |
| დიოშდიორი-უიპეშტი | 3:2 |

**იაპონია**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ტოკიო-შიმიცუ | 2:1 |
| კაშიმა-კაშივა | 3:2 |

**კალათბურთი**

**ევრობასკეტი 2013**

**შესარჩევი**

| | |
|---|---|
| ისრაელი-ისლანდია | 92:75 |
| სერბეთი-სლოვაკეთი | 87:62 |
| ჩერნოგორია-ესტონეთი | 76:67 |
| აზერბაიჯანი-შვედეთი | 82:76 |
| გერმანია-ბულგარეთი | 79:69 |
| ხორვატია-უკრაინა | 84:80 |
| ავსტრია-უნგრეთი | 97:81 |
| ფინეთი-პოლონეთი | 91:96 |
| შვეიცარია-ბელგია | 82:73 |
| თურქეთი-იტალია | 82:83 |
| ჩეხეთი-პორტუგალია | 90:71 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ამური-ატლანტი | 3:1 |
| ცსკა-სპარტაკი | 0:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ვავრინკა | 6:4, 6:1, 6:1 |
| როდიკი-დელ პოტრო | 7:6, 6:7, 2:6, 4:6 |
| ტიპსარევიჩი-კოლშრაიბერი | 6:3, 7:6, 6:2 |

**WTA. აშშ-ის ღია**

| | |
|---|---|
| შარაპოვა-ბარტოლი | 3:6, 6:3, 6:4 |
| ერანი-ვინჩი | 6:2, 6:4 |

● TV პროგრამა

**6 სექტემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტური. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. II ტური. ნიურნბერგი-დორტმუნდი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტური. ბოკა ხუნიორსი-ატლეტიკო.
**16:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXI ტური. ინტერნასიონალი-ფლამენგო.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXI ტური. კრუზეირო-ბოტაფოგო.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. III ტური. ლივერპული-არსენალი.
**00:00** გერმანიის ჩემპიონატი. II ტური. ბაიერნი-შტუტგარტი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ატლანტა-ნიუ იორკი.
**14:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-ფეიენოორდი.
**17:00** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. სარასენი-კლერმონი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. კოლონი-რივერ პლეიტი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:15** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ატლანტა-ნიუ იორკი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. მონრეალი. კანადა.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-ინგლისი.
**15:00** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. მონრეალი. კანადა.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კლუჟი-ბაზელი. საპასუხო მატჩი.
**19:30** კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. მაიამი – ოკლაჰომა
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:00** ჩოგბურთი. ATP -ის ტური. მონრეალი. კანადა.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 16 | 30 | (მზე) |
| ქუთაისი | 17 | 31 | (მზე) |
| ბათუმი | 20 | 29 | (მზე) |
| ფოთი | 21 | 28 | (მზე) |
| ზუგდიდი | 17 | 30 | (მზე) |
| გორი | 14 | 30 | (მზე) |
| თელავი | 15 | 29 | (მზე) |
| სიღნაღი | 14 | 26 | (მზე) |
| ქობულეთი | 20 | 27 | (მზე) |
| ბაკურიანი | 7 | 23 | (მზე) |
| ბორჯომი | 10 | 29 | (მზე) |
| მესტია | 12 | 26 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0841 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6551 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6280 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1401 |

● კრივი

# პაკიაო–მარკესი თითქმის გადაწყვეტილია

მექსიკელი პრომოუტერი **ფერნანდო ბელტრანი** აცხადებს, რომ რიგით მეოთხე შეხვედრა რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს, 33 წლის ფილიპინელ **მენი პაკიაოსა** და პირველ ნახევრად საშუალო წონაში 39 წლის მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესს** ძალიან ახლოა ხელმოწერასთან. ბრძოლის ჩატარება 8 დეკემბერს მექსიკაშია დაგეგმილი.

*„ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამ ბრძოლის ჩატარების შესახებ ოფიციალურად გამოცხადება არ შემიძლია ის არის, რომ ხელთ არ მაქვს პაკიაოს მიერ ხელმოწერილი კონტრაქტი, - ამბობს ბელტრანი. - მაგრამ უახლოესი რამდენიმე საათის შემდეგ, ეს დოკუმენტიც ხელთ მექნება. სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია, მხოლოდ იმას დავადასტურებ, რომ ყველაფერი 95 პროცენტით არის მზად. პაკიაომ იცის, რომ მას სჭირდება მარკესთან ბრძოლა დამაჯერებლობის მოსაპოვებლად. ის არ იყო დამაჯერებელი მარკესთან ბოლო ბრძოლაში და ტიმოტი ბრედლისთანაც საკმაო შეხვედრა ჰქონდა. ასე რომ, მას ექნება საკრივო სამყაროს წინაშე რეაბილიტაციის შანსი".*



პაკიაო და მარკესი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა


ვიქტორია აზარენკა

# ჩემპიონი სახლში გაუშვეს

ამერიკის ღია პირველობის მეორე სათამაშო კვირას კვლავ შეიტანა კორექტივები განრიგში უამინდობამ. ამჯერად, სათამაშო დღე ძალიან შემოკლდა. მართალია, ყველა თამაშის დაწყება მოხერხდა, მაგრამ მათგან მხოლოდ ორის დასრულება მოესწრო.

დამთავრებული თამაშებიდან ერთ-ერთი ცენტრალური იყო - ქალებს შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ვიქტორია აზარენკა** ტურნირის მოქმედ ჩემპიონს **სამანტა სტოსურს** ხვდებოდა.

ამ ჩოგბურთელებს კარიერაში „დიდი სლემის“ თითო ტურნირი აქვთ მოგებული, ტიტულების საერთო რაოდენობით კი ბელარუსს დიდი უპირატესობა აქვს - 12 მოგებული ტურნირი სამის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ვიქტორიამ უფრო მეტი დრო გაატარა პირველი ჩოგანის რანგში და რაც მთავარია, ურთიერთშეხვედრებში აშკარად ჩაგრავს ავსტრალიელს. სამანტას არასოდეს დაუმარცხებია ბელარუსი ჩოგბურთელი და უფრო მეტიც, ბოლო ექვს შეხვედრაში სტოსურმა ერთი სეტიც ვერ მოიგო.

ალნიშნულ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რეიტინგის მხრივ. სტოსური ამ ტურნირზე ტიტულს იცავდა და წაგების შემთხვევაში, უამრავ სარეიტინგო ქულას დაკარგავდა. თუ აზარენკა წააგებდა, რეიტინგში ლიდერობისკენ ეხსნებოდა გზა **მარია შარაპოვას**. მოგება კი ვიქტორიას ამერიკის ღია დასრულების შემდეგ კლასიფიკაციაში პირველ ადგილს შეუნარჩუნებდა.

პირველ გეიმებში სტოსური უმწეოდ გამოიყურებოდა. ის ძალიან ბევრს ცდებოდა და მაშინვე დათმო თავის მოწოდებაზე ორი გეიმი. ამის შემდეგ თამაში წვიმის გამო შეჩერდა. პაუზის შემდეგ, სტოსური ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა და პირველი გეიმი აილო, მაგრამ ეს მისი ერთადერთი წარმატება იყო საწყის სეტში.

მაგრამ სტოსური, მართლაც კარგად იყო მზად ამ ტურნირისთვის, ამიტომაც ასე უბრძოლველად ამ მატჩს არ დათმობდა. მეორე სეტში მან გაცილებით აქტიურად დაიწყო თამაში და შეცდომებსაც უკლო. შესაბამისად, თანდათან შეიცვალა თამაშის სურათი. ავსტრალიელი ორჯერ გავიდა წინ ბრეიკით, მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში ვიქტორიამ სიტუაცია გაათანაბრა, მეორე ჯერზე სტოსურმა შეინარჩუნა უპირატესობა და ბოლო შვიდ მატჩში პირველად მოუგო სეტი ბელარუსს.

თითქოს გადამწყვეტ სეტში უპირატესობა სტოსურს უნდა ჰქონოდა, მაგრამ აზარენკა ოდნავ უკეთ გამოიყურებოდა. მან პირველმა გააკეთა ბრეიკი, მაგრამ ვერ შეინარჩუნა უპირატესობა. მიუხედავად ამისა, სტოსურმა ბოლომდე თამაშის გათანაბრება ვერ შეძლო. ბოლოს და ბოლოს, სამანტამ შეწყვიტა ოთხბრეიკიანი სერია და თავისი მოწოდება აილო. „დიდი სლემის“ ნებისმიერ ტურნირზე ეს შეხვედრა შეიძლება დიდი ხანი გაგრძელებულიყო, მაგრამ ამერიკის ლიაზე გადამწყვეტ სეტში ტაი-ბრეიკს თამაშობენ. თუმცა ვიქტორიას იქამდე შეიძლება ვერც მიეღწია. მე-11 გეიმში ავსტრალიელმა დაფარული მატჩბოლი მიიღო, მაგრამ აზარენკამ ის ეისით მოიგერია. საბოლოოდ, პირველად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ქალთა შორის ასეთ შორეულ ეტაპზე მატჩის ბედი ტაი-ბრეიკზე გადაწყდა. ავსტრალიელმა საშინლად დაიწყო მე-13 გეიმი - ზედიზედ ოთხი შეცდომა დაუშვა. მაგრამ სტოსური არ დანებდა - ორჯერ თავად ითამაშა კარგად და მეტოქეც დაეხმარა, როცა 5:3-ზე ვიქტორიამ ორმაგი შეცდომა დაუშვა. და მაინც, პირველი მატჩბოლამდე აზარენკა მივიდა, რომელმაც დროულად შეასრულა იდეალური მოკლე დარტყმა. შემდეგ გათამაშებაში დაძაბული ბრძოლა იყო უკანა ხაზზე, რომელშიც ნერვებმა სტოსურს უმტყუნა - 1:6, 6:4, 6:7(5).

იმ დღეს კიდევ ერთი მეოთხედფინალი უნდა გამართულიყო. მარია შარაპოვამ და **მარიონ ბარტოლიმ** მოასწრეს კორტზე გასვლა და ფრანგმა ბრწყინვალე სტარტი აილო - ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო. ფრანგი ძალიან აქტიურად მოქმედებდა და პრაქტიკულად არ უტოვებდა შეტევის შანსს მეტოქეს. თანაც, მარიონმა მხოლოდ ორი შეცდომა დაუშვა. ასე რომ, შარაპოვასთვის წვიმა ერთგვარი შვება იყო. შეგახსენებთ, რომ წინა ეტაპზე **ნადია პეტროვასთან** მან ასევე წვიმით გამოწვეული პაუზის შემდეგ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა.

**1/4 ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 7) 6:1, 4:6, 7:6(5); მარიონ ბარტოლი (საფ, 11)-მარია შარაპოვა (რუს, 3) 4:0 შეწყდა

# წვიმამ გრაფიკი აურია

მამაკაცებს ოთხი მერვედფინალი ჰქონდათ სათამაშო და აქაც მხოლოდ ერთი მატჩი დასრულდა. მეოთხედფინალის საგზური გაიფორმა **დავიდ ფერერმა**, რომელმაც **რიშარ გასკეს** ბარიერი გაიარა. ეს მატჩი დილით დაიწყო, წვიმის გამო ორჯერ შეწყდა და საღამოს დასრულდა. დაძაბულ და სანახაობრივად საინტერესო შეხვედრაში გასკე არაფერში ჩამოუვარდებოდა ფერერს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ესპანელი ყოველ ჯერზე ოდნავ ძლიერი იყო - 7:5, 7:6(2), 6:4.

მინიმუმ ერთი დღით გაიხანგრძლივა ამერიკის ლიაზე და მთლიანად დიდ ჩოგბურთში ყოფნა ამერიკელმა **ენდი როდიკმა**, რომელმაც ტურნირის მსვლელობისას გამოაცხადა, რომ ამ ჩემპიონატის შემდეგ ტოვებს დიდ სპორტს. როდიკმა ბრწყინვალედ ითამაშა პირველ სეტში **ხუან მარტინ დელ პოტროს** წინააღმდეგ. ამერიკელმა პირველმა გააკეთა ბრეიკი, თუმცა სეტზე ჩაწოდებისას რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და დათმო საკუთარი მოწოდება. საბოლოოდ, ჩოგბურთელები ტაი-ბრეიკამდე მივიდნენ და ამ დროს წვიმა წამოვიდა.

უფრო ნაკლები ითამაშეს სერბმა ჩოგბურთელებმა - **იანკო ტიპსარევიჩი** 5:2-ს უგებს პირველ სეტში **ფილიპ კოლშრაიბერს**, **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** კი ორი გეიმის მოგება მოასწრო **სტანისლას ვავრინკასთან** მატჩში.

**1/8 ფინალი**

**დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-რიშარ გასკე (საფ, 13) 7:5, 7:6(2), 6:4; იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 8)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 19) 5:2 შეწყდა; ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 7)-ენდი როდიკი (აშშ, 20) 6:6 შეწყდა; ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 18) 2:0.


დავიდ ფერერი




● გოლფი

# ჯორდანი რაიდერის თასზე



ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელი **მაიკლ ჯორდანი** გოლფში აშშ-ის ნაკრების კონსულტანტი იქნება მომავალ რაიდერის თასზე. ამერიკელთა კაპიტანმა **დევის ლავმა** დარწმუნებით განაცხადა, რომ ჯორდანი, რომელიც გოლფის დიდი თაყვანისმცემელია, შეძლებს თავისი მოვალეობების შესრულებას.

ალსანიშნავია, რომ 2009 წელს ჯორდანი ნაკრების მაშინდელი კაპიტნის **ფრედ კაპლზის** ასისტენტი იყო პრეზიდენტის თასზე.

რაიდერის თასი - ეს არის ტურნირი, რომელშიც უძლიერესს ავლენენ აშშ-სა და ევროპის ნაკრებები.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:35
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608